



CATALOGUE OF GEORGIAN NUMISMATICS I ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი



Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Institute of Georgian History

ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი

I ნაწილი



CATALOGUE OF GEORGIAN NUMISMATICS

Part One



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი

I ნაწილი

ფული ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში.
სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა კოლხეთსა და იბერიაში

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities
Institute of Georgian History

Catalogue of Georgian Numismatics

Part One

Money in Classical and Hellenistic Periods.
Coin Issues and Monetary Circulation in Colchis and Iberia
(Georgia)

გამომცემლობა „მერიდიანი“

Meridian Publishers

თბილისი

Tbilisi

2013

2015 წელს დასრულდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი – „ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი“. დღეს მზად არის მისი პირველი ნაწილი (იხ. <http://geonumismatics.tsu.ge>). აქ გთავაზობთ კატალოგის ბეჭდურ ვერსიას.

“Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics” is project funded by Shota Rustaveli National Science Foundation. Having 2015 as a deadline, now it is represented by the first part (v. <http://geonumismatics.tsu.ge>), offered here as printed version.

ავტორები

თედო დუნდუა
გიორგი დუნდუა

Authors

Tedo Dundua
Giorgi Dundua

შემდგენლები

ალექსანდრე ბოშიშვილი
აპოლონ თაბუაშვილი
ლერი თავაძე
ნათია ფიფია
აკაკი ჩიქობავა
ემილ ავდალიანი

Compiled by

Alexander Boshishvili
Apolon Tabuashvili
Leri Tavadze
Natia Phiphia
Akaki Chikobava
Emil Avdaliani

დამხმარე პერსონალი

მაია აქუბარდია
გიორგი ჯავრიშვილი
გიორგი ჩიტაშვილი

Auxiliary Staff

Maia Akubardia
Giorgi Javrishvili
Giorgi Chitashvili

© ავტორები – თედო დუნდუა, გიორგი დუნდუა, 2013

© შედგენა – ალექსანდრე ბოშიშვილი, აპოლონ თაბუაშვილი, ლერი თავაძე, ნათია ფიფია, აკაკი ჩიქობავა, ემილ ავდალიანი, 2013

© Authors – Tedo Dundua, Giorgi Dundua, 2013

© Compiled by – Alexander Boshishvili, Apolon Tabuashvili, Leri Tavadze, Natia Phiphia, Akaki Chikobava, Emil Avdaliani, 2013



ექვთიმე თაყაიშვილი

Ekvtime Takaishvili

150

სარჩევი

კოლხური თეთრი	8
ე.წ. ტეტრადრაქმა	8
I ტიპის დიდრაქმა	17
II ტიპის დიდრაქმა	27
III ტიპის დიდრაქმა	35
ე.წ. დრაქმა	43
I ტიპის ჰემიდრაქმა	51
II ტიპის ჰემიდრაქმა	57
ე.წ. ჰემიტეტარტემორიონი	66
ბიბლიოგრაფია	73
უცხოური ფული (ძვ. წ. VI-IV სს., ალექსანდრემდე) ქართულ სამონეტო ბაზარზე	75
ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები	79
აკის სტატერი	79
ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები	83
ალექსანდრეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები	90
ბიბლიოგრაფია	99
ძვ. წ. IV-III საუკუნეების უცხოური ოქროს ფული ქართულ სამონეტო ბაზარზე	100
ბაგადატ ბიურატის ძის მონეტები	103
ბაგადატ ბიურატის ძის მონეტები. I ტიპი	103
ბაგადატ ბიურატის ძის მონეტები. II ტიპი	108
ბიბლიოგრაფია	113
სამონეტო მიმოქცევა ელინისტური ხანის იბერიაში (ძვ. წ. III-I სს.)	114
ე.წ. სავლავის მონეტები	121
ე.წ. სავლავის მონეტები, I ტიპი	121
ე.წ. სავლავის მონეტები, II ტიპი	125
ე.წ. სავლავის მონეტები, III ტიპი	129
ბიბლიოგრაფია	133
დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტები	135
დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტები დიოსკურების ქულების და კვერთხის გამოსახულებით	135
ბიბლიოგრაფია	136
ვანში (?) მოჭრილი სპილენძის ანონიმური მონეტები	138
ვანში (?) მოჭრილი სპილენძის ანონიმური მონეტები ლოტოსის და რვაქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებით	138
ბიბლიოგრაფია	142
არისტარქე კოლხის დრაქმა	143
არისტარქე კოლხის დრაქმა გნეუს პომპეუსის გამოსახულებით	143
ბიბლიოგრაფია	145
ძვ. წ. III-I საუკუნეების უცხოური მონეტები დასავლეთ საქართველოდან	146

Contents

Colchian Money (“Colchian Tetri (Silver)”, Kolkhidki).	150
The so-called tetradrachm	150
I type didrachm	157
II type didrachm	165
III type didrachm	171
The so-called drachm	177
I type hemidrachm	184
II type hemidrachm	189
The so-called hemitetartemorion	197
Bibliography	203
Imported coins of the 6 th -4 th cc. B.C. (struck before Alexander the Great) found in Georgia	205
Georgian Imitations to Alexander and Lysimachus’ Type Staters	208
Aka stater	208
Georgian imitations to Lysimachus’ type staters	211
Georgian imitations to Alexander’s type staters	217
Bibliography	225
Imported gold coins of the 4 th -3 rd cc. B.C. found in Georgia	226
Coins of Bagadat, Son of Biurat	228
Coins of Bagadat, son of Biurat. I type	228
Coins of Bagadat, son of Biurat. II type	232
Bibliography	236
Money circulation in Hellenistic Iberia (the 3 rd -1 st cc. B.C.)	237
The so-called Saulaces’ Coins	243
The so-called Saulaces’ coins, I type	243
The so-called Saulaces’ coins, II type	246
The so-called Saulaces’ coins, III type	249
Bibliography	252
Municipal Copper Coins of Dioscurias	254
Municipal copper coins of Dioscurias with the effigies of Dioscuri’s caps and thyrsos	254
Bibliography	255
Anonymous Copper Coins Struck in Vani (?)	257
Anonymous copper coins struck in Vani (?) with the effigies of lotus and an eight-pointed star	257
Bibliography	260
Drachm of Aristarchus the Colchian	262
Drachm of Aristarchus the Colchian with the portray of Gnaeus Pompejus	262
Bibliography	263
The 3 rd -1 st cc. B.C. foreign coins from West Georgia	265

ჯგუფი	კოლხური თეთრი
ტიპი	ე.წ. ტეტრადრაქმა
აღწერა, ფოტო	ვერცხლი. წონა: ჰააგის მუზეუმის ცალი – 10,40 გრ., ბრიტანეთის მუზეუმის – 12,72 გრ., სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის – 13 გრ. რემედიუმი 10,40 გრ.-13 გრ. d≈22 მმ. შუბლი: იშვიათი ხელოვნებით შესრულებული დაღრენილი ლომის თავის გამოსახულება მარცხნივ/მარჯვნივ. ზურგი: quadratum incusum-ში (ჩაჭდეულ კვადრატში) მოთავსებული ფრთოსანი რაშის პროტომა მარჯვნივ. 
სამეცნიერო კომენტარი	კოლხური თეთრი სამონეტო ჯგუფის სახელია. პირველად სახელწოდება „კოლხური თეთრი“ II ტიპის ჰემიდრაქმებს (იგივე ტრიობოლი. შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) ეწოდა. ისინი ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მათი კოლხური გენეზისი ეჭვგარეშეა. ე.წ. ტეტრადრაქმის სამი ცალია ცნობილი, სამივე უპასპორტოა.

ერთი მონეტა გამოქვეყნდა 1907 წელს და გამომცემლის მიერ ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე დაკავშირებული იყო კუნძულ ლესბოსთან (მდებარეობს ეგეოსის ზღვაში, საბერძნეთი). ამჟამად ეს ცალი ინახება ჰააგის მუზეუმში.

1949 წელს საქართველოს მუზეუმის კუთვნილი იდენტური მონეტა გამოსცა პროფ. დ. კაპანაძემ, ხოლო 1957 წელს ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ცალი – ინგლისელმა ქართველოლოგმა დ. ლანგმა.

ე.წ. ტეტრადრაქმის შუბლზე გამოსახული ლომის თავი სტილისტურად მსგავსია I ტიპის დიდრაქმის (შუბლი: მწოლიარე ჰერმეფროდიტი ლომის გამოსახულება მარჯვნივ/მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალის ფიგურა მარჯვნივ/მარცხნივ) შუბლზე გამოსახული ლომის თავის.

I ტიპის დიდრაქმის 9 ცალიდან 5 დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, მათგან 3 – ფოთის და ახალსოფლის (ზუგდიდის რაიონი) კოლხური მონეტების განძებში. ამ განძებში აღმოჩენილი ფულის უმრავლესობა II ტიპის ჰემიდრაქმებს (შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) წარმოადგენს. ამ უკანასკნელის კოლხური გენეზისი კი ეჭვგარეშეა. I ტიპის დიდრაქმის აღმოჩენის ტოპოგრაფია (დასავლეთ საქართველო) მიუთითებს მის კოლხურ გენეზისზე.

ე.წ. ტეტრადრაქმის შუბლზე გამოსახული ლომის თავი სტილისტურად მსგავსია I ტიპის ჰემიდრაქმის (შუბლი: დადრენილი ლომის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა) და ე.წ. დრაქმის (შუბლი: ლომის თავის გამოსახულება an face. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ხარის თავი) იკონოგრაფიის. I ტიპის ჰემიდრაქმის 4 ცალი კოლხეთის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი სხვა კოლხურ მონეტებთან ერთად, რაც მისი კოლხური გენეზისის მანიშნებელია. ქუთაისის მუზეუმის კუთვნილი უპასპორტო ე.წ. დრაქმა კი, ალბათ, სადმე იქვეა აღმოჩენილი. ლოკალურ მუზეუმში ეს უნიკალური მონეტა სხვანაირად ვერ მოხვდებოდა.

I ტიპის დიდრაქმის ზურგის იკონოგრაფია ა ტიპოლოგიურად მსგავსია ე.წ. დრაქმის, III ტიპის დიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ. ზურგი: ხარის ორი

თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ ორ quadratum incusum-ში. ეს უკანასკნელი, ტიპოლოგიურად და სტილისტურად მსგავსია II ტიპის დიდრაქმის, რომელზეც ადამიანის სამი თავია გამოსახული. შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ (ზუსტად ისეთივე, როგორც მეორე ტიპის ნახევარდრაქმაზე). ზურგი: ორ quadratum incusum-ში ადამიანის ასეთივე თავები ერთმანეთის საპირისპიროდ) და II ტიპის ჰემიდრაქმის ზურგზე გამოსახული ხარის თავების. II ტიპის ჰემიდრაქმები ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს (ძველი კოლხეთი) როგორც ზღვისპირა, ისე შიდა ტერიტორიაზე. II ტიპის დიდრაქმის ნაწილია კოლხეთში აღმოჩენილი, ისევე როგორც – III ტიპის დიდრაქმა.

თავდაპირველად, „კოლხური თეთრი“ II ტიპის ჰემიდრაქმას ეწოდა. ე.წ. ტეტრადრაქმის და ზემოთ განხილული სხვა ტიპის მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფია და ტიპოლოგიურ-სტილისტური ანალიზი საფუძველს გვაძლევს ისინი კოლხური თეთრის ჯგუფს მივაკუთვნოთ.

ე.წ. ტეტრადრაქმის ზურგზე გამოსახული ფრთოსანი რაშის პროტომა თითქოს ანალოგიის გარეშეა, მაგრამ ის სემანტიკურად უკავშირდება კონკრეტულ სამონეტო ჯგუფს.

სამონეტო ჯგუფის, კოლხური თეთრის, ფარგლებში რვა ტიპი გამოიყოფა. რვავე ტიპის ლოკალური გენეზისის საკითხი პუნქტობრივად ასე უნდა გადაწყდეს:

1) ჰემიდრაქმის II ტიპი (ადამიანის თავის გამოსახულება/Rv. ხარის თავი) კოლხეთში იჭრებოდა. აღმოჩენათა ტოპოგრაფია სწორედ ამაზე მეტყველებს – ათასობით არის ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში; მის ფარგლებს გარეთ კი მხოლოდ რამდენიმე ათეული ცალია დაფიქსირებული.

2) III ტიპის დიდრაქმა (ადამიანის თავი/Rv. ხარის თავები ორ quadratum incusum-ში) ადამიანის და ხარისთავიანი ძეგლების ტიპოლოგიური პროტოტიპია, ჰემიდრაქმა მისი გამარტივებული ვარიანტია – აქ ხარის თავია ორის მაგივრად. ორივე ტიპის არქაისტული სტილიც მათ ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირებს – ეს კოლხეთის ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ელინური პოლიტიკური ორგანიზმის პროდუქციაა.

3) II ტიპის დიდრაქმა (ადამიანის არქაისტული თავი/Rv. ასეთივე თავები ორ quadratum incusum-ში) წინას მსგავსია. ზურგის მხარეები თითქოს განსხვავებულია, მაგრამ ცოტა ქვემოთ აღვნიშნავთ ქალის და ხარის ტიპოლოგიურ სინთეზს I ტიპის დიდრაქმის რევერსზე; ე.ი.

ქალი და ხარი სინონიმური კატეგორიებია. არქაისტული ადამიანის თავის ტიპოლოგია და აღმოჩენათა ტოპოგრაფია კვლავ და კვლავ კოლხეთის ელინურ პოლისებზე უნდა ამახვილებდეს კონკრეტული ასპექტით ჩვენს ყურადღებას.

4) ჰემიტეტარტემორიონები ფიჭვნარიდან (არქაისტული თავი/Rv. წერო) თემატურ ჰარმონიაშია დანარჩენ ნომინალებთან და აი, რატომ:

ა) II ტიპის დიდრაქმაზე ტრიომორფული ჰეკატეა (ამაზე ქვემოთ).

ბ) III ტიპის დიდრაქმაზე – ტრიომორფული და ზოომორფული ჰეკატე.

გ) II ტიპის ჰემიდრაქმის ტიპოლოგიაც მსგავსია.

ე. ი. ყველგან მთვარის ატრიბუტებია.

ჰემიტეტარტემორიონის ტიპოლოგიასთან მიმართებაში მეტად სიმპტომატურია მაღალფეხებიანი ფრინველის და ლოტოსის კვიპროსული (კერამიკაზე) სინთეზი; ეს უკანასკნელი ნაყოფიერების ღვთაების ატრიბუტია, წერო კი მისი სინონიმი ყოფილა. ნაყოფიერების ღვთაება კოლხეთში ამავე დროს ჰეკატეცაა.

5) ასეთი ფუნქციური სინთეზის იკონოგრაფია I ტიპის დიდრაქმის ზურგის მხარეზეა წარმოდგენილი:

ა) ქალის შიშველი ფიგურა ნაყოფიერების კულტთან არის დაკავშირებული;

ბ) ხარის თავი მთვარის ატრიბუტია;

გ) ამასთან ჰინტერლანდში ὁ Μείς კულტია, ზღვისპირეთში – ἡ Ἑκάτη. ბილინგვიზირებული ფაზისის ვარიანტია ჰერმაფროდიტული სინთეზი – მთვარის სქესობრივი აღქმის მოტანილი და ადგილობრივი შტრიხების შერწყმა.

ტიპოლოგიური მიმართებანი, აღმოჩენათა ტოპოგრაფია, ასტრალური თემატიკა (შუბლის მხარეზე გამოსახული ლომი, აპოლონ/ჰელიოსის სიმბოლო; მისი ჰერმაფროდიტიზაცია კი უკვე აპოლონის მზექალასთან შერწყმის პერიპეტიაა. ლომი ნამდვილად ჰერმაფროდიტია – ხვადის ფაფრითა და ძუძუებით. ეს ორი სქესობრივი კატეგორია იკონოგრაფიულად რეალისტურად აისახებოდა, მაგალითისთვის იხ. კოლხური ჰემიდრაქმების I ტიპი; ან კი – საკუთრივ მილეტური ნუმისმატიკა) კონკრეტულ ტიპს უცილობლად უკავშირებს ზემოაღნიშნულ მასალას.

6) კოლხური ე.წ. დრაქმა (ლომის თავი an face/Rv. ხარის თავი ს გამოსახულება), ქუთაისის მუზეუმის უპასპორტო ცალი, ტიპოლოგიურ-თემატურ კავშირშია განხილულ დიდრაქმასთან.

7) იგივე შეიძლება ითქვას I ტიპის ჰემიდრაქმის (ლომის თავი/Rv. ძუ ლომის პროტომა) მიმართაც – აქ მზის ჰერმაფროდიტული აღქმის

იდეაა დაფიქსირებული; აღმოჩენათა ტოპოგრაფიაც მის კოლხურ გენეზისს ეთანხმება.

8) ე.წ. ტეტრადრაქმები უპასპორტოა. მაგრამ ტიპოლოგიური პარალელი ჰემიდრაქმების I კატეგორიასთან აშკარაა; თემატიკა ტრადიციულია: აპოლონი-ლომი-მზე/პეგასი-მთვარე.

ე.წ. ტეტრადრაქმებზე, I ტიპის დიდრაქმებზე და I ტიპის ჰემიდრაქმებზე მოთავსებულ ლომის გამოსახულებას ანალოგი გააჩნია მილეტის (მდებარეობს მცირე აზიაში) ნუმისმატიკაში. ლომი მილეტის სახელმწიფოებრივი ემბლემაა და გამოსახულია მის მონეტებზე. ლომის მოტივი ძალიან ხშირია ბერძნულ ნუმისმატიკაში და მას სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტში განსხვავებული ფუნქციები აკისრია. მაგრამ მილეტის ნუმისმატიკაში, როგორც ამას სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ, ის ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაკავშირებულია აპოლონის კულტთან. გარდა ამისა, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ მილეტის კოლონიების მონეტებზე ყველგან ლომია გამოსახული (მაგ. პანტიკაპეიონის – თანამედროვე ქერჩის – მონეტებზე), კოლხურ I ტიპის დიდრაქმაზე გამოსახული ლომი, როგორც ეს არაერთგზისაა აღნიშნული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, ყველა დეტალში იმეორებს მილეტურ მონეტებზე ამოტვიფრულ ლომს. ამის იდენტურია აგრეთვე კოლხურ ე.წ. ტეტრადრაქმაზე და I ტიპის ჰემიდრაქმებზე ამოკვეთილი ლომის თავები. მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. დრაქმაზე გამოსახული ლომის თავი an face ანალოგიის გარეშეა, იკონოგრაფიული მახასიათებლებით ის დაკავშირებულია კოლხური თეთრის ჯგუფთან.

ცნობილია, რომ მილეტის მთავარი ღვთაება აპოლონი იყო (ეს მრავალსახა ღვთაებაა, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ისაა მნიშვნელოვანი, რომ იგი აღიარებულია გზების, მგზავრებისა და მეზღვაურების მფარველად და აგრეთვე, მზის სხივის ღვთაებად). ისიც ცნობილია და დავას არ იწვევს, რომ კოლონიას თავის დამაარსებელ ქალაქთან აკავშირებდა რელიგიური კულტი; კოლონიაში იგივე ღვთაებას სცემდნენ თაყვანს, როგორსაც მეტროპოლიაში.

1899 წელს მდ. ყუბანის ნაპირას ხუტორ ზუბოვკაში აღმოჩნდა ვერცხლის თასი წარწერით: „აპოლონ-წინამძღოლისა ვარ, რომელიც ფაზისში არის“. წარწერა თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის დასასრულით, ან IV საუკუნის დასაწყისით. ამის საფუძველზე ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ ფაზისში არსებობდა აპოლონის ტაძარი ან სამლოცველო და ეს ნივთი მისთვის იყო შეწირული. ამრიგად, ფაზისში, ისევე როგორც ყველა თავის კოლონიაში, მილეტელებს გადმოუტანიათ და დაუნერგავთ აპოლონის კულტი. განსაკუთრებით

უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ფაზისში აპოლონ-წინამძღოლის-ჰეგემონის ტამარი იყო, ე.ი. სწორედ კოლონისტების კულტი იყო გადმოტანილი.

კოლხურ თეთრზე გამოსახული ლომი აპოლონის კულტს უკავშირდება, ის ასევე უკავშირდება ქართული პანთეონის მთავარ ღვთაებას – მზეს. კოლხური მონეტა სინთეზურ კატეგორიას მიეკუთვნება.

ზემოთ მოტანილი არგუმენტები იძლევა საფუძველს, რომ ლომის გამოსახულებიანი კოლხური თეთრის ემისია ფაზისის ზარაფხანას მივაკუთვნოთ.

ე.წ. ტეტრადრაქმების ატრიბუციასთან დაკავშირებული სიძნელეების მიუხედავად, როგორც აღვნიშნეთ, ავერსზე გამოსახული ლომის გამოსახულება ტიპოლოგიურად და სტილისტურად მსგავსია კოლხეთის ნუმიზმატიკური მასალის, განსაკუთრებით კი მწოლიარე ლომის გამოსახულებიანი დიდრაქმების. თუმცა რევერსზე გამოსახული ფრთოსანი რაშის პროტომა ანალოგიის გარეშეა. II ტიპის დიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის (ღვთაების) თავის პროფილი მარჯვნივ. ზურგი: ორ quadratum incusum-ში ერთმანეთის საპირისპიროდ ადამიანის ისეთივე თავები, როგორიც მონეტის შუბლზეა გამოსახული), III ტიპის დიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ. ზურგი: ხარის ორი თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ ორ quadratum incusum-ში), ე.წ. დრაქმის (შუბლი: ლომის თავის გამოსახულება an face. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ხარის თავი) ზურგის მხარის და II ტიპის ჰემიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული მარჯვნივ/მარცხნივ მიმართული ადამიანის თავი. ზურგი: ასევე მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) გამოსახულებების ჰეკატეს კულტთან დაკავშირებით შესაძლებელია ე.წ. ტეტრადრაქმის რევერსზე გამოსახული ფრთოსანი რაშის სემანტიკური მნიშვნელობის ახსნაც, რომელიც ამოვარდნილია კოლხური თეთრის საერთო ტიპოლოგიიდან.

რას უკავშირდება ყველაზე უფრო გავრცელებული კოლხური თეთრის იკონოგრაფია ადამიანისა და ხარის თავების გამოსახულებით? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია იმ ფანტასტიკური არსების სწორი დეფინიცია, რომელიც I ტიპის დიდრაქმაზეა (შუბლი: მწოლიარე ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულება მარჯვნივ/მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული

მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალი მარჯვნივ/მარცხნივ) ამოტვიფრული. ეს უაღრესად რთული საკითხია, მაგრამ ზოგი მოსაზრების წამოყენება მაინც არის შესაძლებელი.

ზოგიერთი მეცნიერის მიერ ადრევე იყო შენიშნული დიდი მსგავსება ჩვეულებრივი ტიპის ნახევარდრაქმებზე გამოსახული ხარისა და დაჩოქილი ადამიანის ხარის თავებს შორის. ეს იძლევა მათ შორის იკონოგრაფიული ძაფის გაბმის საშუალებას. გაითვალისწინა რა ზემოთქმული, გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა ა. ზოგრაფმა დასვა უაღრესად მნიშვნელოვანი კითხვა: ხომ არ არის კოლხური თეთრის ტიპოლოგიის ცვალებადობა ერთ და იმავე ღვთაებაზე წარმოდგენათა დიფერენციაციის, წარმოდგენათა ცვალებადობის (ცხადია, დროის განზომილებაში) შედეგი? ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დაკვირვებაა. მართლაც, შესაძლებელია ფანტასტიკურ არსებაზე წარმოდგენათა დიფერენციაციამ ძვ. წ. V საუკუნეში, თავდაპირველად, მოგვცა II ტიპის დიდრაქმა (შუბლზე ადამიანის თავის და ზურგზე, ერთმანეთის საპირისპიროდ, ორი ასეთივე ადამიანის თავის გამოსახულება), ხოლო შემდეგ – III ტიპის დიდრაქმა (შუბლზე ადამიანისა და ზურგზე, ხარის ორი თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანისა და ხარის თავების მონაცვლეობა II ტიპის დიდრაქმის და III ტიპის დიდრაქმის რევერსზე შემთხვევით არ უნდა იყოს და მათ ეკვივალენტურობაზე უნდა მიუთითებდეს, და ბოლოს, მივიღეთ II ტიპის ჰემიდრაქმა, ადამიანისა და ხარის თავების გამოსახულებით.

ხარი, როგორც წესი, უკავშირდება მთვარის ღვთაებას. ანტიკურ მითოლოგიაში კი სამთავიანი ღვთაება (გავიხსენოთ II ტიპის დიდრაქმაზე ამოკვეთილი რომელიღაც ღვთაების სამი თავი), რომელსაც მთვარის ღვთაების ფუნქციაც აქვს, არის ჰეკატე, ძველადმოსავლური ღვთაება, რომლის კულტიც საბერძნეთში აღმოსავლეთიდანაა შემოსული. სწორედ, ამ ქალღვთაების სამი თავი უნდა იყოს გამოსახული II ტიპის დიდრაქმაზე. ამრიგად, თითქოს გაიბა ერთგვარი ჯაჭვი კოლხური თეთრის სხვადასხვა ტიპის მონეტებს შორის.

გაითვალისწინეს რა ყოველივე ზემოთქმული, ქართველმა მეცნიერებმა დ. კაპანაძემ და ი. შენგელიამ II ტიპის დიდრაქმაზე გამოსახული სამი იდენტური თავი მიიჩნიეს სამთავიან ჰეკატეს იკონოგრაფიად და დაუკავშირეს მთვარის სამ ფაზას.

ამრიგად, ჰეკატეს კულტის არსებობის ფაქტი კოლხეთში რეალობაა. თუ მსჯელობა ჰეკატეს კულტისა და კოლხური თეთრის ტიპოლოგიის ურთიერთკავშირის შესახებ შესაწყნარებელია, მაშინ

შესაძლებელია აიხსნას აგრეთვე ე.წ. ტეტრადრაქმის რევერსზე გამოსახული ფრთოსანი რაშის სემანტიკური მნიშვნელობაც, რომელიც ამოვარდნილია კოლხური თეთრის საერთო ტიპოლოგიიდან. საქმე ისაა, რომ სხვა მრავალ ფუნქციას შორის, რომელიც მას გააჩნია, ჰეკატე ცხენების მოშენების მფარველი ღვთაებაცაა. ძალიან ფრთხილი ვარაუდის სახით შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე ჰეკატეს კულტის ანარეკლთან გვაქვს.

იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ძველ ქართულ წარმართულ პანთეონში მთვარის ღვთაება ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო (აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით კი, მთვარე მთავარი ღვთაებაა ქართული ტომების რწმენა-წარმოდგენებში). ჰეკატე კი თავის თავში აერთიანებდა მთვარის ღვთაების ფუნქციებსაც. ამავე დროს ჰეკატეს კულტი, სხვადასხვა სამეცნიერო გამოკვლევების თანახმად, ასევე პოპულარული იყო მილეტშიც.

აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ მილეტიდან მოსულმა ბერძნებმა ადგილობრივი მთვარის ღვთაება გაიაზრეს როგორც ჰეკატე და მისი გამოსახულება მოათავსეს ე.წ. კოლხურ მონეტებზე. თუ ეს ასეა, მაშინ არაფერი იქნება იმაში უჩვეულო, რომ ეს მონეტები ერთდროულად ასრულებდა საქალაქო მონეტის ფუნქციასაც და კოლხეთის შიდა რაიონებთან სავაჭრო ეკვივალენტის როლსაც. ეს მოსაზრება დასტურდება იმიტაც, რომ კოლხური თეთრი აღმოჩენილია როგორც შავი ზღვის სანაპირო ზოლის პუნქტებში, ასევე – დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში. ამასთანავე, დღეისათვის მათი აღმოჩენების რიცხვი შიდა რაიონებში სჭარბობს.

ჰააგის მუზეუმის ცალის წონაა 10,40 გრ., ბრიტანეთის მუზეუმის – 12,72 გრ., საქართველოს მუზეუმის – 13 გრ. კოლხური დიდრაქმების საშუალო წონა მერყეობს 8,99-9,90 გრ. ტეტრადრაქმა დიდრაქმაზე ორჯერ მეტი უნდა იყოს. აქ ეს შეფარდება დარღვეულია. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს უაღრესად შემცირებული წონის ნომინალთან. ეს ართულებს მათი წარმომავლობის საკითხის გარკვევას. ტიპის ფარგლებში სულ სამი ემისიაა სავარაუდო. ამ მონეტების ტეტრადრაქმად მოხსენიება, ალბათ, პირობითია. არსებობს მოსაზრება, რომ ყველაზე მძიმე ეგზემპლარი მილეტური სტატერია (14 გრ.). საშუალო (12,72 გრ.) – ეგინური (12,12 გრ.), მსუბუქი კი – სპარსული (11,2 გრ.).

ე.წ. ტეტრადრაქმების ზუსტი დათარიღება ძალიან ჭირს, ვინაიდან ისინი არ აღმოჩენილა კარგად დათარიღებულ არქეოლოგიურ თუ სამონეტო კომპლექსში. მაგრამ შედარების გზით

	სხვა ცენტრების არქაულ მონეტებთან, სტილისტური, ტიპოლოგიური და ფაქტურული ანალიზის საშუალებით სავსებით შესაძლებელია მათი მიკუთვნება ძვ. წ. VI საუკუნის დასასრულისთვის. არ არის გამორიცხული, რომ მონეტები მოიჭრა ძვ. წ. 494 წლის შემდგომ, მილეტის განადგურების მერე.
ზარაფხანა	ფაზისი.
ნომინალი	ტეტრადრაქმა; ან მილეტური სტატერი (13 გრ.), ეგინური სტატერი (12,72 გრ.) და სპარსული სტატერი (10,40 გრ.).
თარიღი	ძვ. წ. VI-V სს.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 1 ცალი, ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №3; ჰააგის მუზეუმი – 1 ცალი; ბრიტანეთის მუზეუმი – 1 ცალი.

ჯგუფი	კოლხური თეთრი
ტიპი	I ტიპის დიდრაქმა
აღწერა, ფოტო	ვერცხლი. წონა: 10 გრ., 10,1 გრ., 11,3 გრ., 11,4 გრ. – სპარსული სტატერი; 7,9 გრ., 8,1 გრ., 8,6 გრ., 8,6 გრ., 9,4 გრ. (?) – ატიკური დიდრაქმა. d= 17/20-20/21 მმ. შუბლი: მწოლიარე ჰერმეფროდიტი ლომის (ხვადის ფაფრით და ძუძუებით) გამოსახულება მარჯვნივ/მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: quadratum incusum-ში (ჩაჭდეულ სწორკუთხედში) მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალის (აშკარად შეიმჩნევა მკერდის მოხაზულობა) ფიგურა მარჯვნივ/მარცხნივ. ხელი ჩამოშვებული აქვს ბარძაყის გასწვრივ. ყელთან შეიმჩნევა ნაოჭები (ყელსაბამი? ნიღაბი?).

	
სამეცნიერო კომენტარი	კოლხური თეთრი სამონეტო ჯგუფის სახელია. პირველად სახელწოდება „კოლხური თეთრი“ II ტიპის ჰემიდრაქმებს (იგივე ტრიობოლი. შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) ეწოდა. ისინი ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მათი კოლხური გენეზისი ეჭვგარეშეა. I ტიპის დიდრაქმის 9 ცალიდან 5 დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, მათგან 3 – ფოთისა და ახალსოფლის (ზუგდიდის რაიონი) კოლხური მონეტების განძებში. ამ განძებში აღმოჩენილი ფულის უმრავლესობა II ტიპის ჰემიდრაქმებს წარმოადგენს. ამ უკანასკნელის კოლხური გენეზისი კი ეჭვგარეშეა. ყოველივე ეს I ტიპის დიდრაქმის კოლხურ გენეზისზე მიუთითებს. I ტიპის დიდრაქმის შუბლის გამოსახულება ტიპოლოგიურად მსგავსია I ტიპის ჰემიდრაქმებზე (შუბლი: დადრენილი ლომის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა) მოთავსებული ლომის. I ტიპის ჰემიდრაქმები 4 ცალადაა ცნობილი და ოთხივე დასავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი. I ტიპის დიდრაქმის შუბლის გამოსახულება ტიპოლოგიურად და სტილისტურად მსგავსია ე.წ. ტეტრადრაქმის (შუბლი: იშვიათი ხელოვნებით შესრულებული დადრენილი ლომის თავის გამოსახულება მარცხნივ/მარჯვნივ. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული ფრთოსანი რაშის პროტომა მარჯვნივ) ლომის გამოსახულების. I ტიპის დიდრაქმის შუბლის გამოსახულება ტიპოლოგიურად მსგავსია ე.წ. დრაქმის (შუბლი: ლომის თავის გამოსახულება an face. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ხარის თავი) შუბლზე გამოსახული ლომის. მართალია ე.წ. დრაქმის ქუთაისის ცნობილი 1 ცალი უპასპორტოა, მაგრამ, სავარაუდოდ, ის სადმე იქვეა აღმოჩენილი, სხვანაირად ლოკალურ მუზეუმში ვერ მოხვდებოდა. აღსანიშნავია, რომ ე.წ. ტეტრადრაქმაზე, I ტიპის დიდრაქმაზე, I

ტიპის ჰემიდრაქმაზე და ე.წ. დრაქმაზე გამოსახული ლომის თავების ტიპოლოგიური და სტილისტური კავშირი მათ საერთო გენეზისზე მიუთითებს.

I ტიპის დიდრაქმის ზურგზე გამოსახულ დაჩოქილ ხარისთავიან არსებას ანალოგი არ გააჩნია. თუმცა ხარის თავის გამოსახულება ტიპოლოგიურად მსგავსია ე.წ. დრაქმის (შუბლი: ლომის თავის გამოსახულება an face. ზურგი: quadratum incusum -ში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ხარის თავი), III ტიპის დიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ. ზურგი: ხარის ორი თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ ორ quadratum incusum-ში) და II ტიპის ჰემიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული მარჯვნივ /მარცხნივ მიმართული ადამიანის თავი. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) ზურგზე გამოსახული ხარის თავების.

I ტიპის დიდრაქმის ზურგის გამოსახულება სემანტიკ ურად უკავშირდება II ტიპის დიდრაქმას (შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ (ზუსტად ისეთივე, როგორც მეორე ტიპის ნახევარდრაქმაზე). ზურგი: ორ quadratum incusum-ში ადამიანის ასეთივე თავები ერთმანეთის საპირისპიროდ), ამ უკანასკნელის სახეცვლილებას კი III ტიპის დიდრაქმა უნდა წარმოადგენდეს, რადგან ადამიანის და ხარის თავები სინონიმური კატეგორიებია (ამაზე ქვემოთ). II ტიპის დიდრაქმა 11 ცალადაა ცნობილი და მათი ერთი ნაწილი აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში, სხვა კოლხურ მონეტებთან ერთად განძებში (ფოთსა და ახალსოფელში), ისევე როგორც – III ტიპის დიდრაქმა.

თავდაპირველად, „კოლხური თეთრი“ II ტიპის ჰემიდრაქმას ეწოდა. I ტიპის დიდრაქმა და ზემოთ განხილული სხვა ტიპის მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფია და ტიპოლოგიური-სტილისტური ანალიზი საფუძველს გვაძლევს ისინი კოლხური თეთრის ჯგუფს მივაკუთვნოთ.

სამონეტო ჯგუფის, კოლხური თეთრის, ფარგლებში რვა ტიპი გამოიყოფა. რვავე ტიპის ლოკალური გენეზისის საკითხი პუნქტობრივად ასე უნდა გადაწყდეს:

1) ჰემიდრაქმის II ტიპი (ადამიანის თავის გამოსახულება/Rv. ხარის თავი) კოლხეთში იჭრებოდა. აღმოჩენათა ტოპოგრაფია სწორედ ამაზე მეტყველებს – ათასობით არის ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში; მის ფარგლებს გარეთ კი მხოლოდ რამდენიმე ათეული ცალია დაფიქსირებული.

	2) III ტიპის დიდრაქმა (ადამიანის თავი/Rv. ხარის თავები ორ quadratum incusum-ში) ადამიანის და ხარისთავიანი ძეგლების ტიპოლოგიური პროტოტიპია, ჰემიდრაქმა მისი გამარტივებული ვარიანტია – აქ ხარის თავია ორის მაგივრად. ორივე ტიპის არქაისტული სტილიც მათ ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირებს – ეს კოლხეთის ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ელინური პოლიტიკური ორგანიზმის პროდუქციაა. 3) II ტიპის დიდრაქმა (ადამიანის არქაისტული თავი/Rv. ასეთივე თავები ორ quadratum incusum-ში) წინას მსგავსია. ზურგის მხარეები თითქოს განსხვავებულია, მაგრამ ცოტა ქვემოთ აღვნიშნავთ ქალის და ხარის ტიპოლოგიურ სინთეზს I ტიპის დიდრაქმის რევერსზე; ე.ი. ქალი და ხარი სინონიმური კატეგორიებია. არქაისტული ადამიანის თავის ტიპოლოგია და აღმოჩენათა ტოპოგრაფია კვლავ და კვლავ კოლხეთის ელინურ პოლისებზე უნდა ამახვილებდეს კონკრეტული ასპექტით ჩვენს ყურადღებას. 4) ჰემიტეტარტემორიონები ფიჭვნარიდან (არქაისტული თავი/Rv. წერო) თემატურ ჰარმონიაშია დანარჩენ ნომინალებთან და აი, რატომ: ა) II ტიპის დიდრაქმაზე ტრიომორფული ჰეკატეა (ამაზე ქვემოთ). ბ) III ტიპის დიდრაქმაზე – ტრიომორფული და ზომომორფული ჰეკატე. გ) II ტიპის ჰემიდრაქმის ტიპოლოგიაც მსგავსია. ე. ი. ყველგან მთვარის ატრიბუტებია. ჰემიტეტარტემორიონის ტიპოლოგიასთან მიმართებაში მეტად სიმპტომატურია მაღალფეხებიანი ფრინველის და ლოტოსის კვიპროსული (კერამიკაზე) სინთეზი; ეს უკანასკნელი ნაყოფიერების ღვთაების ატრიბუტია, წერო კი მისი სინონიმი ყოფილა. ნაყოფიერების ღვთაება კოლხეთში ამავე დროს ჰეკატეცაა. 5) ასეთი ფუნქციური სინთეზის იკონოგრაფია I ტიპის დიდრაქმის ზურგის მხარეზეა წარმოდგენილი: ა) ქალის შიშველი ფიგურა ნაყოფიერების კულტთან არის დაკავშირებული; ბ) ხარის თავი მთვარის ატრიბუტია; გ) ამასთან ჰინტერლანდში ὁ Μείς კულტია, ზღვისპირეთში – ἡ Ἐκὰτ. ბილინგვიზირებული ფაზისის ვარიანტია ჰერმეფროდიტული სინთეზი – მთვარის სქესობრივი აღქმის მოტანილი და ადგილობრივი შტრიხების შერწყმა. ტიპოლოგიური მიმართებანი, აღმოჩენათა ტოპოგრაფია, ასტრალური თემატიკა (შუბლის მხარეზე გამოსახული ლომი, აპოლონ/ჰელიოსის სიმბოლო; მისი ჰერმეფროდიტიზაცია კი უკვე
--	--

აპოლონის მზექალასთან შერწყმის პერიპეტიკაა. ლომი ნამდვილად ჰერმეფროდიტია – ხვადის ფაფრითა და ძუძუებით. ეს ორი სქესობრივი კატეგორია იკონოგრაფიულად რეალისტურად აისახებოდა, მაგალითისთვის იხ. კოლხური ჰემიდრაქმების I ტიპი; ან კი – საკუთრივ მილეტური ნუმისმატიკა) კონკრეტულ ტიპს უცილობლად უკავშირებს ზემოაღნიშნულ მასალას.

6) კოლხური ე.წ. დრაქმა (ლომის თავი an face/Rv. ხარის თავის გამოსახულება), ქუთაისის მუზეუმის უპასპორტო ცალი, ტიპოლოგიურ-თემატურ კავშირშია განხილულ დიდრაქმასთან.

7) იგივე შეიძლება ითქვას I ტიპის ჰემიდრაქმის (ლომის თავი/Rv. ძუ ლომის პროტომა) მიმართაც – აქ მზის ჰერმეფროდიტული აღქმის იდეაა დაფიქსირებული; აღმოჩენათა ტოპოგრაფიაც მის კოლხურ გენეზისს ეთანხმება.

8) ე.წ. ტეტრადრაქმები უპასპორტოა. მაგრამ ტიპოლოგიური პარალელი ჰემიდრაქმების I კატეგორიასთან აშკარაა; თემატიკა ტრადიციულია: აპოლონი-ლომი-მზე/პეგასი-მთვარე.

რას უკავშირდება ყველაზე უფრო გავრცელებული კოლხური თეთრის იკონოგრაფია ადამიანისა და ხარის თავების გამოსახულებით? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია იმ ფანტასტიკური არსების სწორი დეფინიცია, რომელიც I ტიპის დიდრაქმაზეა (შუბლი: მწოლიარე ჰერმეფროდიტი ლომის გამოსახულება მარჯვნივ/მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალი მარჯვნივ/მარცხნივ) ამოტვიფრული. ეს უაღრესად რთული საკითხია, მაგრამ ზოგი მოსაზრების წამოყენება მაინც არის შესაძლებელი.

ზოგიერთი მეცნიერის მიერ ადრევე იყო შენიშნული დიდი მსგავსება ჩვეულებრივი ტიპის ნახევარდრაქმებზე გამოსახული ხარისა და დაჩოქილი ადამიანის ხარის თავებს შორის. ეს იძლევა მათ შორის იკონოგრაფიული ძაფის გაბმის საშუალებას. გაითვალისწინა რა ზემოთქმული, გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა ა. ზოგრაფმა დასვა უაღრესად მნიშვნელოვანი კითხვა: ხომ არ არის კოლხური თეთრის ტიპოლოგიის ცვალებადობა ერთ და იმავე ღვთაებაზე წარმოდგენათა დიფერენციაციის, წარმოდგენათა ცვალებადობის (ცხადია, დროის განზომილებაში) შედეგი? ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დაკვირვებაა. მართლაც, შესაძლებელია ფანტასტიკურ არსებაზე წარმოდგენათა დიფერენციაციამ ძვ. წ. V საუკუნეში, თავდაპირველად, მოგვცა II ტიპის დიდრაქმა (შუბლზე ადამიანის არქაისტული თავის და ზურგზე, ერთმანეთის საპირისპიროდ, ორი ასეთივე ადამიანის თავის

გამოსახულება), ხოლო შემდეგ – III ტიპის დიდრაქმა (შუბლზე ადამიანისა და ზურგზე, ხარის ორი თავის გამოსახულება ერთ-მანეთის საპირისპიროდ). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანისა და ხარის თავების მონაცვლეობა II ტიპის დიდრაქმის და III ტიპის დიდრაქმის რევერსზე შემთხვევით არ უნდა იყოს და მათ ეკვივალენტურობაზე უნდა მიუთითებდეს, და ბოლოს, მივიღეთ II ტიპის ჰემიდრაქმა, ადამიანისა და ხარის თავების გამოსახულებით.

ხარი, როგორც წესი, უკავშირდება მთვარის ღვთაებას. ანტიკურ მითოლოგიაში კი სამთავიანი ღვთაება (გავიხსენოთ II ტიპის დიდრაქმაზე ამოკვეთილი რომელიღაც ღვთაების სამი თავი), რომელსაც მთვარის ღვთაების ფუნქციაც აქვს, არის ჰეკატე, ძველალმოსავლური ღვთაება, რომლის კულტიც საბერძნეთში აღმოსავლეთიდანაა შემოსული. სწორედ, ამ ქალღვთაების სამი თავი უნდა იყოს გამოსახული II ტიპის დიდრაქმაზე. ამრიგად, თითქოს გაიბა ერთგვარი ჯაჭვი კოლხური თეთრის სხვადასხვა ტიპის მონეტებს შორის.

ზემოთ შემოთავაზებული ჰიპოთეზა მით უფრო სარწმუნო იქნება, თუ გავიხსენებთ ანტიკური და ბიზანტიური ხანის ავტორების მოწმობას იმის შესახებ, რომ ჰეკატეს კულტი და მასთან დაკავშირებული მისტერიები ფართოდ იყო გავრცელებული კოლხეთში.

გაითვალისწინეს რა ყოველივე ზემოთქმული, ქართველმა მეცნიერებმა დ. კაპანაძემ და ი. შენგელიამ II ტიპის დიდრაქმაზე გამოსახული სამი იდენტური თავი მიიჩნიეს სამთავიან ჰეკატეს იკონოგრაფიად და დაუკავშირეს მთვარის სამ ფაზას.

ამრიგად, ჰეკატეს კულტის არსებობის ფაქტი კოლხეთში რეალობაა. თუ მსჯელობა ჰეკატეს კულტისა და კოლხური თეთრის ტიპოლოგიის ურთიერთკავშირის შესახებ შესაწყნარებელია, მაშინ შესაძლებელია აიხსნას აგრეთვე ე.წ. ტეტრადრაქმის რევერსზე გამოსახული ფრთოსანი რაშის სემანტიკური მნიშვნელობაც, რომელიც ამოვარდნილია კოლხური თეთრის საერთო ტიპოლოგიიდან. საქმე ისაა, რომ სხვა მრავალ ფუნქციას შორის, რომელიც მას გააჩნია, ჰეკატე ცხენების მოშენების მფარველი ღვთაებაცაა. ძალიან ფრთხილი ვარაუდის სახით შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე ჰეკატეს კულტის ანარეკლთან გვაქვს.

იმასაც უნდა გაეგვას ხაზი, რომ ძველ ქართულ წარმართულ პანთეონში მთვარის ღვთაება ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო (აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით კი, მთვარე მთავარი ღვთაებაა ქართული

ტომების რწმენა-წარმოდგენებში). ჰინტერლანდში ὁ Μείζ კულტია, ზღვისპირეთში – ἡ Ἑκάρη. ხარის თავი მთვარის ატრიბუტია. ქალის შიშველი ფიგურა ნაყოფიერების კულტთან არის დაკავშირებული. ჰეკატე კი თავის თავში აერთიანებდა მთვარის და ნაყოფიერების ღვთაების ფუნქციებს. ამავე დროს, ჰეკატეს კულტი, სხვადასხვა სამეცნიერო გამოკვლევების თანახმად, ასევე პოპულარული იყო მილეტშიც.

I ტიპის დიდრაქმის შუბლის გამოსახულებას (მწოლიარე ლომი) პირდაპირი ანალოგი გააჩნია მილეტის (მდებარეობს მცირე აზიაში, ითვლება ფაზისის მეტროპოლიად) ნუმიზმატიკაში. ამ მონეტაზე გამოსახული ლომი ყველა დეტალში იმეორებს მილეტურ მონეტაზე ამოტვიფრულ ლომს. მათი იდენტურია აგრეთვე ე. წ. ტეტრადრაქმაზე (შუბლი: იშვიათი ხელოვნებით შესრულებული დაღრენილი ლომის თავის გამოსახულება მარცხნივ/მარჯვნივ. იხ. ტეტრადრაქმა.) და I ტიპის ჰემიდრაქმაზე (შუბლი: დაღრენილი ლომის თავი მარჯვნივ/მარცხნივ) ამოკვეთილი ლომის თავები.

ცნობილია, რომ მილეტის მთავარი ღვთაება აპოლონი იყო (ეს მრავალსახა ღვთაებაა, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ისაა მნიშვნელოვანი, რომ იგი აღიარებულია გზების, მგზავრებისა და მეზღვაურების მფარველად და აგრეთვე მზის სხივის ღვთაებად). ისიც ცნობილია და დავას არ იწვევს, რომ კოლონიას თავის დამაარსებელ ქალაქთან აკავშირებდა რელიგიური კულტი; კოლონიაში იგივე ღვთაებას სცემდნენ თაყვანს, როგორსაც მეტროპოლიაში. ლომი მილეტის სახელმწიფოებრივი ემბლემაა და გამოსახულია მის მონეტებზე. ლომის მოტივი ძალიან ხშირია ბერძნულ ნუმიზმატიკაში და მას სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტში განსხვავებული ფუნქციები აკისრია. მაგრამ მილეტის ნუმიზმატიკაში, როგორც ამას სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ, ის ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაკავშირებულია აპოლონის კულტთან. გარდა ამისა, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ მილეტის კოლონიების მონეტებზე ყველგან ლომია გამოსახული (მაგ., პანტიკაპეიონის – თანამედროვე ქერჩის – მონეტებზე).

პირველი ტიპის კოლხურ დიდრაქმაზე გამოსახული ლომი, როგორც ეს არაერთგზისაა აღნიშნული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, ყველა დეტალში იმეორებს მილეტურ მონეტებზე ამოტვიფრულ ლომს. მათი იდენტურია აგრეთვე კოლხურ ტეტრადრაქმაზე და პირველი ტიპის ნახევარდრაქმაზე ამოკვეთილი ლომის თავები.

1899 წელს მდ. ყუბანის ნაპირას ხუტორ ზუბოვკაში აღმოჩნდა

ვერცხლის თასი წარწერით: „აპოლონ-წინამძღოლისა ვარ, რომელიც ფაზისში არის“. წარწერა თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის დასასრულით, ან IV საუკუნის დასაწყისით. ამის საფუძველზე ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ ფაზისში არსებობდა აპოლონის ტაძარი ან სამლოცველო და ეს ნივთი მისთვის იყო შეწირული. ამრიგად, ფაზისში, ისევე როგორც ყველა თავის კოლონიაში, მიღებულია გადმოუტანიათ და დაუნერგავთ აპოლონის კულტი. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ფაზისში აპოლონ-წინამძღოლის-ჰეგემონის ტაძარი იყო, ე.ი. სწორედ კოლონისტების კულტი იყო გადმოტანილი.

მართალია, კოლხურ თეთრზე ამოკვეთილი ლომების კავშირი აპოლონის კულტთან თითქოს უეჭველია, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველური სამყაროს პანთეონის ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება იყო სწორედ მზე. მზის სიმბოლოდ კი საზოგადოდ ლომია მიჩნეული. ამავე დროს, ქართველური ტომების რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, მზე მდედრობით სქესისაა. ახლა თუ გავიხსენებთ იმას, რომ პირველი ტიპის კოლხურ დიდრაქმაზე გამოსახულია ჰერმეფროდიტი ლომი (ფაფრით და ძუძუებით), მაშინ ჩნდება კიდევ ერთი ჰიპოთეზის წამოყენების შესაძლებლობა: ხომ არ მოჭრეს ბერძნებმა ისეთი ტიპის მონეტა, რომლის შუბლის გამოსახულება თანაბრად აკმაყოფილებდა ორივე ეთნიკური ჯგუფის (კოლხური და ბერძნული) ინტერესებს, რადგან ლომის გამოსახულება სემანტიკურად უკავშირდება როგორც აპოლონის, ასევე ქართველური ტომების ერთ-ერთი მთავარი ღვთაების – მზის კულტს.

მოსაზრებას, რომ კოლხური თეთრი სინთეზური კატეგორიის ფულია, კიდევ უფრო ამტკიცებს პირველი ტიპის კოლხური დიდრაქმის ზურგზე ამოკვეთილი ხარისთავიანი დაჩოქილი ადამიანის გამოსახულება. მსოფლიო ნუმისმატიკაში მას პარალელი არ ეძებნება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი ადგილობრივი ღვთაებაა. ე.ი. ფაზისის ზარაფხანაში შესაძლებელია მოიჭრა ე.წ. ჰიბრიდული მონეტა, რომლის შუბლის გამოსახულება უკავშირდებოდა აპოლონს (ე.ი. აკმაყოფილებდა მიღებულ კოლონისტებს და, სხვათა შორის, მისაღები იყო კოლხებისთვისაც), ხოლო რევერსის იკონოგრაფია აღებული იყო ადგილობრივი პანთეონიდან.

თუ ეს ასეა, მაშინ არაფერი იქნება იმაში უჩვეულო, რომ ეს მონეტები ერთდროულად ასრულებდა საქალაქო მონეტის ფუნქციასაც და კოლხეთის შიდა რაიონებთან სავაჭრო ეკვივალენტის როლსაც. ეს მოსაზრება დასტურდება იმითაც, რომ კოლხური თეთრი

	აღმოჩენილია როგორც შავი ზღვის სანაპირო ზოლის პუნქტებში, ასევე – დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში. ამასთანავე, დღეისათვის მათი აღმოჩენების რიცხვი შიდა რაიონებში სჭარბობს. I ტიპის დიდრაქმის ასე მოხსენიება, ალბათ, პირობითია. მძიმე ცალები (10 გრ., 10,1 გრ., 11,3 გრ., 11,4 გრ.) სპარსული სისტემის სტატერი უნდა იყოს, მსუბუქი (7,9 გრ., 8,1 გრ., 8,6 გრ., 8,6 გრ., 9,4 გრ.) კი ატიკური სისტემის დიდრაქმებია. ფული ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულებით ჯერ მოიჭრა როგორც სპარსული სისტემის სტატერი. ამავე ემისიას განეკუთვნება სიკლიც, ე.წ. დრაქმა. მომდევნო ემისიას სპარსული სტატერი ადამიანის თავების გამოსახულებით. ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულების რესტავრაცია უკვე ატიკური სისტემის ექსპლუატაციასთან არის დაკავშირებული – იჭრება დიდრაქმა ლომისგამოსახულებიან ჰემიდრაქმასთან ერთად. ამას მოჰყვა ადამიანის თავების გამოსახულებიანი ფული, როგორც ატიკური სტანდარტის დიდრაქმა. II ტიპის ჰემიდრაქმა (ადამიანის არქაისტული თავი/ხარის თავი), ერთის მხრივ, აშკარად ატიკური სისტემის მიხედვით არის მოჭრილი, მეორეს მხრივ, ის არის III ტიპის დიდრაქმის (ადამიანის არქაისტული თავი/ხარის თავები) გამარტივებული ვარიანტი. აქედან კი ასეთი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი – III ტიპის დიდრაქმა უნდა ჩაითვალოს ატიკური სისტემის მსხვილ ნომინალად, რომელიც ქალისგამოსახულებიან ჰემიდრაქმასთან ერთად ქმნის ერთ ემისიას. ეს უკანასკნელი ტიპი შემდგომ ძალზედ ხანგრძლივ სერიას მიესადაგა. I ტიპის დიდრაქმის დასათარიღებლად მეცნიერებს მტკიცე კრიტერიუმი არ გააჩნია, მაგრამ ანალოგიების, სტილისტური და ფაქტურული ანალიზის საშუალებით შეიძლება ითქვას, რომ ის უნდა მივაკუთვნოთ ძვ. წ. VI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს. მაგრამ, კონკრეტულ ტიპოლოგიურ ფარგლებში მკაფიო ტენდენცია ნომინალური გაწვრილებისკენ სერიული კატეგორიის არსებობის მამტიცებელია. სიმპტომატურია ბოლო ეტაპის ატიკური სტანდარტი. განსახილველი ემისიების თარიღი უფრო ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევარი-V საუკუნეა.
ზარაფხანა	ფაზისი.
ნომინალი	სპარსული სტატერი – 10 გრ., 10,1 გრ., 11,3 გრ., 11,4 გრ. ატიკური დიდრაქმა – 7,9 გრ., 8,1 გრ., 8,6 გრ., 8,6 გრ., 9,4 გრ.

თარიღი	ძვ. წ. VI-V სს.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 3 ცალი, ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №1628, ქვ. №3824, გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №4808; ერმიტაჟი (სანკტ-პეტერბურგი) – 2 ცალი, №44a-2665, №44a-665; ქუთაისის მუზეუმი – 1 ცალი, №4183; ბერლინის მუზეუმი – 1 ცალი; ბრიტანეთის მუზეუმი – 1 ცალი; ბოსტონის მუზეუმი – 1 ცალი.

ჯგუფი	კოლხური თეთრი
ტიპი	II ტიპის დიდრაქმა
აღწერა, ფოტო	ვერცხლი. წონა: მაგ. 9,6 გრ., 9,9 გრ., 10,4 გრ. – სპარსული სტატერი; მაგ. 8,7 გრ., 9,2 გრ. – ატიკური დიდრაქმა. d≈18/20-21/23 მმ. შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის (ღვთაების) თავის პროფილი მარჯვნივ (ზუსტად ისეთი, როგორც მეორე ტიპის ნახევარდრაქმაზე). ზურგი: ორ quadratum incusum-ში (ჩაჭდეულ კვადრატში) ერთმანეთის საპირისპიროდ ადამიანის ისეთივე თავები, როგორიც მონეტის შუბლზეა გამოსახული.
სამეცნიერო კომენტარი	კოლხური თეთრი სამონეტო ჯგუფის სახელია. პირველად სახელწოდება „კოლხური თეთრი“ II ტიპის ჰემიდრაქმებს (იგივე

ტრიობოლი. შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) ეწოდა. ისინი ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მათი კოლხური გენეზისი ეჭვგარეშეა.

II ტიპის დიდრაქმის შუბლზე მოთავსებული ადამიანის თავის არქაისტული გამოსახულება ტიპოლოგიურად და სტილისტურად მსგავსია III ტიპის დიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ. ზურგი: ხარის ორი თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ ორ *quadratum incusum*-ში) შუბლზე ამოტვიფრული ადამიანის თავის. ზურგის მხარეები თითქოს განსხვავებულია, მაგრამ ისინი სემანტიკურად ერთმანეთს უკავშირდება (ცოტა ქვემოთ აღვნიშნავთ ადამიანის და ხარის ტიპოლოგიურ სინთეზს). ადამიანის და ხარის თავები სინონიმური კატეგორიებია.

II ტიპის დიდრაქმა 11 ცალადაა ცნობილი და მათი ერთი ნაწილი აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში, სხვა კოლხურ მონეტებთან ერთად განძებში (ფოთსა და ახალსოფელში), ისევე როგორც – III ტიპის დიდრაქმა.

II ტიპის დიდრაქმის შუბლზე გამოსახული ადამიანის თავი ტიპოლოგიურად და სტილისტურად მსგავსია ჰემიტე-ტარტემორიონის (შუბლი: მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გამოსახულება. ზურგი: მარჯვნივ მიმართული რომელიღაც ფრინველი, სავარაუდოდ წერო) შუბლის გამოსახულების. ჰემიტე-ტარტემორიონის ცნობილი სამი ცალიდან სამივე დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ტერიტორიაზეა (ფიჭვნარი) აღმოჩენილი. აღმოჩენის ტოპოგრაფია და ტიპოლოგიურ-სტილისტური მსგავსებანი მათი კოლხური წარმომავლობის მანიშნებელია.

II ტიპის დიდრაქმის შუბლის იკონოგრაფია – ადამიანის თავის არქაისტული გამოსახულება სტილისტურად მსგავსია II ტიპის ჰემიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) შუბლის გამოსახულების. II ტიპის ჰემიდრაქმა ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოში, როგორც შიდა მხარეში, ისე ზღვისპირა ზოლში, ამიტომ მისი კოლხური გენეზისი ეჭვგარეშეა. თავდაპირველად, სწორედ ამ ტიპის მონეტებს ეწოდა კოლხური თეთრი.

II ტიპის დიდრაქმის ზურგის გამოსახულება სემანტიკურად

შეგვიძლია დავუკავშიროთ ე.წ. დრაქმის (შუბლი: ლომის თავის გამოსახულება an face. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ხარის თავი), I ტიპის დიდრაქმის (შუბლი: მწოლიარე ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულება მარცხნივ /მარჯვნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარის-თავიანი ქალის ფიგურა მარჯვნივ/მარცხნივ) და II ტიპის ჰემიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) ზურგზე ამოტვიფრულ ხარის თავის გამოსახულებებს.

I ტიპის დიდრაქმის ცნობილი 9 ცალიდან 5 დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის) ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, აქედან 3 – ფოთისა და ახალსოფლის (ზუგდიდის რაიონი) კოლხური მონეტების განძებში II ტიპის ჰემიდრაქმასთან ერთად, ამ მონეტების კოლხური გენეზისი კი ეჭვგარეშეა. მართალია ე.წ. დრაქმის ქუთაისის ცნობილი 1 ცალი უპასპორტოა, მაგრამ, სავარაუდოდ, ის სადმე იქვეა აღმოჩენილი, სხვანაირად ლოკალურ მუზეუმში ვერ მოხვდებოდა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ე.წ. ტეტრადრაქმაზე (შუბლი: იშვიათი ხელოვნებით შესრულებული დადრენილი ლომის თავის გამოსახულება მარცხნივ/მარჯვნივ. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული ფრთოსანი რაშის პროტომა მარჯვნივ), I ტიპის დიდრაქმაზე, ე.წ. დრაქმაზე და I ტიპის ჰემიდრაქმაზე (შუბლი: დადრენილი ლომის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა) გამოსახული ლომის თავების ტიპოლოგიური და სტილისტური კავშირი მათ საერთო გენეზისზე მიუთითებს.

თავდაპირველად, „კოლხური თეთრი“ II ტიპის ჰემიდრაქმას ეწოდა. II ტიპის დიდრაქმის და ზემოთ განხილული სხვა ტიპის მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფია და ტიპოლოგიური-სტილისტური ანალიზი საფუძველს გვაძლევს ისინი კოლხური თეთრის ჯგუფს მივაკუთვნოთ.

სამონეტო ჯგუფის, კოლხური თეთრის, ფარგლებში რვა ტიპი გამოიყოფა. რვავე ტიპის ლოკალური გენეზისის საკითხი პუნქტობრივად ასე უნდა გადაწყდეს:

1) ჰემიდრაქმის II ტიპი (ადამიანის თავის გამოსახულება/Rv. ხარის თავი) კოლხეთში იჭრებოდა. აღმოჩენათა ტოპოგრაფია სწორედ ამაზე მეტყველებს – ათასობით არის ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში; მის ფარგლებს გარეთ კი მხოლოდ რამდენიმე

	ათეული ცალია დაფიქსირებული. 2) III ტიპის დიდრაქმა (ადამიანის თავი/Rv. ხარის თავები ორ quadratum incusum-ში) ადამიანის და ხარისთავიანი ძეგლების ტიპოლოგიური პროტოტიპია, ჰემიდრაქმა მისი გამარტივებული ვარიანტია – აქ ხარის თავია ორის მაგივრად. ორივე ტიპის არქაისტული სტილიც მათ ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირებს – ეს კოლხეთის ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ელინური პოლიტიკური ორგანიზმის პროდუქციაა. 3) II ტიპის დიდრაქმა (ადამიანის არქაისტული თავი/Rv. ასეთივე თავები ორ quadratum incusum-ში) წინას მსგავსია. ზურგის მხარეები თითქოს განსხვავებულია, მაგრამ ცოტა ქვემოთ აღენიშნავთ ქალის და ხარის ტიპოლოგიურ სინთეზს I ტიპის დიდრაქმის რევერსზე; ე.ი. ქალი და ხარი სინონიმური კატეგორიებია. არქაისტული ადამიანის თავის ტიპოლოგია და აღმოჩენათა ტოპოგრაფია კვლავ და კვლავ კოლხეთის ელინურ პოლისებზე უნდა ამახვილებდეს კონკრეტული ასპექტით ჩვენს ყურადღებას. 4) ჰემიტეტარტემორიონები ფიჭვნარიდან (არქაისტული თავი/Rv. წერო) თემატურ ჰარმონიაშია დანარჩენ ნომინალებთან და აი, რატომ: ა) II ტიპის დიდრაქმაზე ტრიომორფული ჰეკატეა (ამაზე ქვემოთ). ბ) III ტიპის დიდრაქმაზე – ტრიომორფული და ზოომორფული ჰეკატე. გ) II ტიპის ჰემიდრაქმის ტიპოლოგიაც მსგავსია. ე. ი. ყველგან მთვარის ატრიბუტებია. ჰემიტეტარტემორიონის ტიპოლოგიასთან მიმართებაში მეტად სიმპტომატურია მაღალფეხებიანი ფრინველის და ლოტოსის კვიპროსული (კერამიკაზე) სინთეზი; ეს უკანასკნელი ნაყოფიერების ღვთაების ატრიბუტია, წერო კი მისი სინონიმი ყოფილა. ნაყოფიერების ღვთაება კოლხეთში ამავე დროს ჰეკატეცაა. 5) ასეთი ფუნქციური სინთეზის იკო ნოგრაფია I ტიპის დიდრაქმის ზურგის მხარეზეა წარმოდგენილი: ა) ქალის შიშველი ფიგურა ნაყოფიერების კულტთან არის დაკავშირებული; ბ) ხარის თავი მთვარის ატრიბუტია; გ) ამასთან ჰინტერლანდში ὁ Μείς კულტია, ზღვისპირეთში – ἡ Ἐκάτη. ბილინგვიზირებული ფაზისის ვარიანტია ჰერმეფროდიტული სინთეზი – მთვარის სქესობრივი აღქმის მოტანილი და ადგილობრივი შტრიხების შერწყმა. ტიპოლოგიური მიმართებანი, აღმოჩენათა ტოპოგრაფია, ასტრალური თემატიკა (შუბლის მხარეზე გამოსახული ლომი,
--	--

აპოლონ/ჰელიოსის სიმბოლო; მისი ჰერმეფროდიტიზაცია კი უკვე აპოლონის მზექალასთან შერწყმის პერიპეტიაა. ლომი ნამდვილად ჰერმეფროდიტია – ხვადის ფაფრითა და ძუძუებით. ეს ორი სქესობრივი კატეგორია იკონოგრაფიულად რეალისტურად აისახებოდა, მაგალითისთვის იხ. კოლხური ჰემიდრაქმების I ტიპი; ან კი – საკუთრივ მილეტური ნუმიზმატიკა) კონკრეტულ ტიპს უცილობლად უკავშირებს ზემოაღნიშნულ მასალას.

6) კოლხური ე.წ. დრაქმა (ლომის თავი an face/Rv. ხარის თავის გამოსახულება), ქუთაისის მუზეუმის უპასპორტო ცალი, ტიპოლოგიურ-თემატურ კავშირშია განხილულ დიდრაქმასთან.

7) იგივე შეიძლება ითქვას I ტიპის ჰემიდრაქმის (ლომის თავი/Rv. ძუ ლომის პროტომა) მიმართაც – აქ მზის ჰერმეფროდიტული აღქმის იდეაა დაფიქსირებული; აღმოჩენათა ტოპოგრაფიაც მის კოლხურ გენეზისს ეთანხმება.

8) ე.წ. ტეტრადრაქმები უპასპორტოა. მაგრამ ტიპოლოგიური პარალელი ჰემიდრაქმების I კატეგორიასთან აშკარაა; თემატიკა ტრადიციულია: აპოლონი-ლომი-მზე/ჰეგასი-მთვარე.

რას უკავშირდება ყველაზე უფრო გავრცელებული კოლხური თეთრის იკონოგრაფია ადამიანისა და ხარის თავების გამოსახულებით? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია იმ ფანტასტიკური არსების სწორი დეფინიცია, რომელიც I ტიპის დიდრაქმაზეა (შუბლი: მწოლიარე ჰერმეფროდიტი ლომის გამოსახულება მარჯვნივ/მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალი მარჯვნივ/მარცხნივ) ამოტვიფრული. ეს უაღრესად რთული საკითხია, მაგრამ ზოგი მოსაზრების წამოყენება მაინც არის შესაძლებელი.

ზოგიერთი მეცნიერის მიერ ადრევე იყო შენიშნული დიდი მსგავსება ჩვეულებრივი ტიპის ნახევარდრაქმებზე გამოსახული ხარისა და დაჩოქილი ადამიანის ხარის თავებს შორის. ეს იძლევა მათ შორის იკონოგრაფიული ძაფის გაბმის საშუალებას. გაითვალისწინა რა ზემოთქმული, გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა ა. ზოგრაფმა დასვა უაღრესად მნიშვნელოვანი კითხვა: ხომ არ არის კოლხური თეთრის ტიპოლოგიის ცვალებადობა ერთ და იმავე ღვთაებაზე წარმოდგენათა დიფერენციაციის, წარმოდგენათა ცვალებადობის (ცხადია, დროის განზომილებაში) შედეგი? ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დაკვირვებაა. მართლაც, შესაძლებელია ფანტასტიკურ არსებაზე წარმოდგენათა დიფერენციაციამ ძვ. წ. V საუკუნეში, თავდაპირველად, მოგვცა II ტიპის დიდრაქმა (შუბლზე ადამიანის არქაისტული თავის და

ზურგზე, ერთმანეთის საპირისპიროდ, ორი ასეთივე ადამიანის თავის გამოსახულება), ხოლო შემდეგ – III ტიპის დიდრაქმა (შუბლზე ადამიანისა და ზურგზე, ხარის ორი თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანისა და ხარის თავების მონაცვლეობა II ტიპის დიდრაქმის და III ტიპის დიდრაქმის რევერსზე შემთხვევით არ უნდა იყოს და მათ ეკვივალენტურობაზე უნდა მიუთითებდეს, და ბოლოს, მივიღეთ II ტიპის ჰემიდრაქმა, ადამიანისა და ხარის თავების გამოსახულებით.

ხარი, როგორც წესი, უკავშირდება მთვარის ღვთაებას. ანტიკურ მითოლოგიაში კი სამთავიანი ღვთაება (გავიხსენოთ II ტიპის დიდრაქმაზე ამოკვეთილი რომელიღაც ღვთაების სამი თავი), რომელსაც მთვარის ღვთაების ფუნქციაც აქვს, არის ჰეკატე, ძველადმოსავლური ღვთაება, რომლის კულტიც საბერძნეთში აღმოსავლეთიდანაა შემოსული. სწორედ, ამ ქალღვთაების სამი თავი უნდა იყოს გამოსახული II ტიპის დიდრაქმაზე. ამრიგად, თითქოს გაიბა ერთგვარი ჯაჭვი კოლხური თეთრის სხვადასხვა ტიპის მონეტებს შორის.

ზემოთ შემოთავაზებული ჰიპოთეზა მით უფრო სარწმუნო იქნება, თუ გავიხსენებთ ანტიკური და ბიზანტიური ხანის ავტორების მოწმობას იმის შესახებ, რომ ჰეკატეს კულტი და მასთან დაკავშირებული მისტერიები ფართოდ იყო გავრცელებული კოლხეთში.

გაითვალისწინეს რა ყოველივე ზემოთქმული, ქართველმა მეცნიერებმა დ. კაპანაძემ და ი. შენგელიამ II ტიპის დიდრაქმაზე გამოსახული სამი იდენტური თავი მიიჩნიეს სამთავიან ჰეკატეს იკონოგრაფიად და დაუკავშირეს მთვარის სამ ფაზას.

ამრიგად, ჰეკატეს კულტის არსებობის ფაქტი კოლხეთში რეალობაა. თუ მსჯელობა ჰეკატეს კულტისა და კოლხური თეთრის ტიპოლოგიის ურთიერთკავშირის შესახებ შესაწყნარებელია, მაშინ შესაძლებელია აიხსნას აგრეთვე ე.წ. ტეტრადრაქმის რევერსზე გამოსახული ფრთოსანი რაშის სემანტიკური მნიშვნელობაც, რომელიც ამოვარდნილია კოლხური თეთრის საერთო ტიპოლოგიიდან. საქმე ისაა, რომ სხვა მრავალ ფუნქციას შორის, რომელიც მას გააჩნია, ჰეკატე ცხენების მოშენების მფარველი ღვთაებაცაა. ძალიან ფრთხილი ვარაუდის სახით შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე ჰეკატეს კულტის ანარეკლთან გვაქვს.

იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ძველ ქართულ წარმართულ პანთეონში მთვარის ღვთაება ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო (აკად.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით კი, მთვარე მთავარი ღვთაებაა ქართული ტომების რწმენა-წარმოდგენებში). ჰინტერლანდში ὁ Μείζ კულტია, ზღვისპირეთში – ἡ Ἑκάτη. ხარის თავი მთვარის ატრიბუტია. ქალის შიშველი ფიგურა ნაყოფიერების კულტთან არის დაკავშირებული. ჰეკატე კი თავის თავში აერთიანებდა მთვარის და ნაყოფიერების ღვთაების ფუნქციებს. ამავე დროს, ჰეკატეს კულტი, სხვადასხვა სამეცნიერო გამოკვლევების თანახმად, ასევე პოპულარული იყო მილეტშიც. ცნობილია და დავას არ იწვევს, რომ კოლონიას თავის დამაარსებელ ქალაქთან აკავშირებდა რელიგიური კულტი; კოლონიაში იგივე ღვთაებას სცემდნენ თაყვანს, როგორსაც მეტროპოლიაში.

1899 წელს მდ. ყუბანის ნაპირას ხუტორ ზუბოვკაში აღმოჩნდა ვერცხლის თასი წარწერით: „აპოლონ-წინამძღოლისა ვარ, რომელიც ფაზისში არის“. წარწერა თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის დასასრულით, ან IV საუკუნის დასაწყისით. ამის საფუძველზე ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ ფაზისში არსებობდა აპოლონის ტაძარი ან სამლოცველო და ეს ნივთი მისთვის იყო შეწირული. ამრიგად, ფაზისში, ისევე როგორც ყველა თავის კოლონიაში, მილეტელებს გადმოუტანიათ და დაუნერგავთ აპოლონის კულტი. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ფაზისში აპოლონ-წინამძღოლის-ჰეგემონის ტაძარი იყო, ე.ი. სწორედ კოლონისტების კულტი იყო გადმოტანილი.

აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ მილეტიდან მოსულმა ბერძნებმა ადგილობრივი მთვარის ღვთაება გაიაზრეს როგორც ჰეკატე და მისი გამოსახულება მოათავსეს ე.წ. კოლხურ მონეტებზე. თუ ეს ასეა, მაშინ არაფერი იქნება იმაში უჩვეულო, რომ ეს მონეტები ერთდროულად ასრულებდა საქალაქო მონეტის ფუნქციასაც და კოლხეთის შიდა რაიონებთან სავაჭრო ეკვივალენტის როლსაც. ეს მოსაზრება დასტურდება იმითაც, რომ კოლხური თეთრი აღმოჩენილია როგორც შავი ზღვის სანაპირო ზოლის პუნქტებში, ასევე – დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში. ამასთანავე, დღეისათვის მათი აღმოჩენების რიცხვი შიდა რაიონებში სჭარბობს.

II ტიპის დიდრაქმის ასე მოხსენიება, ალბათ, პირობითია, რადგან მძიმე ცალები (9,6 გრ., 9,9 გრ., 10,4 გრ.) სპარსული სტატერებია, მსუბიქი (8,7 გრ., 9,2 გრ.) კი – ატიკური სისტემის დიდრაქმები.

ფული ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულებით ჯერ მოიჭრა როგორც სპარსული სისტემის სტატერი. ამავე ემისიას განეკუთვნება სიკლიც, ე.წ. დრაქმა. მომდევნო ემისიაა სპარსული სტატერი ადამიანის თავების გამოსახულებით. ჰერმაფროდიტი ლომის

	გამოსახულების რესტავრაცია უკვე ატიკური სისტემის ექსპლუატაციასთან არის დაკავშირებული – იჭრება დიდრაქმა ლომისგამოსახულებიან ჰემიდრაქმასთან ერთად. ამას მოჰყვა ადამიანის თავების გამოსახულებიანი ფული, როგორც ატიკური სტანდარტის დიდრაქმა. II ტიპის ჰემიდრაქმა (ადამიანის არქაისტული თავი/ხარის თავი), ერთის მხრივ, აშკარად ატიკური სისტემის მიხედვით არის მოჭრილი, მეორეს მხრივ, ის არის III ტიპის დიდრაქმის (ადამიანის არქაისტული თავი/ხარის თავები) გამარტივებული ვარიანტი. აქედან კი ასეთი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი – III ტიპის დიდრაქმა უნდა ჩაითვალოს ატიკური სისტემის მსხვილ ნომინალად, რომელიც ქალისგამოსახულებიან ჰემიდრაქმასთან ერთად ქმნის ერთ ემისიას. ეს უკანასკნელი ტიპი შემდგომ ძალზედ ხანგრძლივ სერიას მიესადაგა. სტილისტურ-ტექნოლოგიური და მეტროლოგიური მონაცემებით, აღნიშნული მონეტები ძვ. წ. V საუკუნით თარიღდება.
ზარაფხანა	ფაზისი.
ნომინალი	სპარსული სტატერები – მაგ. 9,6 გრ., 9,9 გრ., 10,4 გრ. ატიკური დიდრაქმები – მაგ. 8,7 გრ., 9,2 გრ.
თარიღი	ძვ. წ. V ს.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 7 ცალი, გფ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განმეების ფონდი) №4809, ქფ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №1-2, ქფ. №1630, ქფ. №2849, ქფ. №3825, ქფ. №3826, ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმი – 2 ცალი; ერმიტაჟი – 1 ცალი; აშშ ნუმიზმატიკური ასოციაციის კოლექცია – 1 ცალი.

ჯგუფი	კოლხური თეთრი
ტიპი	III ტიპი დიდრაქმა
აღწერა, ფოტო	ვერცხლი. შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ (ისეთივე, როგორც II ტიპის დიდრაქმაზე). ზურგი: ხარის ორი თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ ორ quadratum incusum-ში (ხარები იდენტურია კოლხურ ნახევარდრაქმებზე გამოსახული ხარისა).
სამეცნიერო კომენტარი	კოლხური თეთრი სამონეტო ჯგუფის სახელია. პირველად სახელწოდება „კოლხური თეთრი“ II ტიპის ჰემიდრაქმებს (იგივე ტრიობოლი. შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) ეწოდა. ისინი ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მათი კოლხური გენეზისი ეჭვგარეშეა. 1959 წელს ჩეხმა მეცნიერმა ე. პოხიტონოვმა გამოაქვეყნა კოლხური დიდრაქმის ახალი ტიპი, რომელიც თურმე 1910 წელს ფოთში აღმოუჩენიათ. ეს უნიკალური მონეტა ამჟამად დაკარგულია. ე. პოხიტონოვს შემორჩენილი ჰქონია მისი ჩანახატი, რომელიც მან დ. კაპანაძეს გამოუგზავნა. ე. პოხიტონოვი მას II ტიპის დიდრაქმის სინქრონულად მიიჩნევდა. III ტიპის დიდრაქმის შუბლზე მოთავსებული ადამიანის თავის არქაისტული გამოსახულება ტიპოლოგიურად და სტილისტურად მსგავსია II ტიპის დიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ. ზურგი: ორ quadratum incusum-ში ერთმანეთის საპირისპიროდ ადამიანის ისეთივე თავები, როგორიც მონეტის შუბლზეა გამოსახული) შუბლზე ამოტვიფრული ადამიანის თავის. ზურგის მხარეები თითქოს განსხვავებულია, მაგრამ ისინი სემანტიკურად ერთმანეთს უკავშირდება (ცოტა ქვემოთ აღვნიშნავთ ადამიანის და ხარის ტიპოლოგიურ სინთეზს). ადამიანის და ხარის თავები სინონიმური კატეგორიებია. II ტიპის დიდრაქმა 11 ცალადაა ცნობილი და მათი ერთი ნაწილი აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში, სხვა კოლხურ მონეტებთან ერთად განძებში (ფოთსა და ახალსოფელში). მათი კოლხური გენეზისი უდავოა.

	III ტიპის დიდრაქმის შუბლზე გამოსახული ადამიანის თავი ტიპოლოგიურად და სტილისტურად მსგავსია ჰემიტეტარტემორიონის (შუბლი: მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გამოსახულება. ზურგი: მარჯვნივ მიმართული რომელიღაც ფრინველი, სავარაუდოდ წერო) შუბლის გამოსახულების. ჰემიტეტარტემორიონის ცნობილი სამი ცალიდან სამივე დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ტერიტორიაზეა (ფიჭვნარი) აღმოჩენილი. აღმოჩენის ტოპოგრაფია და ტიპოლოგიურ-სტილისტური მსგავსებანი მათი კოლხური წარმომავლობის მანიშნებელია. III ტიპის დიდრაქმის შუბლის იკონოგრაფია, ადამიანის თავის არქაისტული გამოსახულება სტილისტურად მსგავსია II ტიპის ჰემიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) შუბლის გამოსახულების. II ტიპის ჰემიდრაქმა ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს, როგორც შიდა, ისე ზღვისპირა ტერიტორიებზე, ამიტომ მათი კოლხური გენეზისი ეჭვგარეშეა. თავდაპირველად სწორედ ამ ტიპის მონეტებს ეწოდა კოლხური თეთრი. III ტიპის დიდრაქმის ზურგზე გამოსახული ხარის თავი ანალოგიურია I ტიპის დიდრაქმის (შუბლი: მწოლიარე ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულება მარჯვნივ/მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალის ფიგურა მარჯვნივ/მარცხნივ) ზურგზე გამოსახული ხარის თავის. I ტიპის დიდრაქმის 9 ცალიდან 5 დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, მათგან 3 – ფოთისა და ახალსოფლის (ზუგდიდის რაიონი) კოლხური მონეტების განძებში. ამ განძებში აღმოჩენილი ფულის უმრავლესობა II ტიპის ჰემიდრაქმებს წარმოადგენს. ამ უკანასკნელის კოლხური გენეზისი კი ეჭვგარეშეა. ყოველივე ეს I ტიპის დიდრაქმის კოლხურ გენეზისზე მიუთითებს. III ტიპის დიდრაქმის ზურგზე გამოსახული ხარის თავი ანალოგიურია ე.წ. დრაქმის (შუბლი: ლომის თავის გამოსახულება an face. ზურგი: quadratum incusum -ში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ხარის თავი) ზურგზე გამოსახული ხარის თავის. მართალია ე.წ. დრაქმის ქუთაისის ცნობილი 1 ცალი უპასპორტოა, მაგრამ, სავარაუდოდ, ის სადმე იქვეა აღმოჩენილი, სხვანაირად ლოკალურ მუზეუმში ვერ მოხვდებოდა. აღსანიშნავია, რომ ე.წ. ტეტრადრაქმაზე (შუბლი: იშვიათი
--	---

ხელოვნებით შესრულებული დადრენილი ლომის თავის გამოსახულება მარცხნივ/მარჯვნივ. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული ფრთოსანი რაშის პროტომა მარჯვნივ), I ტიპის დიდრაქმაზე, ე.წ. დრაქმაზე და I ტიპის ჰემიდრაქმაზე (შუბლი: დადრენილი ლომის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა) გამოსახული ლომის თავების ტიპოლოგიური და სტილისტური კავშირი მათ საერთო გენეზისზე მიუთითებს.

თავდაპირველად, „კოლხური თეთრი“ II ტიპის ჰემიდრაქმას ეწოდა. III ტიპის დიდრაქმის და ზემოთ განხილული სხვა ტიპის მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფია და ტიპოლოგიური-სტილისტური ანალიზი საფუძველს გვაძლევს ისინი კოლხური თეთრის ჯგუფს მივაკუთვნოთ.

სამონეტო ჯგუფის, კოლხური თეთრის, ფარგლებში რვა ტიპი გამოიყოფა. რვავე ტიპის ლოკალური გენეზისის საკითხი პუნქტობრივად ასე უნდა გადაწყდეს:

1) ჰემიდრაქმის II ტიპი (ადამიანის თავის გამოსახულება/Rv. ხარის თავი) კოლხეთში იჭრებოდა. აღმოჩენათა ტოპოგრაფია სწორედ ამაზე მეტყველებს – ათასობით არის ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში; მის ფარგლებს გარეთ კი მხოლოდ რამდენიმე ათეული ცალია დაფიქსირებული.

2) III ტიპის დიდრაქმა (ადამიანის თავი/Rv. ხარის თავები ორ quadratum incusum-ში) ადამიანის და ხარისთავიანი ძეგლების ტიპოლოგიური პროტოტიპია, ჰემიდრაქმა მისი გამარტივებული ვარიანტია – აქ ხარის თავია ორის მაგივრად. ორივე ტიპის არქაისტული სტილიც მათ ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირებს – ეს კოლხეთის ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ელინური პოლიტიკური ორგანიზმის პროდუქციაა.

3) II ტიპის დიდრაქმა (ადამიანის არქაისტული თავი/Rv. ასეთივე თავები ორ quadratum incusum-ში) წინას მსგავსია. ზურგის მხარეები თითქოს განსხვავებულია, მაგრამ ცოტა ქვემოთ აღვნიშნავთ ქალის და ხარის ტიპოლოგიურ სინთეზს I ტიპის დიდრაქმის რევერსზე; ე.ი. ქალი და ხარი სინონიმური კატეგორიებია. არქაისტული ადამიანის თავის ტიპოლოგია და აღმოჩენათა ტოპოგრაფია კვლავ და კვლავ კოლხეთის ელინურ პოლისებზე უნდა ამახვილებდეს კონკრეტული ასპექტით ჩვენს ყურადღებას.

4) ჰემიტეტარტემორიონები ფიჭვნარიდან (არქაისტული თავი/Rv. წერო) თემატურ ჰარმონიაშია დანარჩენ ნომინალებთან და აი, რატომ:

ა) II ტიპის დიდრაქმაზე ტრიომორფული ჰეკატეა (ამაზე ქვემოთ).

	ბ) III ტიპის დიდრაქმაზე – ტრიომორფული და ზომორფული ჰეკატე. გ) II ტიპის ჰემიდრაქმის ტიპოლოგიაც მსგავსია. ე. ი. ყველგან მთვარის ატრიბუტებია. ჰემიტეტარტემორიონის ტიპოლოგიასთან მიმართებაში მეტად სიმპტომატურია მაღალფეხებიანი ფრინველის და ლოტოსის კვიპროსული (კერამიკაზე) სინთეზი; ეს უკანასკნელი ნაყოფიერების ღვთაების ატრიბუტია, წერო კი მისი სინონიმი ყოფილა. ნაყოფიერების ღვთაება კოლხეთში ამავე დროს ჰეკატეცაა. 5) ასეთი ფუნქციური სინთეზის იკონოგრაფია I ტიპის დიდრაქმის ზურგის მხარეზეა წარმოდგენილი: ა) ქალის შიშველი ფიგურა ნაყოფიერების კულტთან არის დაკავშირებული; ბ) ხარის თავი მთვარის ატრიბუტია; გ) ამასთან ჰინტერლანდში ὁ Μείς კულტია, ზღვისპირეთში – ἡ Ἐκάτη. ბილინგვიზირებული ფაზისის ვარიანტია ჰერმაფროდიტული სინთეზი – მთვარის სქესობრივი აღქმის მოტანილი და ადგილობრივი შტრიხების შერწყმა. ტიპოლოგიური მიმართებანი, აღმოჩენათა ტოპოგრაფია, ასტრალური თემატიკა (შუბლის მხარეზე გამოსახული ლომი, აპოლონ/ჰელიოსის სიმბოლო; მისი ჰერმაფროდიტიზაცია კი უკვე აპოლონის მზექალასთან შერწყმის პერიპეტიაა. ლომი ნამდვილად ჰერმაფროდიტია – ხვადის ფაფრითა და ძუძუებით. ეს ორი სქესობრივი კატეგორია იკონოგრაფიულად რეალისტურად აისახებოდა, მაგალითისთვის იხ. კოლხური ჰემიდრაქმების I ტიპი; ან კი – საკუთრივ მილეტური ნუმიზმატიკა) კონკრეტულ ტიპს უცილობლად უკავშირებს ზემოაღნიშნულ მასალას. 6) კოლხური ე.წ. დრაქმა (ლომის თავი an face/Rv. ხარის თავის გამოსახულება), ქუთაისის მუზეუმის უპასპორტო ცალი, ტიპოლოგიურ-თემატურ კავშირშია განხილულ დიდრაქმასთან. 7) იგივე შეიძლება ითქვას I ტიპის ჰემიდრაქმის (ლომის თავი/Rv. ძუ ლომის პროტომა) მიმართაც – აქ მზის ჰერმაფროდიტული აღქმის იდეაა დაფიქსირებული; აღმოჩენათა ტოპოგრაფიაც მის კოლხურ გენეზისს ეთანხმება. 8) ე.წ. ტეტრადრაქმები უპასპორტოა. მაგრამ ტიპოლოგიური პარალელი ჰემიდრაქმების I კატეგორიასთან აშკარაა; თემატიკა ტრადიციულია: აპოლონი-ლომი-მზე/პეგასი-მთვარე. რას უკავშირდება ყველაზე უფრო გავრცელებული კოლხური თეთრის იკონოგრაფია ადამიანისა და ხარის თავების
--	--

გამოსახულებით? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია იმ ფანტასტიკური არსების სწორი დეფინიცია, რომელიც I ტიპის დიდრაქმაზეა (შუბლი: მწოლიარე ჰერმეფროდიტი ლომის გამოსახულება მარჯვნივ/მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალი მარჯვნივ/მარცხნივ) ამოტვიფრული. ეს უაღრესად რთული საკითხია, მაგრამ ზოგი მოსაზრების წამოყენება მაინც არის შესაძლებელი.

ზოგიერთი მეცნიერის მიერ ადრევე იყო შენიშნული დიდი მსგავსება ჩვეულებრივი ტიპის ნახევარდრაქმებზე გამოსახული ხარისა და დაჩოქილი ადამიანის ხარის თავებს შორის. ეს იძლევა მათ შორის იკონოგრაფიული ძაფის გაბმის საშუალებას. გაითვალისწინა რა ზემოთქმული, გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა ა. ზოგრაფმა დასვა უაღრესად მნიშვნელოვანი კითხვა: ხომ არ არის კოლხური თეთრის ტიპოლოგიის ცვალებადობა ერთ და იმავე ღვთაებაზე წარმოდგენათა დიფერენციაციის, წარმოდგენათა ცვალებადობის (ცხადია, დროის განზომილებაში) შედეგი? ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დაკვირვებაა. მართლაც, შესაძლებელია ფანტასტიკურ არსებაზე წარმოდგენათა დიფერენციაციამ ძვ. წ. V საუკუნეში, თავდაპირველად, მოგვცა II ტიპის დიდრაქმა (შუბლზე ადამიანის არქაისტული თავის და ზურგზე, ერთმანეთის საპირისპიროდ, ორი ასეთივე ადამიანის თავის გამოსახულება), ხოლო შემდეგ – III ტიპის დიდრაქმა (შუბლზე ადამიანისა და ზურგზე, ხარის ორი თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანისა და ხარის თავების მონაცვლეობა II ტიპის დიდრაქმის და III ტიპის დიდრაქმის რევერსზე შემთხვევით არ უნდა იყოს და მათ ეკვივალენტურობაზე უნდა მიუთითებდეს, და ბოლოს, მივიღეთ II ტიპის ჰემიდრაქმა, ადამიანისა და ხარის თავების გამოსახულებით.

ხარი, როგორც წესი, უკავშირდება მთვარის ღვთაებას. ანტიკურ მითოლოგიაში კი სამთავიანი ღვთაება (გავიხსენოთ II ტიპის დიდრაქმაზე ამოკვეთილი რომელიღაც ღვთაების სამი თავი), რომელსაც მთვარის ღვთაების ფუნქციაც აქვს, არის ჰეკატე, ძველადმოსავლური ღვთაება, რომლის კულტიც საბერძნეთში აღმოსავლეთიდანაა შემოსული. სწორედ, ამ ქალღვთაების სამი თავი უნდა იყოს გამოსახული II ტიპის დიდრაქმაზე. ამრიგად, თითქოს გაიბა ერთგვარი ჯაჭვი კოლხური თეთრის სხვადასხვა ტიპის მონეტებს შორის.

ზემოთ შემოთავაზებული ჰიპოთეზა მით უფრო სარწმუნო იქნება, თუ გავიხსენებთ ანტიკური და ბიზანტიური ხანის ავტორების

მოწმობას იმის შესახებ, რომ ჰეკატეს კულტი და მასთან დაკავშირებული მისტერიები ფართოდ იყო გავრცელებული კოლხეთში.

გაითვალისწინეს რა ყოველივე ზემოთქმული, ქართველმა მეცნიერებმა დ. კაპანაძემ და ი. შენგელიამ II ტიპის დიდრაქმაზე გამოსახული სამი იდენტური თავი მიიჩნიეს სამთავიან ჰეკატეს იკონოგრაფიად და დაუკავშირეს მთვარის სამ ფაზას.

ამრიგად, ჰეკატეს კულტის არსებობის ფაქტი კოლხეთში რეალობაა. თუ მსჯელობა ჰეკატეს კულტისა და კოლხური თეთრის ტიპოლოგიის ურთიერთკავშირის შესახებ შესაწყნარებელია, მაშინ შესაძლებელია აიხსნას აგრეთვე ე.წ. ტეტრადრაქმის რევერსზე გამოსახული ფრთოსანი რაშის სემანტიკური მნიშვნელობაც, რომელიც ამოვარდნილია კოლხური თეთრის საერთო ტიპოლოგიიდან. საქმე ისაა, რომ სხვა მრავალ ფუნქციას შორის, რომელიც მას გააჩნია, ჰეკატე ცხენების მოშენების მფარველი ღვთაებაცაა. ძალიან ფრთხილი ვარაუდის სახით შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე ჰეკატეს კულტის ანარეკლთან გვაქვს.

იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ძველ ქართულ წარმართულ პანთეონში მთვარის ღვთაება ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო (აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით კი, მთვარე მთავარი ღვთაებაა ქართული ტომების რწმენა-წარმოდგენებში). ჰინტერლანდში ὁ Μείς კულტია, ზღვისპირეთში – ἡ Ἑκάτη. ხარის თავი მთვარის ატრიბუტია. ქალის შიშველი ფიგურა ნაყოფიერების კულტთან არის დაკავშირებული. ჰეკატე კი თავის თავში აერთიანებდა მთვარის და ნაყოფიერების ღვთაების ფუნქციებს. ამავე დროს, ჰეკატეს კულტი, სხვადასხვა სამეცნიერო გამოკვლევების თანახმად, ასევე პოპულარული იყო მილეტშიც. ცნობილია და დავას არ იწვევს, რომ კოლონიას თავის დამაარსებელ ქალაქთან აკავშირებდა რელიგიური კულტი; კოლონიაში იგივე ღვთაებას სცემდნენ თაყვანს, როგორსაც მეტროპოლიაში.

1899 წელს მდ. ყუბანის ნაპირას ხუტორ ზუბოვკაში აღმოჩნდა ვერცხლის თასი წარწერით: „აპოლონ-წინამძღოლისა ვარ, რომელიც ფაზისში არის“. წარწერა თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის დასასრულით, ან IV საუკუნის დასაწყისით. ამის საფუძველზე ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ ფაზისში არსებობდა აპოლონის ტაძარი ან სამლოცველო და ეს ნივთი მისთვის იყო შეწირული. ამრიგად, ფაზისში, ისევე როგორც ყველა თავის კოლონიაში, მილეტელებს გადმოუტანიათ და დაუნერგავთ აპოლონის კულტი. განსაკუთრებით


უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ფაზისში აპოლონ-წინამძღოლის-ჰეგემონის ტაძარი იყო, ე.ი. სწორედ კოლონისტების კულტი იყო გადმოტანილი.

აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ მილეტიდან მოსულმა ბერძნებმა ადგილობრივი მთვარის ღვთაება გაიაზრეს როგორც ჰეკატე და მისი გამოსახულება მოათავსეს ე.წ. კოლხურ მონეტებზე. თუ ეს ასეა, მაშინ არაფერი იქნება იმაში უჩვეულო, რომ ეს მონეტები ერთდროულად ასრულებდა საქალაქო მონეტის ფუნქციასაც და კოლხეთის შიდა რაიონებთან სავაჭრო ეკვივალენტის როლსაც. ეს მოსაზრება დასტურდება იმიტაც, რომ კოლხური თეთრი აღმოჩენილია როგორც შავი ზღვის სანაპირო ზოლის პუნქტებში, ასევე – დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში. ამასთანავე, დღეისათვის მათი აღმოჩენების რიცხვი შიდა რაიონებში სჭარბობს.

III ტიპის დიდრაქმის თითქმის სრული ტიპო ლოგიური შესაბამისობა ჰემიდრაქმების მეორე ტიპთან (ის ატიკური სისტემით იჭრებოდა) სწორედ ატიკური დიდრაქმის ვარიანტს ხდის ჩვენთვის კონკრეტული ასპექტით საინტერესოს. ტიპის მატარებელის უნიკალურობა და ასევე აშკარა ტიპოლოგიური კავშირი ჰემიდრაქმებთან კონკრეტული ემისიის ეკონომიკურ წელს აძლევს სპეციალურ სტატუსს – ეს არის *terminus post quem non* ჰემიდრაქმების მეორე ტიპის სერიისა, რაც, ალბათ, შემდგომ წელსვე მსხვილი ნომინალის დამატების გარეშე ხორციელდებოდა. აღნიშნული ეგზემპლარი ძვ. წ. V საუკუნით თარიღდება.

ფული ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულებით ჯერ მოიჭრა როგორც სპარსული სისტემის სტატერი. ამავე ემისიას განეკუთვნება სიკლიც, ე.წ. დრაქმა. მომდევნო ემისიას სპარსული სტატერი ადამიანის თავების გამოსახულებით. ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულების რესტავრაცია უკვე ატიკური სისტემის ექსპლუატაციასთან არის დაკავშირებული – იჭრება დიდრაქმა ლომისგამოსახულებიან ჰემიდრაქმასთან ერთად. ამას მოჰყვა ადამიანის თავების გამოსახულებიანი ფული, როგორც ატიკური სტანდარტის დიდრაქმა. II ტიპის ჰემიდრაქმა (ადამიანის არქაისტული თავი/ხარის თავი), ერთის მხრივ, აშკარად ატიკური სისტემის მიხედვით არის მოჭრილი, მეორეს მხრივ, ის არის III ტიპის დიდრაქმის (ადამიანის არქაისტული თავი/ხარის თავები) გამარტივებული ვარიანტი. აქედან კი ასეთი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი – III ტიპის დიდრაქმა უნდა ჩაითვალოს ატიკური სისტემის მსხვილ ნომინალად, რომელიც ქალისგამოსახულებიან ჰემიდრაქმასთან ერთად ქმნის ერთ ემისიას. ეს უკანასკნელი ტიპი

	შემდგომ ძალზედ ხანგრძლივ სერიას მიესადაგა.
ზარაფხანა	ფაზისი.
ნომინალი	ატიკური სტანდარტის დიდრაქმა.
თარიღი	ძვ. წ. V საუკუნე.
კოლექცია	

ჯგუფი	კოლხური თეთრი
ტიპი	ე.წ დრაქმა
აღწერა	ვერცხლი. წონა – 5,52 გრ. d=17/19 მმ. შუბლი: ლომის თავის გამოსახულება პირდაპირ (an face). ზურგი: quadratum incusum-ში (ჩაჭდეულ კვადრატში) მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. 
სამეცნიერო კომენტარი	კოლხური თეთრი სამონეტო ჯგუფის სახელია. პირველად სახელწოდება „კოლხური თეთრი“ II ტიპის ჰემიდრაქმებს (იგივე ტრიობოლი. შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) ეწოდა. ისინი ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მათი კოლხური გენეზისი ეჭვგარეშეა. ე.წ დრაქმა მხოლოდ ერთი ცალია და ისიც – უპასპორტო. მიუხედავად ამისა, ა. ზოგრაფმა, ტიპოლოგიური მსგავსების საფუძველზე, შესაძლებლად მიიჩნია მისი შეტანა კოლხეთის ნუმისმატიკური ძეგლების რიცხვში. ეს აზრი ამჟამად დამკვიდრებულად ითვლება სამეცნიერო ლიტერატურაში. ძნელია იმაზე მსჯელობა, თუ რამდენად მართებულია ერთადერთი და ისიც უპასპორტო მონეტის მიკუთვნება ამა თუ იმ ქვეყნის ნუმისმატიკური მემკვიდრეობისათვის მართლოდენ ტიპოლოგიური მსგავსების საფუძველზე, მით უმეტეს, რომ ე.წ. დრაქმაზე ამოტვიფრული ლომის თავი an face-ში პირდაპირ პარალელს ვერ პოულობს დანარჩენ კოლხურ მონეტებს შორის, თუმცა – მაინც შესაძლებელია. მართალია, ე.წ. დრაქმის ქუთაისის ცნობილი ცალი უპასპორტოა, მაგრამ, სავარაუდოდ, ის სადმე იქვეა აღმოჩენილი, სხვანაირად ლოკალურ მუზეუმში ვერ მოხვდებოდა.

ე.წ. დრაქმის ზურგზე გამოსახული ხარის თავი ტიპოლოგიურად მსგავსია I ტიპის დიდრაქმის (შუბლი: მწოლიარე ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულება მარჯვნივ/მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალის ფიგურა მარჯვნივ/მარცხნივ) ზურგის იკონოგრაფიის. I ტიპის დიდრაქმის ცნობილი 9 ცალიდან 5 დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის) ტერიტორიაზე აღმოჩენილი, აქედან 3 ცალი – კოლხური მონეტების განძებში II ტიპის ჰემიდრაქმებთან ერთად, ამ მონეტების კოლხური გენეზისი კი ეჭვგარეშეა.

ე.წ. დრაქმის ზურგზე გამოსახული ხარის თავი ტიპოლოგიურად და სტილისტურად მსგავსია III ტიპის დიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ. ზურგი: ხარის ორი თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ ორ quadratum incusum-ში.) ზურგზე მოთავსებული ხარის თავის გამოსახულებების. ის სემანტიკურად ასევე უკავშირდება II ტიპის დიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ (ზუსტად ისეთივე, როგორც მეორე ტიპის ნახევარდრაქმაზე). ზურგი: ორ quadratum incusum-ში ადამიანის ასეთივე თავები ერთმანეთის საპირისპიროდ) ზურგის იკონოგრაფიას. ამ უკანასკნელის სახეცვლილებას კი III ტიპის დიდრაქმა უნდა წარმოადგენდეს, რადგან ადამიანის და ხარის თავები სინონიმური კატეგორიებია (ამაზე ქვემოთ). II ტიპის დიდრაქმა 11 ცალადაა ცნობილი და მათი ერთი ნაწილი აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში, სხვა კოლხურ მონეტებთან ერთად განძებში (ფოთსა და ახალსოფელში), ისევე როგორც – III ტიპის დიდრაქმა.

ე.წ. დრაქმის ზურგის იკონოგრაფია, ხარის თავი, სტილისტურად მსგავსია II ტიპის ჰემიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) ზურგის გამოსახულების. II ტიპის ჰემიდრაქმა ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს როგორც შიდა, ისე – ზღვისპირა ტერიტორიაზე, ამიტომ მათი კოლხური გენეზისი ეჭვგარეშეა. თავდაპირველად სწორედ ამ ტიპის მონეტებს ეწოდა კოლხური თეთრი.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. დრაქმაზე გამოსახული ლომის თავი an face ანალოგიის გარეშეა. თუმცა, ის ტიპოლოგიურად მსგავსია ე.წ. ტეტრადრაქმის (შუბლი: იშვიათი ხელოვნებით შესრულებული დაღრენილი ლომის თავის გამოსახულება მარცხნივ/მარჯვნივ.

ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული ფრთოსანი რაშის პროტომა მარჯვნივ) და I ტიპის დიდრაქმის (შუბლი: მწოლიარე ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულება მარჯვნივ/მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალის ფიგურა მარჯვნივ/მარცხნივ) შუბლზე გამოსახული ლომის თავების.

ე.წ. დრაქმის ლომის თავი ტიპოლოგიურად მსგავსია I ტიპის ჰემიდრაქმებზე (შუბლი: დადრეწილი ლომის თავის მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა) გამოსახული ლომების გამოსახულების. I ტიპის ჰემიდრაქმა 4 ცალად არის ცნობილი და ოთხივე დასავლეთ საქართველოს როგორც შიდა, ისე ზღვისპირა ტერიტორიაზეა აღმოჩენილი.

ე.წ. დრაქმის ტიპოლოგიური და სტილისტური მსგავსება ზემოთ განხილულ სხვა ტიპის მონეტებთან, ასევე მათი აღმოჩენათა ტოპოგრაფია (დასავლეთ საქართველო) და მსგავსება II ტიპის ჰემიდრაქმასთან საშუალებას გვაძლევს ეს მონეტები კოლხური თეთრის ჯგუფს მივაკუთვნოთ.

სამონეტო ჯგუფის, კოლხური თეთრის, ფარგლებში რვა ტიპი გამოიყოფა. რვავე ტიპის ლოკალური გენეზისის საკითხი პუნქტობრივად ასე უნდა გადაწყდეს:

1) ჰემიდრაქმის II ტიპი (ადამიანის თავის გამოსახულება/Rv. ხარის თავი) კოლხეთში იჭრებოდა. აღმოჩენათა ტოპოგრაფია სწორედ ამაზე მეტყველებს – ათასობით არის ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში; მის ფარგლებს გარეთ კი მხოლოდ რამდენიმე ათეული ცალია დაფიქსირებული.

2) III ტიპის დიდრაქმა (ადამიანის თავი/Rv. ხარის თავები ორ quadratum incusum-ში) ადამიანის და ხარისთავიანი ძეგლების ტიპოლოგიური პროტოტიპია, ჰემიდრაქმა მისი გამარტივებული ვარიანტია – აქ ხარის თავია ორის მაგივრად. ორივე ტიპის არქაისტული სტილიც მათ ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირებს – ეს კოლხეთის ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ელინური პოლიტიკური ორგანიზმის პროდუქციაა.

3) II ტიპის დიდრაქმა (ადამიანის არქაისტული თავი/Rv. ასეთივე თავები ორ quadratum incusum-ში) წინას მსგავსია. ზურგის მხარეები თითქოს განსხვავებულია, მაგრამ ცოტა ქვემოთ აღვნიშნავთ ქალის და ხარის ტიპოლოგიურ სინთეზს I ტიპის დიდრაქმის რევერსზე; ე.ი. ქალი და ხარი სინონიმური კატეგორიებია. არქაისტული ადამიანის თავის ტიპოლოგია და აღმოჩენათა ტოპოგრაფია კვლავ და კვლავ

	კოლხეთის ელინურ პოლისებზე უნდა ამახვილებდეს კონკრეტული ასპექტით ჩვენს ყურადღებას. 4) ჰემიტეტარტემორიონები ფიჭვნარიდან (არქაისტული თავი/Rv. წერო) თემატურ ჰარმონიაშია დანარჩენ ნომინალებთან და აი, რატომ: ა) II ტიპის დიდრაქმაზე ტრიომორფული ჰეკატეა (ამაზე ქვემოთ). ბ) III ტიპის დიდრაქმაზე – ტრიომორფული და ზომორფული ჰეკატე. გ) II ტიპის ჰემიდრაქმის ტიპოლოგიაც მსგავსია. ე. ი. ყველგან მთვარის ატრიბუტებია. ჰემიტეტარტემორიონის ტიპოლოგიასთან მიმართებაში მეტად სიმპტომატურია მაღალფეხებიანი ფრინველის და ლოტოსის კვიპროსული (კერამიკაზე) სინთეზი; ეს უკანასკნელი ნაყოფიერების ღვთაების ატრიბუტია, წერო კი მისი სინონიმი ყოფილა. ნაყოფიერების ღვთაება კოლხეთში ამავე დროს ჰეკატეცაა. 5) ასეთი ფუნქციური სინთეზის იკონოგრაფია I ტიპის დიდრაქმის ზურგის მხარეზეა წარმოდგენილი: ა) ქალის შიშველი ფიგურა ნაყოფიერების კულტთან არის დაკავშირებული; ბ) ხარის თავი მთვარის ატრიბუტია; გ) ამასთან ჰინტერლანდში ὁ Μείς კულტია, ზღვისპირეთში – ἡ Ἑκάτη. ბილინგვიზირებული ფაზისის ვარიანტია ჰერმაფროდიტული სინთეზი – მთვარის სქესობრივი აღქმის მოტანილი და ადგილობრივი შტრიხების შერწყმა. ტიპოლოგიური მიმართებანი, აღმოჩენათა ტოპოგრაფია, ასტრალური თემატიკა (შუბლის მხარეზე გამოსახული ლომი, აპოლონ/ჰელიოსის სიმბოლო; მისი ჰერმაფროდიტიზაცია კი უკვე აპოლონის მზექალასთან შერწყმის პერიპეტიაა. ლომი ნამდვილად ჰერმაფროდიტია – ხვადის ფაფრითა და ძუძუებით. ეს ორი სქესობრივი კატეგორია იკონოგრაფიულად რეალისტურად აისახებოდა, მაგალითისთვის იხ. კოლხური ჰემიდრაქმების I ტიპი; ან კი – საკუთრივ მილეტური ნუმიზმატიკა) კონკრეტულ ტიპს უცილობლად უკავშირებს ზემოაღნიშნულ მასალას. 6) კოლხური ე.წ. დრაქმა (ლომის თავი an face/Rv. ხარის თავის გამოსახულება), ქუთაისის მუზეუმის უპასპორტო ცალი, ტიპოლოგიურ-თემატურ კავშირშია განხილულ დიდრაქმასთან. 7) იგივე შეიძლება ითქვას I ტიპის ჰემიდრაქმის (ლომის თავი/Rv. ძუ ლომის პროტომა) მიმართაც – აქ მზის ჰერმაფროდიტული აღქმის იდეაა დაფიქსირებული; აღმოჩენათა ტოპოგრაფიაც მის კოლხურ გენეზისს ეთანხმება.
--	---

8) ე.წ. ტეტრადრაქმები უპასპორტოა. მაგრამ ტიპოლოგიური პარალელი ჰემიდრაქმების I კატეგორიასთან აშკარაა; თემატიკა ტრადიციულია: აპოლონი-ლომი-მზე/პეგასი-მთვარე.

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. დრაქმაზე გამოსახული ლომის თავი ან *an fad* ძრდაპირი ანალოგიის გარეშეა, იკონოგრაფიული მახასიათებლებით ის მაინც დაკავშირებულია კოლხური თეთრის სხვა ტიპის მონეტებთან, რომლებზეც ლომია გამოსახული. ე.წ. ტეტრადრაქმებზე, I ტიპის დიდრაქმებზე და I ტიპის ჰემიდრაქმებზე მოთავსებულ ლომის გამოსახულებას ანალოგი გააჩნია მილეტის (ქალაქი მცირე აზიაში) ნუმიზმატიკაში.

ცნობილია, რომ მილეტის მთავარი ღვთაება აპოლონი იყო (ეს მრავალსახა ღვთაებაა, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ისაა მნიშვნელოვანი, რომ იგი აღიარებულია გზების, მგზავრებისა და მეზღვაურების მფარველად და აგრეთვე მზის სხივის ღვთაებად). ისიც ცნობილია და დავას არ იწვევს, რომ კოლონიას თავის დამაარსებელ ქალაქთან აკავშირებდა რელიგიური კულტი; კოლონიაში იგივე ღვთაებას სცემდნენ თაყვანს, როგორსაც მეტროპოლიაში. ლომი მილეტის სახელმწიფოებრივი ემბლემაა და გამოსახულია მის მონეტებზე. ლომის მოტივი ძალიან ხშირია ბერძნულ ნუმიზმატიკაში და მას სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტში განსხვავებული ფუნქციები აკისრია. მაგრამ მილეტის ნუმიზმატიკაში, როგორც ამას სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ, ის ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაკავშირებულია აპოლონის კულტთან. გარდა ამისა, იმასაც უნდა გაეცვას ხაზი, რომ მილეტის კოლონიების მონეტებზე ყველგან ლომია გამოსახული (მაგ., პანტიკაპეიონის – თანამედროვე ქერჩის – მონეტებზე).

პირველი ტიპის კოლხურ დიდრაქმაზე გამოსახული ლომი, როგორც ეს არაერთგზისაა აღნიშნული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, ყველა დეტალში იმეორებს მილეტურ მონეტებზე ამოტვიფრულ ლომს. მათი იდენტურია აგრეთვე კოლხურ ტეტრადრაქმაზე და პირველი ტიპის ნახევარდრაქმაზე ამოკვეთილი ლომის თავები.

1899 წელს მდ. ყუბანის ნაპირას ხუტორ ზუბოვკაში აღმოჩნდა ვერცხლის თასი წარწერით: „აპოლონ-წინამძღოლისა ვარ, რომელიც ფაზისში არის“. წარწერა თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის დასასრულით, ან IV საუკუნის დასაწყისით. ამის საფუძველზე ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ ფაზისში არსებობდა აპოლონის ტაძარი ან სამლოცველო და ეს ნივთი მისთვის იყო შეწირული. ამრიგად, ფაზისში, ისევე როგორც ყველა თავის კოლონიაში, მილეტელებს

გადმოუტანიათ და დაუნერგავთ აპოლონის კულტი. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ფაზისში აპოლონ-წინამძღოლის-ჰეგემონის ტაძარი იყო, ე.ი. სწორედ კოლონისტების კულტი იყო გადმოტანილი.

მართალია, კოლხურ თეთრზე ამოკვეთილი ლომების კავშირი აპოლონის კულტთან თითქოს უეჭველია, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველური სამყაროს პანთეონის ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება იყო სწორედ მზე. მზის სიმბოლოდ კი საზოგადოდ ლომია მიჩნეული. ამავე დროს, ქართველური ტომების რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, მზე მდედრობით სქესისაა. ახლა თუ გავიხსენებთ იმას, რომ პირველი ტიპის კოლხურ დიდრაქმაზე გამოსახულია ჰერმეფროდიტი ლომი (ფაფრით და ძუძუებით), მაშინ ჩნდება კიდევ ერთი ჰიპოთეზის წამოყენების შესაძლებლობა: ხომ არ მოჭრეს ბერძნებმა ისეთი ტიპის მონეტა, რომლის შუბლის გამოსახულება თანაბრად აკმაყოფილებდა ორივე ეთნიკური ჯგუფის (კოლხური და ბერძნული) ინტერესებს, რადგან ლომის გამოსახულება სემანტიკურად უკავშირდება როგორც აპოლონის, ასევე ქართველური ტომების ერთ-ერთი მთავარი ღვთაების – მზის კულტს.

მოსაზრებას, რომ კოლხური თეთრი სინთეზური კატეგორიის ფულია, კიდევ უფრო ამტკიცებს პირველი ტიპის კოლხური დიდრაქმის ზურგზე ამოკვეთილი ხარისთავიანი დაჩოქილი ადამიანის გამოსახულება. მსოფლიო ნუმიზმატიკაში მას პარალელი არ ეძებნება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი ადგილობრივი ღვთაებაა. ე.ი. ფაზისის ზარაფხანაში შესაძლებელია მოიჭრა ე.წ. ჰიბრიდული მონეტა, რომლის შუბლის გამოსახულება უკავშირდებოდა აპოლონს (ე.ი. აკმაყოფილებდა მილეტელ კოლონისტებს და, სხვათა შორის, მისაღები იყო კოლხებისთვისაც), ხოლო რევერსის იკონოგრაფია აღებული იყო ადგილობრივი პანთეონიდან.

რას უკავშირდება ყველაზე უფრო გავრცელებული კოლხური თეთრის იკონოგრაფია ადამიანისა და ხარის თავების გამოსახულებით? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია იმ ფანტასტიკური არსების სწორი დეფინიცია, რომელიც I ტიპის დიდრაქმაზეა (შუბლი: მწოლიარე ჰერმეფროდიტი ლომის გამოსახულება მარჯვნივ/მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალი მარჯვნივ/მარცხნივ) ამოტვიფრული. ეს უადრესად რთული საკითხია, მაგრამ ზოგი მოსაზრების წამოყენება მაინც არის შესაძლებელი.

ზოგიერთი მეცნიერის მიერ ადრევე იყო შენიშნული დიდი მსგავსება ჩვეულებრივი ტიპის ნახევარდრაქმებზე გამოსახული ხარისა და დაჩოქილი ადამიანის ხარის თავებს შორის. ეს იძლევა მათ შორის იკონოგრაფიული ძაფის გაბმის საშუალებას. გაითვალისწინა რა ზემოთქმული, გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა ა. ზოგრაფმა დასვა უაღრესად მნიშვნელოვანი კითხვა: ხომ არ არის კოლხური თეთრის ტიპოლოგიის ცვალებადობა ერთ და იმავე ღვთაებაზე წარმოდგენათა დიფერენციაციის, წარმოდგენათა ცვალებადობის (ცხადია, დროის განზომილებაში) შედეგი? ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დაკვირვებაა. მართლაც, შესაძლებელია ფანტასტიკურ არსებაზე წარმოდგენათა დიფერენციაციამ ძვ. წ. V საუკუნეში, თავდაპირველად, მოგვცა II ტიპის დიდრაქმა (შუბლზე ადამიანის არქაისტული თავის და ზურგზე, ერთმანეთის საპირისპიროდ, ორი ასეთივე ადამიანის თავის გამოსახულება), ხოლო შემდეგ – III ტიპის დიდრაქმა (შუბლზე ადამიანისა და ზურგზე, ხარის ორი თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანისა და ხარის თავების მონაცვლეობა II ტიპის დიდრაქმის და III ტიპის დიდრაქმის რევერსზე შემთხვევით არ უნდა იყოს და მათ ეკვივალენტურობაზე უნდა მიუთითებდეს, და ბოლოს, მივიღეთ II ტიპის ჰემიდრაქმა, ადამიანისა და ხარის თავების გამოსახულებით.

ხარი, როგორც წესი, უკავშირდება მთვარის ღვთაებას. ანტიკურ მითოლოგიაში კი სამთავიანი ღვთაება (გავიხსენოთ II ტიპის დიდრაქმაზე ამოკვეთილი რომელიღაც ღვთაების სამი თავი), რომელსაც მთვარის ღვთაების ფუნქციაც აქვს, არის ჰეკატე, ძველადმოსავლური ღვთაება, რომლის კულტიც საბერძნეთში აღმოსავლეთიდანაა შემოსული. სწორედ, ამ ქალღვთაების სამი თავი უნდა იყოს გამოსახული II ტიპის დიდრაქმაზე. ამრიგად, თითქოს გაიბა ერთგვარი ჯაჭვი კოლხური თეთრის სხვადასხვა ტიპის მონეტებს შორის.

ზემოთ შემოთავაზებული ჰიპოთეზა მით უფრო სარწმუნო იქნება, თუ გავიხსენებთ ანტიკური და ბიზანტიური ხანის ავტორების მოწმობას იმის შესახებ, რომ ჰეკატეს კულტი და მასთან დაკავშირებული მისტერიები ფართოდ იყო გავრცელებული კოლხეთში.

გაითვალისწინეს რა ყოველივე ზემოთქმული, ქართველმა მეცნიერებმა დ. კაპანაძემ და ი. შენგელიამ II ტიპის დიდრაქმაზე გამოსახული სამი იდენტური თავი მიიჩნიეს სამთავიან ჰეკატეს იკონოგრაფიად და დაუკავშირეს მთვარის სამ ფაზას.

ამრიგად, ჰეკატეს კულტის არსებობის ფაქტი კოლხეთში

	რეალობაა. თუ მსჯელობა ჰეკატეს კულტისა და კოლხური თეთრის ტიპოლოგიის ურთიერთკავშირის შესახებ შესაწყნარებელია, მაშინ შესაძლებელია აიხსნას აგრეთვე ე.წ. ტეტრადრაქმის რევერსზე გამოსახული ფრთოსანი რაშის სემანტიკური მნიშვნელობაც, რომელიც ამოვარდნილია კოლხური თეთრის საერთო ტიპოლოგიიდან. საქმე ისაა, რომ სხვა მრავალ ფუნქციას შორის, რომელიც მას გააჩნია, ჰეკატე ცხენების მოშენების მფარველი ღვთაებაცაა. ძალიან ფრთხილი ვარაუდის სახით შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე ჰეკატეს კულტის ანარეკლთან გვაქვს. იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ძველ ქართულ წარმართულ პანთეონში მთვარის ღვთაება ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო (აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით კი, მთვარე მთავარი ღვთაებაა ქართული ტომების რწმენა-წარმოდგენებში). ჰინტერლანდში ὁ Μείς კულტია, ზღვისპირეთში – ἡ Ἑκάτη. ხარის თავი მთვარის ატრიბუტია. ქალის შიშველი ფიგურა ნაყოფიერების კულტთან არის დაკავშირებული. ჰეკატე კი თავის თავში აერთიანებდა მთვარის და ნაყოფიერების ღვთაების ფუნქციებს. ამავე დროს, ჰეკატეს კულტი, სხვადასხვა სამეცნიერო გამოკვლევების თანახმად, ასევე პოპულარული იყო მილეტშიც. მონეტის ნომინალის დრაქმად დადგენა და დათარიღება ძვ. წ. V საუკუნით (quadratum incusum-ის მიხედვით) ეკუთვნის დ. კაპანაძეს. ქუთაისის მუზეუმის ე.წ. დრაქმის ასე მოხსენიება, ალბათ, პირობითია, სინამდვილეში აქ საქმე უნდა გვქონდეს ნახევარსტატერთან, ასევე სიკლთან (სპარსული სისტემით). ტიპის თემატური კავშირი I ტიპის დიდრაქმასთან სიმპტომატურია სპარსული სისტემის ჩარჩოებში მათი ერთ ემისიად აღქმისათვის. ფული ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულებით ჯერ მოიჭრა როგორც სპარსული სისტემის სტატერი. ამავე ემისიას განეკუთვნება ე.წ. დრაქმა. მომდევნო ემისიაა სპარსული სტატერი ადამიანის თავების გამოსახულებით.
ზარაფხანა	ფაზისი.
ნომინალი	სიკლი – სპარსული სისტემით.
თარიღი	ძვ. წ. V ს.
კოლექცია	ქუთაისის მუზეუმი – 1 ცალი.

ჯგუფი	კოლხური თეთრი
ტიპი	I ტიპის ჰემიდრაქმა
აღწერა, ფოტო	ვერცხლი. რემედიუმი 1,7-2,6 გრ. d=11/12-12/13 მმ. შუბლი: დაღრენილი ლომის თავის მარჯვენა პროფილი (ქობულეთში აღმოჩენილ მონეტაზე ლომის თავი მარცხნივაა მიმართული) ზურგი: quadratum incusum-ში (ჩაჭდეულ კვადრატში) მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა. 
სამეცნიერო კომენტარი	კოლხური თეთრი სამონეტო ჯგუფის სახელია. პირველად სახელწოდება „კოლხური თეთრი“ მეორე ტიპის ჰემიდრაქმებს (იგივე ტრიობოლი. შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: ასევე მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) ეწოდა. ისინი ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მათი კოლხური გენეზისი ეჭვგარეშეა. I ტიპის ჰემიდრაქმის მსოფლიო მარაგი 4 ცალით განისაზღვრება, ამასთან ყველა მათგანი დასავლეთ საქართველოშია მიკვლეული (ახალსოფელსა და ქობულეთში). I ტიპის ჰემიდრაქმი ს შუბლზე გამოსახული ლომის თავი ტიპოლოგიურად და სტილისტურად მსგავსია I ტიპის დიდრაქმის (შუბლი: მწოლიარე ჰერმეფროდიტი ლომის გამოსახულება მარჯვნივ/მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალის ფიგურა მარჯვნივ/მარცხნივ) შუბლზე გამოსახული ლომის თავის. I ტიპის დიდრაქმის 9 ცალიდან 5 დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, მათგან 3 – ფოთის და ახალსოფლის (ზუგდიდის რაიონი) კოლხური მონეტების განძებში. ამ განძებში აღმოჩენილი ფულის უმრავლესობა II ტიპის ჰემიდრაქმებს (შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) წარმოადგენს. ამ

უკანასკნელის კოლხური გენეზისი კი ეჭვგარეშეა. I ტიპის დიდრაქმის აღმოჩენის ტოპოგრაფია (დასავლეთ საქართველო) მიუთითებს მის კოლხურ გენეზისზე.

I ტიპის ჰემიდრაქმის შუბლზე გამოსახული ლომის თავი იდენტურია ე.წ. ტეტრადრაქმის (შუბლი: იშვიათი ხელოვნებით შესრულებული დაღრენილი ლომის თავის გამოსახულება მარცხნივ/მარჯვნივ. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული ფრთოსანი რაშის პროტომა მარჯვნივ) შუბლზე გამოსახული ლომის თავის.

მიუხედავად იმისა რომ, ე.წ. დრაქმის (შუბლი: ლომის თავის გამოსახულება an face. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ხარის თავი) შუბლზე გამოსახული ლომის თავი an face ანალოგიის გარეშეა, ის სტილისტურად დაკავშირებულია I ტიპის ჰემიდრაქმაზე გამოსახული ლომის იკონოგრაფიასთან. ქუთაისის მუზეუმის კუთვნილი უპასპორტო ე.წ. დრაქმა კი, ალბათ, სადმე იქვეა აღმოჩენილი. ლოკალურ მუზეუმში ეს უნიკალური მონეტა სხვანაირად ვერ მოხვდებოდა.

I ტიპის დიდრაქმის ზურგის იკონოგრაფია ტიპოლოგიურად მსგავსია ე.წ. დრაქმის, III ტიპის დიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ. ზურგი: ხარის ორი თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ ორ quadratum incusum-ში. ეს უკანასკნელი, ტიპოლოგიურად და სტილისტურად მსგავსია II ტიპის დიდრაქმის, რომელზეც ადამიანის სამი თავია გამოსახული. შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ (ზუსტად ისეთივე, როგორც მეორე ტიპის ნახევარდრაქმაზე). ზურგი: ორ quadratum incusum-ში ადამიანის ასეთივე თავები ერთმანეთის საპირისპიროდ) და II ტიპის ჰემიდრაქმის ზურგზე გამოსახული ხარის თავების. II ტიპის ჰემიდრაქმები ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს (ძველი კოლხეთი) როგორც ზღვისპირა, ისე შიდა ტერიტორიაზე. II ტიპის დიდრაქმის ნაწილია კოლხეთში აღმოჩენილი, ისევე როგორც – III ტიპის დიდრაქმა. იკონოგრაფიის ტიპოლოგიურ-სტილისტურ და სემანტიკური კავშირი, მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფია მათ საერთო, კოლხურ გენეზისზე მიუთითებს.

სამონეტო ჯგუფის, კოლხური თეთრის, ფარგლებში რვა ტიპი გამოიყოფა. რვავე ტიპის ლოკალური გენეზისის საკითხი პუნქტობრივად ასე უნდა გადაწყდეს:

1) ჰემიდრაქმის II ტიპი (ადამიანის თავის გამოსახულება/Rv. ხარის თავი) კოლხეთში იჭრებოდა. აღმოჩენათა ტოპოგრაფია სწორედ

ამაზე მეტყველებს – ათასობით არის ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში; მის ფარგლებს გარეთ კი მხოლოდ რამდენიმე ათეული ცალია დაფიქსირებული.

2) III ტიპის დიდრაქმა (ადამიანის თავი/Rv. ხარის თავები ორ quadratum incusum-ში) ადამიანის და ხარისთავიანი ძეგლების ტიპოლოგიური პროტოტიპია, ჰემიდრაქმა მისი გამარტივებული ვარიანტია – აქ ხარის თავია ორის მაგივრად. ორივე ტიპის არქაისტული სტილიც მათ ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირებს – ეს კოლხეთის ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ელინური პოლიტიკური ორგანიზმის პროდუქციაა.

3) II ტიპის დიდრაქმა (ადამიანის არქაისტული თავი/Rv. ასეთივე თავები ორ quadratum incusum-ში) წინას მსგავსია. ზურგის მხარეები თითქოს განსხვავებულია, მაგრამ ცოტა ქვემოთ აღენიშნავთ ქალის და ხარის ტიპოლოგიურ სინთეზს I ტიპის დიდრაქმის რევერსზე; ე.ი. ქალი და ხარი სინონიმური კატეგორიებია. არქაისტული ადამიანის თავის ტიპოლოგია და აღმოჩენათა ტოპოგრაფია კვლავ და კვლავ კოლხეთის ელინურ პოლისებზე უნდა ამახვილებდეს კონკრეტული ასპექტით ჩვენს ყურადღებას.

4) ჰემიტეტარტემორიონები ფიჭვნარიდან (არქაისტული თავი/Rv. წერო) თემატურ ჰარმონიაშია დანარჩენ ნომინალებთან და აი, რატომ:

ა) II ტიპის დიდრაქმაზე ტრიომორფული ჰეკატეა.

ბ) III ტიპის დიდრაქმაზე – ტრიომორფული და ზოომორფული ჰეკატე.

გ) II ტიპის ჰემიდრაქმის ტიპოლოგიაც მსგავსია.

ე. ი. ყველგან მთვარის ატრიბუტებია.

ჰემიტეტარტემორიონის ტიპოლოგიასთან მიმართებაში მეტად სიმპტომატურია მაღალფეხებიანი ფრინველის და ლოტოსის კვიპროსული (კერამიკაზე) სინთეზი; ეს უკანასკნელი ნაყოფიერების ღვთაების ატრიბუტია, წერო კი მისი სინონიმი ყოფილა. ნაყოფიერების ღვთაება კოლხეთში ამავე დროს ჰეკატეცაა.

5) ასეთი ფუნქციური სინთეზის იკონოგრაფია I ტიპის დიდრაქმის ზურგის მხარეზეა წარმოდგენილი:

ა) ქალის შიშველი ფიგურა ნაყოფიერების კულტთან არის დაკავშირებული;

ბ) ხარის თავი მთვარის ატრიბუტია;

გ) ამასთან ჰინტერლანდში ὁ Μείς კულტია, ზღვისპირეთში – ἡ Ἐκάτη. ბილინგვიზირებული ფაზისის ვარიანტია ჰერმაფროდიტული სინთეზი – მთვარის სქესობრივი აღქმის მოტანილი და ადგილობრივი შტრიხების შერწყმა.

ტიპოლოგიური მიმართებანი, აღმოჩენათა ტოპოგრაფია, ასტრალური თემატიკა (შუბლის მხარეზე გამოსახული ლომი, აპოლონ/ჰელიოსის სიმბოლო; მისი ჰერმეფროდიტიზაცია კი უკვე აპოლონის მზექალასთან შერწყმის პერიპეტიაა. ლომი ნამდვილად ჰერმეფროდიტია – ხვადის ფაფრითა და ძუძუებით. ეს ორი სქესობრივი კატეგორია იკონოგრაფიულად რეალისტურად აისახებოდა, მაგალითისთვის იხ. კოლხური ჰემიდრაქმების I ტიპი; ან კი – საკუთრივ მილეტური ნუმისმატიკა) კონკრეტულ ტიპს უცილობლად უკავშირებს ზემოაღნიშნულ მასალას.

6) კოლხური ე.წ. დრაქ მა (ლომის თავი an face/Rv. ხარის თავის გამოსახულება), ქუთაისის მუზეუმის უპასპორტო ცალი, ტიპოლოგიურ-თემატურ კავშირშია განხილულ დიდრაქმასთან.

7) იგივე შეიძლება ითქვას I ტიპის ჰემიდრაქმის (ლომის თავი/Rv. ძუ ლომის პროტომა) მიმართაც – აქ მზის ჰერმეფროდიტული აღქმის იდეაა დაფიქსირებული; აღმოჩენათა ტოპოგრაფიაც მის კოლხურ გენეზისს ეთანხმება.

8) ე.წ. ტეტრადრაქმები უპასპორტოა. მაგრამ ტიპოლოგიური პარალელი ჰემიდრაქმების I კატეგორიასთან აშკარაა; თემატიკა ტრადიციულია: აპოლონი-ლომი-მზე/პეგასი-მთვარე.

I ტიპის ჰემიდრაქმის იკონოგრაფიას პირდაპირი ანალოგი გააჩნია მილეტის (მდებარეობს მცირე აზიაში, ითვლება ფაზისის მეტროპოლიად) ნუმისმატიკაში. ამ მონეტაზე გამოსახული ლომის თავი ყველა დეტალში იმეორებს მილეტურ მონეტაზე ამოტვიფრულ ლომის თავს. მათი იდენტურია აგრეთვე ე.წ. ტეტრადრაქმაზე და I ტიპის დიდრაქმაზე ამოკვეთილი ლომის თავები.

ცნობილია, რომ მილეტის მთავარი ღვთაება აპოლონი იყო (ეს მრავალსახა ღვთაებაა, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ისაა მნიშვნელოვანი, რომ იგი აღიარებულია გზების, მგზავრებისა და მეზღვაურების მფარველად და აგრეთვე მზის სხივის ღვთაებად). ისიც ცნობილია და დავას არ იწვევს, რომ კოლონიას თავის დამაარსებელ ქალაქთან აკავშირებდა რელიგიური კულტი; კოლონიაში იგივე ღვთაებას სცემდნენ თაყვანს, როგორსაც მეტროპოლიაში. ლომი მილეტის სახელმწიფოებრივი ემბლემაა და გამოსახულია მის მონეტებზე. ლომის მოტივი ძალიან ხშირია ბერძნულ ნუმისმატიკაში და მას სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტში განსხვავებული ფუნქციები აკისრია. მაგრამ მილეტის ნუმისმატიკაში, როგორც ამას სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ, ის ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაკავშირებულია აპოლონის კულტთან. გარდა ამისა, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ მილეტის კოლონიების მონეტებზე ყველგან ლომია

გამოსახული (მაგ., პანტიკაპეიონის – თანამედროვე ქერჩის – მონეტებზე).

პირველი ტიპის კოლხურ დიდრაქმაზე გამოსახული ლომი, როგორც ეს არაერთგზისაა აღნიშნული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, ყველა დეტალში იმეორებს მილეტურ მონეტებზე ამოტვიფრულ ლომს. მათი იდენტურია აგრეთვე კოლხურ ტეტრადრაქმაზე და პირველი ტიპის ნახევადრაქმაზე ამოკვეთილი ლომის თავები.

1899 წელს მდ. ყუზანის ნაპირას ხუტორ ზუბოვკაში აღმოჩნდა ვერცხლის თასი წარწერით: „აპოლონ-წინამძღოლისა ვარ, რომელიც ფაზისში არის“. წარწერა თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის დასასრულით, ან IV საუკუნის დასაწყისით. ამის საფუძველზე ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ ფაზისში არსებობდა აპოლონის ტაძარი ან სამლოცველო და ეს ნივთი მისთვის იყო შეწირული. ამრიგად, ფაზისში, ისევე როგორც ყველა თავის კოლონიაში, მილეტელებს გადმოუტანიათ და დაუნერგავთ აპოლონის კულტი. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ფაზისში აპოლონ-წინამძღოლის-ჰეგემონის ტაძარი იყო, ე.ი. სწორედ კოლონისტების კულტი იყო გადმოტანილი.

მართალია, კოლხურ თეთრზე ამოკვეთილი ლომების კავშირი აპოლონის კულტთან თითქოს უეჭველია, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველური სამყაროს პანთეონის ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება იყო სწორედ მზე. მზის სიმბოლოდ კი საზოგადოდ ლომია მიჩნეული. ამავე დროს, ქართველური ტომების რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, მზე მდედრობით სქესისაა. ახლა თუ გავიხსენებთ იმას, რომ პირველი ტიპის კოლხურ დიდრაქმაზე გამოსახულია ჰერმეფროდიტი ლომი (ფაფრით და ძუძუებით), მაშინ ჩნდება კიდევ ერთი ჰიპოთეზის წამოყენების შესაძებლობა: ხომ არ მოჭრეს ბერძნებმა ისეთი ტიპის მონეტა, რომლის შუბლის გამოსახულება თანაბრად აკმაყოფილებდა ორივე ეთნიკური ჯგუფის (კოლხური და ბერძნული) ინტერესებს, რადგან ლომის გამოსახულება სემანტიკურად უკავშირდება როგორც აპოლონის, ასევე ქართველური ტომების ერთ-ერთი მთავარი ღვთაების – მზის კულტს.

ფული ჰერმეფროდიტი ლომის გამოსახულებით ჯერ მოიჭრა როგორც სპარსული სისტემის სტატერი. ამავე ემისიას განეკუთვნება სიკლიც, ე.წ. დრაქმა. მომდევნო ემისიაა სპარსული სტატერი ადამიანის თავების გამოსახულებით. ჰერმეფროდიტი ლომის გამოსახულების რესტავრაცია უკვე ატიკური სისტემის ექსპლუატაციასთან არის დაკავშირებული – იჭრება დიდრაქმა

	ლომისგამოსახულებიან ჰემიდრაქმასთან ერთად. ამას მოჰყვა ადამიანის თავების გამოსახულებიანი ფული, როგორც ატიკური სტანდარტის დიდრაქმა. II ტიპის ჰემიდრაქმა (ადამიანის არქაისტული თავი/ხარის თავი), ერთის მხრივ, აშკარად ატიკური სისტემის მიხედვით არის მოჭრილი, მეორეს მხრივ, ის არის III ტიპის დიდრაქმის (ადამიანის არქაისტული თავი/ხარის თავები) გამარტივებული ვარიანტი. აქედან კი ასეთი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი – III ტიპის დიდრაქმა უნდა ჩაითვალოს ატიკურ ი სისტემის მსხვილ ნომინალად, რომელიც ქალისგამოსახულებიან ჰემიდრაქმასთან ერთად ქმნის ერთ ემისიას. ეს უკანასკნელი ტიპი შემდგომ ძალზედ ხანგრძლივ სერიას მიესადაგა. სხვა ქვეყნების პარალელების, სტილისტური, ფაქტურული და მეტროლოგიური მონაცემების საფუძველზე, I ტიპის ჰემიდრაქმები შეიძლება ძვ. წ. V საუკუნით დავათარილოთ.
ზარაფხანა	ფაზისი.
ნომინალი	ატიკური სისტემის ჰემიდრაქმა.
თარიღი	ძვ. წ. V ს.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 4 ცალი, მაგ., გფ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №4810, №4811, №10587.

ჯგუფი	კოლხური თეთრი
ტიპი	II ტიპის ჰემიდრაქმა
აღწერა, ფოტო	ვერცხლი. რემედიუმი 1,2-2,6 გრ. d≈12 მმ. შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: ასევე მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული. უმნიშვნელო რაოდენობაზე სხვადასხვა ბერძნული ასოებია – MO/ΣO, Φ, A, O, E, Π, Δ.
სამეცნიერო კომენტარი	კოლხური თეთრი სამონეტო ჯგუფის სახელია. პირველად სახელწოდება „კოლხური თეთრი“ მეორე ტიპის ჰემიდრაქმებს (იგივე

ტრიობოლი. შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: ასევე მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) ეწოდა. ისინი ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მათი კოლხური გენეზისი ეჭვგარეშეა.

II ტიპის ჰემიდრაქმის შუბლზე მოთავსებული ადამიანის თავის არქაისტული გამოსახულება და ხარის თავი ტიპოლოგიურად და სტილისტურად მსგავსია II ტიპის დიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ. ზურგი: ორ quadratum incusum-ში (ჩაჭდეულ კვადრატში) ერთმანეთის საპირისპიროდ ადამიანის ისეთივე თავები, როგორიც მონეტის შუბლზეა გამოსახული) და III ტიპის დიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ. ზურგი: ხარის ორი თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ ორ quadratum incusum-ში) იკონოგრაფიის. ამ შემთხვევაში ადამიანის თავი და ხარის თავი სინონიმური კატეგორიებია (ამაზე ქვემოთ). II ტიპის დიდრაქმა 11 ცალადაა ცნობილი და მათი ერთი ნაწილი აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში, სხვა კოლხურ მონეტებთან ერთად განძებში (ფოთსა და ახალსოფელში), ისევე როგორც – III ტიპის დიდრაქმა.

II ტიპის ჰემიდრაქმის შუბლზე გამოსახული ადამიანის თავი ტიპოლოგიურად და სტილისტურად მსგავსია ჰემიტეტარტემორიონის (შუბლი: მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გამოსახულება. ზურგი: მარჯვნივ მიმართული რომელიღაც ფრინველი, სავარაუდოდ წერო) შუბლის გამოსახულების. ჰემიტეტარტემორიონის ცნობილი სამი ცალიდან, სამივე დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. აღმოჩენის ტოპოგრაფია და ტიპოლოგიურ-სტილისტური მსგავსებანი მათი კოლხური წარმომავლობის მანიშნებელია.

II ტიპის ჰემიდრაქმის ზურგზე გამოსახული ხარის თავი ანალოგიურია ე.წ დრაქმის (შუბლი: ლომის თავის გამოსახულება an face. ზურგი: quadratum incusum -ში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ხარის თავი) ზურგზე ამოტვიფრული ხარის თავის. ქუთაისის მუზეუმის კუთვნილი უპასპორტო ე.წ. დრაქმა კი, ალბათ, სადმე იქვეა აღმოჩენილი. ლოკალურ მუზეუმში ეს უნიკალური მონეტა სხვანაირად ვერ მოხვდებოდა.

II ტიპის ჰემიდრაქმის ზურგის მხარის იკონოგრაფია ტიპოლოგიურად და სტილისტურად მსგავსია I ტიპის დიდრაქმის (შუბლი: მწოლიარე ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულება

მარჯვნივ/მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალის ფიგურა მარჯვნივ/მარცხნივ) ზურგზე გამოსახული დაჩოქილი ფიგურის ხარის თავის. I ტიპის დიდრაქმის 9 ცალიდან 5 დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი, მათგან 3 – ფოთის და ახალსოფლის (ზუგდიდის რაიონი) კოლხური მონეტების განძებში. ამ განძებში აღმოჩენილი ფულის უმრავლესობა კი სწორედ II ტიპის ჰემიდრაქმებს წარმოადგენდა. I ტიპის დიდრაქმის აღმოჩენის ტოპოგრაფია (დასავლეთ საქართველო) მიუთითებს მის კოლხურ გენეზისზე.

აღსანიშნავია, რომ ჰემიტეტარტემორიონზე, II ტიპის ჰემიდრაქმებზე, III ტიპის დიდრაქმებზე, II ტიპის დიდრაქმაზე გამოსახული ადამიანის თავები იდენტურია. I ტიპის დიდრაქმების (შუბლი: მწოლიარე ჰერმეფროდიტი ლომის გამოსახულება მარჯვნივ/მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალის ფიგურა მარჯვნივ/მარცხნივ) ზურგზე გამოსახულ ფანტასტიკურ არსებაზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის თავი და ხარის თავი სინონიმური კატეგორიებია, რაც II და III ტიპის დიდრაქმების იკონოგრაფიიდანაც დასტურდება (ამაზე ქვემოთ).

I ტიპის დიდრაქმის შუბლზე გამოსახული მწოლიარე ლომის თავი და ზურგზე გამოსახული მუხლმოდრეკილი ფიგურის ხარის თავი იდენტურია ე.წ. ტეტრადრაქმაზე ამოტვიფრული ლომის თავის, ე.წ. დრაქმის ლომის და ხარის თავების, I ტიპის ჰემიდრაქმაზე (შუბლი: დაღრენილი ლომის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა) გამოსახული ლომის თავის და II ტიპის ჰემიდრაქმაზე გამოსახული ხარის თავის. თითქოს გაიბა კავშირი სხვადასხვა ტიპის მონეტების იკონოგრაფიას შორის. ამ მონეტების ტიპოლოგიურ-სტილისტური კავშირი და აღმოჩენათა ტოპოგრაფია მათ საერთო გენეზისზე მიუთითებს.

II ტიპის ჰემიდრაქმები დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის) როგორც ზღვისპირა, ისე შიდა ტერიტორიაზე ათასობით არის აღმოჩენილი. მისი კოლხური გენეზისი ეჭვგარეშეა, ამიტომ ზემოთ განხილული სხვა ნუმისმატიკური ძეგლების აღმოჩენათა ტოპოგრაფია (მათი უმრავლესობა II ტიპის ჰემიდრაქმებთან ერთად მონეტების განძებშია აღმოჩენილი) და მათი ტიპოლოგიურ-სტილისტური მსგავსება II ტიპის ჰემიდრაქმასთან საშუალებას გვაძლევს ისინი კოლხური თეთრის ჯგუფს მივაკუთვნოთ. სწორედ II

	ტიპის ჰემიდრაქმასთან ტიპოლოგიურ-სტილისტური მსგავსებით ხდება დანარჩენი მონეტების კოლხური თეთრის ჯგუფში გაერთიანება. სამონეტო ჯგუფის, კოლხური თეთრის, ფარგლებში რვა ტიპი გამოიყოფა. რვავე ტიპის ლოკალური გენეზისის საკითხი პუნქტობრივად ასე უნდა გადაწყდეს: 1) ჰემიდრაქმის II ტიპი (ადამიანის თავის გამოსახულება/Rv. ხარის თავი) კოლხეთში იჭრებოდა. აღმოჩენათა ტოპოგრაფია სწორედ ამაზე მეტყველებს – ათასობით არის ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში; მის ფარგლებს გარეთ კი მხოლოდ რამდენიმე ათეული ცალია დაფიქსირებული. 2) III ტიპის დიდრაქმა (ადამიანის თავი/Rv. ხარის თავები ორ quadratum incusum-ში) ადამიანის და ხარისთავიანი ძეგლების ტიპოლოგიური პროტოტიპია, ჰემიდრაქმა მისი გამარტივებული ვარიანტია – აქ ხარის თავია ორის მაგივრად. ორივე ტიპის არქაისტული სტილიც მათ ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირებს – ეს კოლხეთის ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ელინური პოლიტიკური ორგანიზმის პროდუქციაა. 3) II ტიპის დიდრაქმა (ადამიანის არქაისტული თავი/Rv. ასეთივე თავები ორ quadratum incusum-ში) წინას მსგავსია. ზურგის მხარეები თითქოს განსხვავებულია, მაგრამ ცოტა ქვემოთ აღვნიშნავთ ქალის და ხარის ტიპოლოგიურ სინთეზს I ტიპის დიდრაქმის რევერსზე; ე.ი. ქალი და ხარი სინონიმური კატეგორიებია. არქაისტული ადამიანის თავის ტიპოლოგია და აღმოჩენათა ტოპოგრაფია კვლავ და კვლავ კოლხეთის ელინურ პოლისებზე უნდა ამახვილებდეს კონკრეტული ასპექტით ჩვენს ყურადღებას. 4) ჰემიტეტარტემორიონები ფიჭვნარიდან (არქაისტული თავი/Rv. წერო) თემატურ ჰარმონიაშია დანარჩენ ნომინალებთან და აი, რატომ: ა) II ტიპის დიდრაქმაზე ტრიომორფული ჰეკატეა (ამაზე ქვემოთ). ბ) III ტიპის დიდრაქმაზე – ტრიომორფული და ზომორფული ჰეკატე. გ) II ტიპის ჰემიდრაქმის ტიპოლოგიაც მსგავსია. ე. ი. ყველგან მთვარის ატრიბუტებია. ჰემიტეტარტემორიონის ტიპოლოგიასთან მიმართებაში მეტად სიმპტომატურია მაღალფეხებიანი ფრინველის და ლოტოსის კვიპროსული (კერამიკაზე) სინთეზი; ეს უკანასკნელი ნაყოფიერების ღვთაების ატრიბუტია, წერო კი მისი სინონიმი ყოფილა. ნაყოფიერების ღვთაება კოლხეთში ამავე დროს ჰეკატეცაა. 5) ასეთი ფუნქციური სინთეზის იკონოგრაფია I ტიპის დიდრაქმის
--	--

ზურგის მხარეზეა წარმოდგენილი:

ა) ქალის შიშველი ფიგურა ნაყოფიერების კულტთან არის დაკავშირებული;

ბ) ხარის თავი მთვარის ატრიბუტია;

გ) ამასთან ჰინტერლანდში ὁ Μείς კულტია, ზღვისპირეთში – ἡ Ἑκάτη. ბილინგვიზირებული ფაზისის ვარიანტია ჰერმაფროდიტული სინთეზი – მთვარის სქესობრივი აღქმის მოტანილი და ადგილობრივი შტრიხების შერწყმა.

ტიპოლოგიური მიმართებანი, აღმოჩენათა ტოპოგრაფია, ასტრალური თემატიკა (შუბლის მხარეზე გამოსახული ლომი, აპოლონ/ჰელიოსის სიმბოლო; მისი ჰერმაფროდიტიზაცია კი უკვე აპოლონის მზექალასთან შერწყმის პერიპეტიაა. ლომი ნამდვილად ჰერმაფროდიტია – ხვადის ფაფრითა და ძუძუებით. ეს ორი სქესობრივი კატეგორია იკონოგრაფიულად რეალისტურად აისახებოდა, მაგალითისთვის იხ. კოლხური ჰემიდრაქმების I ტიპი; ან კი – საკუთრივ მილეტური ნუმიზმატიკა) კონკრეტულ ტიპს უცილობლად უკავშირებს ზემოაღნიშნულ მასალას.

6) კოლხური ე.წ. დრაქმა (ლომის თავი an face/Rv. ხარის თავის გამოსახულება), ქუთაისის მუზეუმის უპასპორტო ცალი, ტიპოლოგიურ-თემატურ კავშირშია განხილულ დიდრაქმასთან.

7) იგივე შეიძლება ითქვას I ტიპის ჰემიდრაქმის (ლომის თავი/Rv. ძუ ლომის პროტომა) მიმართაც – აქ მზის ჰერმაფროდიტული აღქმის იდეაა დაფიქსირებული; აღმოჩენათა ტოპოგრაფიაც მის კოლხურ გენეზისს ეთანხმება.

8) ე.წ. ტეტრადრაქმები უპასპორტოა. მაგრამ ტიპოლოგიური პარალელი ჰემიდრაქმების I კატეგორიასთან აშკარაა; თემატიკა ტრადიციულია: აპოლონი-ლომი-მზე/პეგასი-მთვარე.

რას უკავშირდება ყველაზე უფრო გავრცელებული კოლხური თეთრის იკონოგრაფია ადამიანისა და ხარის თავების გამოსახულებით? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია იმ ფანტასტიკური არსების სწორი დეფინიცია, რომელიც I ტიპის დიდრაქმაზეა (შუბლი: მწოლიარე ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულება მარჯვნივ/მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალი მარჯვნივ/მარცხნივ) ამოტვიფრული. ეს უაღრესად რთული საკითხია, მაგრამ ზოგი მოსაზრების წამოყენება მაინც არის შესაძლებელი.

ზოგიერთი მეცნიერის მიერ ადრევე იყო შენიშნული დიდი მსგავსება ჩვეულებრივი ტიპის ნახევარდრაქმებზე გამოსახული

ხარისა და დაჩოქილი ადამიანის ხარის თავებს შორის. ეს იძლევა მათ შორის იკონოგრაფიული ძაფის გაბმის საშუალებას. გაითვალისწინა რა ზემოთქმული, გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა ა. ზოგრაფმა დასვა უაღრესად მნიშვნელოვანი კითხვა: ხომ არ არის კოლხური თეთრის ტიპოლოგიის ცვალებადობა ერთ და იმავე ღვთაებაზე წარმოდგენათა დიფერენციაციის, წარმოდგენათა ცვალებადობის (ცხადია, დროის განზომილებაში) შედეგი? ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დაკვირვებაა. მართლაც, შესაძლებელია ფანტასტიკურ არსებაზე წარმოდგენათა დიფერენციაციამ ძვ. წ. V საუკუნეში, თავდაპირველად, მოგვცა II ტიპის დიდრაქმა (შუბლზე ადამიანის არქაისტული თავის და ზურგზე, ერთმანეთის საპირისპიროდ, ორი ასეთივე ადამიანის თავის გამოსახულება), ხოლო შემდეგ – III ტიპის დიდრაქმა (შუბლზე ადამიანისა და ზურგზე, ხარის ორი თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანისა და ხარის თავების მონაცვლეობა II ტიპის დიდრაქმის და III ტიპის დიდრაქმის რევერსზე შემთხვევით არ უნდა იყოს და მათ ეკვივალენტურობაზე უნდა მიუთითებდეს, და ბოლოს, მივიღეთ II ტიპის ჰემიდრაქმა, ადამიანისა და ხარის თავების გამოსახულებით.

ხარი, როგორც წესი, უკავშირდება მთვარის ღვთაებას. ანტიკურ მითოლოგიაში კი სამთავიანი ღვთაება (გავიხსენოთ II ტიპის დიდრაქმაზე ამოკვეთილი რომელიღაც ღვთაების სამი თავი), რომელსაც მთვარის ღვთაების ფუნქციაც აქვს, არის ჰეკატე, ძველადმოსავლური ღვთაება, რომლის კულტიც საბერძნეთში აღმოსავლეთიდანაა შემოსული. სწორედ, ამ ქალღვთაების სამი თავი უნდა იყოს გამოსახული II ტიპის დიდრაქმაზე. ამრიგად, თითქოს გაიბა ერთგვარი ჯაჭვი კოლხური თეთრის სხვადასხვა ტიპის მონეტებს შორის.

ზემოთ შემოთავაზებული ჰიპოთეზა მით უფრო სარწმუნო იქნება, თუ გავიხსენებთ ანტიკური და ბიზანტიური ხანის ავტორების მოწმობას იმის შესახებ, რომ ჰეკატეს კულტი და მასთან დაკავშირებული მისტერიები ფართოდ იყო გავრცელებული კოლხეთში.

გაითვალისწინეს რა ყოველივე ზემოთქმული, ქართველმა მეცნიერებმა დ. კაპანაძემ და ი. შენგელიამ II ტიპის დიდრაქმაზე გამოსახული სამი იდენტური თავი მიიჩნიეს სამთავიან ჰეკატეს იკონოგრაფიად და დაუკავშირეს მთვარის სამ ფაზას.

ამრიგად, ჰეკატეს კულტის არსებობის ფაქტი კოლხეთში რეალობაა. თუ მსჯელობა ჰეკატეს კულტისა და კოლხური თეთრის ტიპოლოგიის ურთიერთკავშირის შესახებ შესაწყნარებელია, მაშინ

შესაძლებელია აიხსნას აგრეთვე ე.წ. ტეტრადრაქმის რევერსზე გამოსახული ფრთოსანი რაშის სემანტიკური მნიშვნელობაც, რომელიც ამოვარდნილია კოლხური თეთრის საერთო ტიპოლოგიიდან. საქმე ისაა, რომ სხვა მრავალ ფუნქციას შორის, რომელიც მას გააჩნია, ჰეკატე ცხენების მოშენების მფარველი ღვთაებაცაა. ძალიან ფრთხილი ვარაუდის სახით შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე ჰეკატეს კულტის ანარეკლთან გვაქვს.

იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ძველ ქართულ წარმართულ პანთეონში მთვარის ღვთაება ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო (აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით კი, მთვარე მთავარი ღვთაებაა ქართული ტომების რწმენა-წარმოდგენებში). ჰინტერლანდში ὁ Μείς კულტია, ზღვისპირეთში – ἡ Ἑκάτη. ხარის თავი მთვარის ატრიბუტია. ქალის შიშველი ფიგურა ნაყოფიერების კულტთან არის დაკავშირებული. ჰეკატე კი თავის თავში აერთიანებდა მთვარის და ნაყოფიერების ღვთაების ფუნქციებს. ამავე დროს, ჰეკატეს კულტი, სხვადასხვა სამეცნიერო გამოკვლევების თანახმად, ასევე პოპულარული იყო მილეტშიც. ცნობილია და დავას არ იწვევს, რომ კოლონიას თავის დამაარსებელ ქალაქთან აკავშირებდა რელიგიური კულტი; კოლონიაში იგივე ღვთაებას სცემდნენ თაყვანს, როგორსაც მეტროპოლიაში.

1899 წელს მდ. ყუბანის ნაპირას ხუტორ ზუბოვკაში აღმოჩნდა ვერცხლის თასი წარწერით: „აპოლონ-წინამძღოლისა ვარ, რომელიც ფაზისში არის“. წარწერა თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის დასასრულით, ან IV საუკუნის დასაწყისით. ამის საფუძველზე ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ ფაზისში არსებობდა აპოლონის ტაძარი ან სამლოცველო და ეს ნივთი მისთვის იყო შეწირული. ამრიგად, ფაზისში, ისევე როგორც ყველა თავის კოლონიაში, მილეტელებს გადმოუტანიათ და დაუნერგავთ აპოლონის კულტი. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ფაზისში აპოლონ-წინამძღოლის-ჰეგემონის ტაძარი იყო, ე.ი. სწორედ კოლონისტების კულტი იყო გადმოტანილი.

აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ მილეტიდან მოსულმა ბერძნებმა ადგილობრივი მთვარის ღვთაება გაიაზრეს როგორც ჰეკატე და მისი გამოსახულება მოათავსეს ე.წ. კოლხურ მონეტებზე. თუ ეს ასეა, მაშინ არაფერი იქნება იმაში უჩვეულო, რომ ეს მონეტები ერთდროულად ასრულებდა საქალაქო მონეტის ფუნქციასაც და კოლხეთის შიდა რაიონებთან სავაჭრო ეკვივალენტის როლსაც. ეს მოსაზრება დასტურდება იმითაც, რომ კოლხური თეთრი

აღმოჩენილია როგორც შავი ზღვის სანაპირო ზოლის პუნქტებში, ასევე – დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში. ამასთანავე, დღეისათვის მათი აღმოჩენების რიცხვი შიდა რაიონებში სჭარბობს.

კოლხური თეთრის აბსოლუტური უმრავლესობა ანეპიგრაფიკულია, მაგრამ II ტიპის ჰემიდრაქმის უმნიშვნელო რაოდენობაზე მაინც გვხვდება ბერძნული ასო-ნიშნები: MO/ΣO, Φ, A, O, E, Π, Δ. მათი მნიშვნელობის გახსნა დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული. ანალოგიების საფუძველზე, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ისინი მაგისტრატების სახელების აღმნიშვნელი ასოებია. სწორედ ისინი აგებდნენ პასუხს სამონეტო ემისიაზე. მაგისტრატის ფიქსაცია ეკონომიკური წლის აღნიშვნის ტოლფასია. ე.ი. ჰემიდრაქმები იდენტური ასოებით ერთი ემისიაა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ფაზისი ამ მონეტების საშუალებით ქაჩავდა ადგილობრივ ნედლეულს. ამ ასპექტით მეტად ნიშანდობლივი ფაქტია, რომ კოლხური თეთრის განძები განსაკუთრებით მდინარე რიონის აუზშია დადასტურებული. ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ქვეყნის მთავარი სავაჭრო-ეკონომიკური ძარღვი რიონის ხეობაზე გადიოდა. როგორც ჩანს, სწორედ ქალაქ ფაზისი უწევდა კონტროლს რიონ-ყვირილას სავაჭრო მაგისტრალს და ამიტომაცაა ასე მრავლად კოლხური მონეტების განძები რიონის ხეობაში.

განსახილველი ნუმისმატიკური ძეგლების ტიპოლოგიურ-სტილისტური ანალიზი და აღმოჩენათა ტოპოგრაფია მეტყველებს იმაზე, რომ კოლხური თეთრი ადგილობრივი ბერძნების მიერ არის მოჭრილი. დამატებითი არგუმენტი ბერძნების მიერ კოლხური თეთრის მოჭრისა და, შესაბამისად, ფაზისის პოლისური სტატუსის შესახებ ასეთია: კოლხურ თეთრზე ღვთაებები და მათი ატრიბუტებია გამოსახული, და არა მეფესთან დაკავშირებული იკონოგრაფია, ან ლეგენდა. სამონეტო ტიპის ასეთი გადაწყვეტა სწორედ რომ რესპუბლიკის მახასიათებელი შტრიხია. ზემოთ განხილული ნუმისმატიკური ძეგლების ნებისმიერი ტიპი ამ მომენტის მატარებელია.

II ტიპის ჰემიდრაქმის წონითი რემედიუმი საგრძნობ გადახრებს იძლევა: 1,2-2,6 გრამი.

ფული ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულებით ჯერ მოიჭრა როგორც სპარსული სისტემის სტატერი. ამავე ემისიას განეკუთვნება სიკლიც, ე.წ. დრაქმა. მომდევნო ემისიაა სპარსული სტატერი ადამიანის თავების გამოსახულებით. ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულების რესტავრაცია უკვე ატიკური სისტემის ექსპლუატაციასთან არის დაკავშირებული – იჭრება დიდრაქმა

	ლომისგამოსახულებიან ჰემიდრაქმასთან ერთად. ამას მოჰყვა ადამიანის თავების გამოსახულებიანი ფული, როგორც ატიკური სტანდარტის დიდრაქმა. II ტიპის ჰემიდრაქმა (ადამიანის არქაისტული თავი/ხარის თავი), ერთის მხრივ, აშკარად ატიკური სისტემის მიხედვით არის მოჭრილი, მეორეს მხრივ, ის არის III ტიპის დიდრაქმის (ადამიანის არქაისტული თავი/ხარის თავები) გამარტივებული ვარიანტი. აქედან კი ასეთი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი – III ტიპის დიდრაქმა უნდა ჩაითვალოს ატიკური სისტემის მსხვილ ნომინალად, რომელიც ქალისგამოსახულებიან ჰემიდრაქმასთან ერთად ქმნის ერთ ემისიას. ეს უკანასკნელი ტიპი შემდგომ ძალზედ ხანგრძლივ სერიას მიესადაგა. II ტიპის ჰემიდრაქმის დათარიღების საკითხში ერთსულოვნება არ სუფევს. ალბათ, უფრო მისაღებია მათი მოჭრის თარიღად ძვ. წ. V-III საუკუნეები ვივარაუდოთ, რადგან ისინი სწორედ ამ პერიოდის სამარხებში გვხვდება. გარდა ამისა, იშვიათ შემთხვევებში, მაგრამ მაინც, ეს მონეტები აღმოჩნდა უცხო ქვეყნების კარგად დათარიღებულ საფასეებთან ერთად, რაც ამაგრებს ზემოთ დასახელებულ თარიღს. მათი მოჭრის ქრონოლოგიის დასადგენად ასევე სიმპტომატურია: 1. quadratum incusum-ის გაქრობა, 2. ამ ტიპის ნუმიზმატიკური ძეგლების განსაკუთრებული მრავალრიცხოვნება, 3. სინჯის და წონის ეტაპობრივი შემცირება – ყოველივე აღნიშნული საფუძველს გვაძლევს II ტიპის ჰემიდრაქმების ძვ. წ. V-III საუკუნეების ჩარჩოში მოქცევისათვის.
ზარაფხანა	ფაზისი.
ნომინალი	ატიკური სისტემის ჰემიდრაქმა.
თარიღი	ძვ. წ. V-III სს.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, მაგ. გფ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №№1229, 1415, 1418, 1424, 1429, 1435, 1438-1439, 1442, 1446, 1456, 1457, 1459, 1462, 1472, 1474, 1477, 1478-79, 1494, 1497, 1509, 1512, 1524, 1531, 1634, 1563, 1542, 1543, 1546, 1572, 1573, 1586, 1586, 1594, 1595, 1601, 1603, 1605; და მსოფლიო მასშტაბით ყველა წამყვანი მუზეუმი.

ჯგუფი	კოლხური თეთრი
ტიპი	ე.წ. ჰემიტეტარტემორიონი
აღწერა, ფოტო	ვერცხლი. წონა: 0,150 გრ., 0,111 გრ., 0,110 გრ. შუბლი: მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გამოსახულება (იდენტურია მეორე ტიპის კოლხურ ნახევარდრაქმაზე ამოკვეთილი პროფილის) ზურგი: მარჯვნივ მიმართული რომელიღაც ფრინველი, სავარაუდოდ წერო. 
სამეცნიერო კომენტარი	კოლხური თეთრი სამონეტო ჯგუფის სახელია. პირველად სახელწოდება „კოლხური თეთრი“ II ტიპის ჰემიდრაქმებს (იგივე ტრიობოლი. შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) ეწოდა. ისინი ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მათი კოლხური გენეზისი ეჭვგარეშეა. ჰემიტეტარტემორიონებს ფიჭვნარის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1968 წელს მიაკვლია ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრის სამარხში. ესენია, სამი ერთტიპიური ვერცხლის წვრილი მონეტები, რომელთა გაზომვა, პრაქტიკულად, თითქმის შეუძლებელია. ისინი ჭურჭელში რომ არ ყოფილიყო მოთავსებული, ალბათ, სამუდამოდ დაიკარგებოდა მეცნიერებისათვის. მათ ანალოგი არ მოეძებნება. ჰემიტეტარტემორიონის შუბლის იკონოგრაფია – ადამიანის თავის არქაისტული გამოსახულება – ტიპოლოგიურად და სტილისტურად მსგავსია II ტიპის ჰემიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული) შუბლის გამოსახულების. II ტიპის ჰემიდრაქმა ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს როგორც შიდა, ისე ზღვისპირა ტერიტორიებზე, ამიტომ მათი კოლხური გენეზისი ეჭვგარეშეა. თავდაპირველად სწორედ ამ ტიპის მონეტებს ეწოდა კოლხური თეთრი. ჰემიტეტარტემორიონის შუბლზე მოთავსებული ადამიანის თავის

არქაისტული გამოსახულება ტიპოლოგიურად და სტილისტურად მსგავსია II ტიპის დიდრაქმაზე (შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ (ზუსტად ისეთივე, როგორც მეორე ტიპის ნახევარდრაქმაზე). ზურგი: ორ quadratum incusum-ში ადამიანის ასეთივე თავები ერთმანეთის საპირისპიროდ), და III ტიპის დიდრაქმის (შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ. ზურგი: ხარის ორი თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ ორ quadratum incusum-ში) შუბლზე ამოტვიფრული ადამიანის თავების. II ტიპის დიდრაქმა 11 ცალადაა ცნობილი და მათი ერთი ნაწილი აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში, სხვა კოლხურ მონეტებთან ერთად განძებში (ფოთსა და ახალსოფელში), ისევე როგორც – III ტიპის დიდრაქმა.

ჰემიტეტარტემორიონის ზურგზე გამოსახულ ფრინველს – წერო(?) – კოლხურ ნუმიზმატიკაში ანალოგი არ გააჩნია, მაგრამ ის სემანტიკურად უკავშირდება კოლხური თეთრზე ამოტვიფრულ ხარის თავს და ე.წ. ტეტრადრაქმის (შუბლი: იშვიათი ხელოვნებით შესრულებული დაღრენილი ლომის თავის გამოსახულება მარცხნივ/მარჯვნივ. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული ფრთოსანი რაშის პროტომა მარჯვნივ) ზურგზე გამოსახულ ფრთოსანი რაშის პროტომას. ხარის თავი მთვარის ატრიბუტია, მთვარე/ჰეკატე კი ამავე დროს ცხენების მფარველ ღვთაებად მოიაზრება. პეგასი არაპირდაპირ მთვარესთან არის დაკავშირებული (ამაზე ქვემოთ).

ჰემიტეტარტემორიონზე, II ტიპის ჰემიდრაქმაზე, III ტიპის დიდრაქმაზე, II ტიპის დიდრაქმაზე გამოსახული ადამიანის თავები იდენტურია. I ტიპის დიდრაქმის (შუბლი: მწოლიარე ჰერმეფროდიტი ლომის გამოსახულება მარჯვნივ/მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალის ფიგურა მარჯვნივ/მარცხნივ) ზურგზე გამოსახულ ფანტასტიკურ არსებაზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის თავი და ხარის თავი სინონიმური კატეგორიებია, რაც II და III ტიპის დიდრაქმების იკონოგრაფიიდანაც დასტურდება (ამაზე ქვემოთ).

I ტიპის დიდრაქმის შუბლზე გამოსახული მწოლიარე ლომის თავი და ზურგზე გამოსახული მუხლმოდრეკილი ფიგურის ხარის თავი იდენტურია ე.წ. ტეტრადრაქმაზე ამოტვიფრული ლომის თავის, ე.წ. დრაქმის ლომის და ხარის თავების, I ტიპის ჰემიდრაქმაზე (შუბლი: დაღრენილი ლომის თავი მარჯვნივ/მარცხნივ. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა) გამოსახული ლომის თავის და II ტიპის

	ჰემიდრაქმაზე გამოსახული ხარის თავის. თითქოს გაიბა კავშირი სხვადასხვა ტიპის მონეტების იკონოგრაფიას შორის, ამ მონეტების სტილისტურ-ტიპოლოგიური კავშირი და აღმოჩენათა ტოპოგრაფია მათ საერთო გენეზისზე მიუთითებს. ჰემიტეტარტემორიონის აღმოჩენის ტოპოგრაფია და მისი ტიპოლოგიურ-სტილისტური მსგავსება ზემოთ განხილულ მონეტებთან, განსაკუთრებით კი II ტიპის ჰემიდრაქმასთან, საშუალებას გვაძლევს, ის კოლხურ თეთრის ჯგუფს მივაკუთვნოთ. სამონეტო ჯგუფის, კოლხური თეთრის, ფარგლებში რვა ტიპი გამოიყოფა. რვავე ტიპის ლოკალური გენეზისის საკითხი პუნქტობრივად ასე უნდა გადაწყდეს: 1) ჰემიდრაქმის II ტიპი (ადამიანის თავის გამოსახულება/Rv. ხარის თავი) კოლხეთში იჭრებოდა. აღმოჩენათა ტოპოგრაფია სწორედ ამაზე მეტყველებს – ათასობით არის ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში; მის ფარგლებს გარეთ კი მხოლოდ რამდენიმე ათეული ცალია დაფიქსირებული. 2) III ტიპის დიდრაქმა (ადამიანის თავი/Rv. ხარის თავები ორ quadratum incusum-ში) ადამიანის და ხარისთავიანი ძეგლების ტიპოლოგიური პროტოტიპია, ჰემიდრაქმა მისი გამარტივებული ვარიანტია – აქ ხარის თავია ორის მაგივრად. ორივე ტიპის არქაისტული სტილიც მათ ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირებს – ეს კოლხეთის ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ელინური პოლიტიკური ორგანიზმის პროდუქციაა. 3) II ტიპის დიდრაქმა (ადამიანის არქაისტული თავი/Rv. ასეთივე თავები ორ quadratum incusum-ში) წინას მსგავსია. ზურგის მხარეები თითქოს განსხვავებულია, მაგრამ ცოტა ქვემოთ აღვნიშნავთ ქალის და ხარის ტიპოლოგიურ სინთეზს I ტიპის დიდრაქმის რევერსზე; ე.ი. ქალი და ხარი სინონიმური კატეგორიებია. არქაისტული ადამიანის თავის ტიპოლოგია და აღმოჩენათა ტოპოგრაფია კვლავ და კვლავ კოლხეთის ელინურ პოლისებზე უნდა ამახვილებდეს კონკრეტული ასპექტით ჩვენს ყურადღებას. 4) ჰემიტეტარტემორიონები ფიჭვნარიდან (არქაისტული თავი/Rv. წერო) თემატურ ჰარმონიაშია დანარჩენ ნომინალებთან და აი, რატომ: ა) II ტიპის დიდრაქმაზე ტრიომორფული ჰეკატეა (ამაზე ქვემოთ). ბ) III ტიპის დიდრაქმაზე – ტრიომორფული და ზომომორფული ჰეკატე. გ) II ტიპის ჰემიდრაქმის ტიპოლოგიაც მსგავსია. ე. ი. ყველგან მთვარის ატრიბუტებია. ჰემიტეტარტემორიონის ტიპოლოგიასთან მიმართებაში მეტად
--	---

	სიმპტომატურია მაღალფეხებიანი ფრინველის და ლოტოსის კვიპროსული (კერამიკაზე) სინთეზი; ეს უკანასკნელი ნაყოფიერების ღვთაების ატრიბუტია, წერო კი მისი სინონიმი ყოფილა. ნაყოფიერების ღვთაება კოლხეთში ამავე დროს ჰეკატეცაა. 5) ასეთი ფუნქციური სინთეზის იკონოგრაფია I ტიპის დიდრაქმის ზურგის მხარეზეა წარმოდგენილი: ა) ქალის შიშველი ფიგურა ნაყოფიერების კულტთან არის დაკავშირებული; ბ) ხარის თავი მთვარის ატრიბუტია; გ) ამასთან ჰინტერლანდში ὁ Μείς კულტია, ზღვისპირეთში – ἡ Ἑκάτη. ბილინგვიზირებული ფაზისის ვარიანტია ჰერმაფროდიტული სინთეზი – მთვარის სქესობრივი აღქმის მოტანილი და ადგილობრივი შტრიხების შერწყმა. ტიპოლოგიური მიმართებანი, აღმოჩენათა ტოპოგრაფია, ასტრალური თემატიკა (შუბლის მხარეზე გამოსახული ლომი, აპოლონ/ჰელიოსის სიმბოლო; მისი ჰერმაფროდიტიზაცია კი უკვე აპოლონის მზექალასთან შერწყმის პერიპეტიაა. ლომი ნამდვილად ჰერმაფროდიტია – ხვადის ფაფრითა და ძუძუებით. ეს ორი სქესობრივი კატეგორია იკონოგრაფიულად რეალისტურად აისახებოდა, მაგალითისთვის იხ. კოლხური ჰემიდრაქმების I ტიპი; ან კი – საკუთრივ მილეტური ნუმიზმატიკა) კონკრეტულ ტიპს უცილობლად უკავშირებს ზემოაღნიშნულ მასალას. 6) კოლხური ე.წ. დრაქმა (ლომის თავი an face/Rv. ხარის თავის გამოსახულება), ქუთაისის მუზეუმის უპასპორტო ცალი, ტიპოლოგიურ-თემატურ კავშირშია განხილულ დიდრაქმასთან. 7) იგივე შეიძლება ითქვას I ტიპის ჰემიდრაქმის (ლომის თავი/Rv. ძუ ლომის პროტომა) მიმართაც – აქ მზის ჰერმაფროდიტული აღქმის იდეაა დაფიქსირებული; აღმოჩენათა ტოპოგრაფიაც მის კოლხურ გენეზისს ეთანხმება. 8) ე.წ. ტეტრადრაქმები უპასპორტოა. მაგრამ ტიპოლოგიური პარალელი ჰემიდრაქმების I კატეგორიასთან აშკარაა; თემატიკა ტრადიციულია: აპოლონი-ლომი-მზე/პეგასი-მთვარე. რას უკავშირდება ყველაზე უფრო გავრცელებული კოლხური თეთრის იკონოგრაფია ადამიანისა და ხარის თავების გამოსახულებით? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია იმ ფანტასტიკური არსების სწორი დეფინიცია, რომელიც I ტიპის დიდრაქმაზეა (შუბლი: მწოლიარე ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულება მარჯვნივ/მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული. ზურგი: quadratum incusum-ში მოთავსებული
--	---

მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალი მარჯვნივ/მარცხნივ) ამოტვიფრული. ეს უაღრესად რთული საკითხია, მაგრამ ზოგი მოსაზრების წამოყენება მაინც არის შესაძლებელი.

ზოგიერთი მეცნიერის მიერ ადრევე იყო შენიშნული დიდი მსგავსება ჩვეულებრივი ტიპის ნახევარდრაქმებზე გამოსახული ხარისა და დაჩოქილი ადამიანის ხარის თავებს შორის. ეს იძლევა მათ შორის იკონოგრაფიული ძაფის გაბმის საშუალებას. გაითვალისწინა რა ზემოთქმული, გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა ა. ზოგრაფმა დასვა უაღრესად მნიშვნელოვანი კითხვა: ხომ არ არის კოლხური თეთრის ტიპოლოგიის ცვალებადობა ერთ და იმავე ღვთაებაზე წარმოდგენათა დიფერენციაციის, წარმოდგენათა ცვალებადობის (ცხადია, დროის განზომილებაში) შედეგი? ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დაკვირვებაა. მართლაც, შესაძლებელია ფანტასტიკურ არსებაზე წარმოდგენათა დიფერენციაციამ ძვ. წ. V საუკუნეში, თავდაპირველად, მოგვცა II ტიპის დიდრაქმა (შუბლზე ადამიანის თავის და ზურგზე, ერთმანეთის საპირისპიროდ, ორი ასეთივე ადამიანის თავის გამოსახულება), ხოლო შემდეგ – III ტიპის დიდრაქმა (შუბლზე ადამიანისა და ზურგზე, ხარის ორი თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანისა და ხარის თავების მონაცვლეობა II ტიპის დიდრაქმის და III ტიპის დიდრაქმის რევერსზე შემთხვევით არ უნდა იყოს და მათ ეკვივალენტურობაზე უნდა მიუთითებდეს, და ბოლოს, მივიღეთ II ტიპის ჰემიდრაქმა, ადამიანისა და ხარის თავების გამოსახულებით.

ხარი, როგორც წესი, უკავშირდება მთვარის ღვთაებას. ანტიკურ მითოლოგიაში კი სამთავიანი ღვთაება (გავიხსენოთ II ტიპის დიდრაქმაზე ამოკვეთილი რომელიღაც ღვთაების სამი თავი), რომელსაც მთვარის ღვთაების ფუნქციაც აქვს, არის ჰეკატე, ძველადმოსავლური ღვთაება, რომლის კულტიც საბერძნეთში აღმოსავლეთიდანაა შემოსული. სწორედ, ამ ქალღვთაების სამი თავი უნდა იყოს გამოსახული II ტიპის დიდრაქმაზე. ამრიგად, თითქოს გაიბა ერთგვარი ჯაჭვი კოლხური თეთრის სხვადასხვა ტიპის მონეტებს შორის.

გაითვალისწინეს რა ყოველივე ზემოთქმული, ქართველმა მეცნიერებმა დ. კაპანაძემ და ი. შენგელიამ II ტიპის დიდრაქმაზე გამოსახული სამი იდენტური თავი მიიჩნიეს სამთავიან ჰეკატეს იკონოგრაფიად და დაუკავშირეს მთვარის სამ ფაზას.

ამრიგად, ჰეკატეს კულტის არსებობის ფაქტი კოლხეთში რეალობაა. თუ მსჯელობა ჰეკატეს კულტისა და კოლხური თეთრის ტიპოლოგიის ურთიერთკავშირის შესახებ შესაწყნარებელია, მაშინ

შესაძლებელია აიხსნას აგრეთვე ე.წ. ტეტრადრაქმის რევერსზე გამოსახული ფრთოსანი რაშის სემანტიკური მნიშვნელობაც, რომელიც ამოვარდნილია კოლხური თეთრის საერთო ტიპოლოგიიდან. საქმე ისაა, რომ სხვა მრავალ ფუნქციას შორის, რომელიც მას გააჩნია, ჰეკატე ცხენების მოშენების მფარველი ღვთაებაცაა. ძალიან ფრთხილი ვარაუდის სახით შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე ჰეკატეს კულტის ანარეკლთან გვაქვს.

იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ძველ ქართულ წარმართულ პანთეონში მთვარის ღვთაება ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო (აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით კი, მთვარე მთავარი ღვთაებაა ქართული ტომების რწმენა-წარმოდგენებში). ჰეკატე კი თავის თავში აერთიანებდა მთვარის ღვთაების ფუნქციებსაც. ამავე დროს ჰეკატეს კულტი, სხვადასხვა სამეცნიერო გამოკვლევების თანახმად, ასევე პოპულარული იყო მილეტშიც.

1899 წელს მდ. ყუბანის ნაპირას ხუტორ ზუბოვკაში აღმოჩნდა ვერცხლის თასი წარწერით: „აპოლონ-წინამძღოლისა ვარ, რომელიც ფაზისში არის“. წარწერა თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის დასასრულით, ან IV საუკუნის დასაწყისით. ამის საფუძველზე ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ ფაზისში არსებობდა აპოლონის ტაძარი ან სამლოცველო და ეს ნივთი მისთვის იყო შეწირული. ამრიგად, ფაზისში, ისევე როგორც ყველა თავის კოლონიაში, მილეტელებს გადმოუტანიათ და დაუნერგავთ აპოლონის კულტი. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ფაზისში აპოლონ-წინამძღოლის-ჰეგემონის ტაძარი იყო, ე.ი. სწორედ კოლონისტების კულტი იყო გადმოტანილი.

ფიქვნარში 1968 წ. მიკვლეული განსახილველი მონეტების წონა 0,150, 0,111 და 0,110 გრ. ეს ნომინალი დრაქმის 1/24 ნაწილზე (ტეტარტემორიონზე) უკნინესია და პირობითად მას ჰემიტეტარტემორიონი (დრაქმის 1/48) ეწოდა.

ჰემიტეტარტემორიონი სამარხეული კომპლექსის და სტრუქტურული მონაცემების მიხედვით ძვ. წ. V საუკუნის II ნახევრით თარიღდება და მისი ემისია, ალბათ, II ტიპის ჰემიდრაქმების სინქრონულად განხორციელდა. II ტიპის ჰემიდრაქმა (ადამიანის არქაისტული თავი/ხარის თავი), ერთის მხრივ, აშკარად ატიკური სისტემის მიხედვით არის მოჭრილი, მეორეს მხრივ, ის არის III ტიპის დიდრაქმის (ადამიანის არქაისტული თავი/ხარის თავები) გამარტივებული ვარიანტი. აქედან კი ასეთი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი – ჰემიტეტარტემორიონი უნდა ჩაითვალოს ატიკური სისტემის წვრილ ნომინალად.

ზარაფხანა	ფაზისი.
ნომინალი	ჰემიტეტარტემორიონი ატიკური სისტემით.
თარიღი	ძვ. წ. V ს.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 3 ცალი, გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატი- კური კოლექციის განძების ფონდი.) №№18798, 18799, 18800.

ბიბლიოგრაფია	გ. დუნდუა. ლომისგამოსახულებიანი კოლხური თეთრის გენეზისისათვის. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №1. თბ. 1972; კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები. მაცნე. ისტორიის... სერია. №4. თბ. 1978, მაცნე. ისტორიის... სერია. №2. თბ. 1979 (ა. კახიძესთან თანაავტორობით); გურიის ნუმიზმატიკური მასალა. გურია I. თბ. 1996; ანტიკური ხანის უცხოური მონეტების განმეზი კოლხეთიდან (ძვ. წ. VI-ახ. წ. IV სს.). გურია II. თბ. 1997; კოლხური თეთრი (ზოგადი მიმოხილვა). იბერია-კოლხეთი. საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული. №1. თბ. 2003; ქართული ნუმიზმატიკა. I. თბ. 2006 (თ. დუნდუასთან თანაავტორობით); ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი. თბ. 2009 (ირ. ჯალაღანასთან თანაავტორობით). თ. დუნდუა. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1993; საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. წ. I-II. თბ. 1995; ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1997; კოლხური თეთრი და კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. თბ. 2002; ფული საქართველოში (გ. დუნდუასთან, ნ. ჯავახიშვილთან და ა. ერისთავთან თანაავტორობით). თბ. 2003 (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა). დ. კაპანაძე. შენიშვნები ძველი კოლხეთის ნუმიზმატიკის შესახებ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე (სსმმ). ტ XV-B. 1949; ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969. ო. ლორთქიფანიძე. „კოლხური დიდრაქმის“ II ტიპის იკონოგრაფიისათვის. „ძიებანი“. №3. თბ. 1999. ს. მაკალათია. კოლხური დიდრაქმა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე (სსმმ). ტ. VII. თბ. 1933; ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე (სსმმ). ტ. XIV-B. თბ. 1947. ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. ტფ. 1925.
----------------------------	---

К. В. Голенко. Клад синопских и колхидских монет из Кобулет (1948 г.). Вестник Древней Истории (ВДИ). №1. 1961; Четыре клада Колхидок. Нумизматика и Эпиграфика (НЭ). VI. 1966 (ფ. კაპანაძესთან თანავტორობით).

И. А. Джавахишвили. Е. А. Пахомов. Монеты Грузии. Христианский Восток. т. I. СПб. 1912.

Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Тб. 1987.

А. Н. Зограф. Распространение находок античных монет на Кавказе. Труды Отдела Нумизматики Государственного Эрмитажа (ТОНГЭ). т. I. Л. 1945.

Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика. М. 1955.

Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды. II. Тб. 1950.

Е. А. Пахомов. Монеты Грузии. ч. I. СПб. 1910; Монеты Грузии. ч. I-II. Тб. 1970.

G. Dundua. Les Kolkhidki. Dialogues d'histoire Ancienne. №8. 1982; Les relations économiques de la Colchide aux Époques Archaïque et Classique d'après le matériel numismatique. La Mer Noire Zone de Contacts (Actes du VII^e Symposium de Vani – 26-30. IX. 1994). Presses Universitaires Franco-Comtoises. Paris. 1994 (თ. ღუნდუასთან თანავტორობით); Hoards of Foreign Coins of the Classical Period from Colchis (6th century B.C.-4th century A.D.) Georgian Journal of Archaeology. Tb. 2004.

T. Dundua. Georgia within the European Integration as Seen in Coinage. Small Catalogue of the Georgian Coins. Tb. 1999; Georgia within the European Integration. Graeco-Roman World, Byzantine Commonwealth, Orthodox Alliance and the Georgians. Tb. 2013.

D. M. Lang. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia. New-York. 1955; Notes on Caucasian Numismatics. The Numismatic Chronicle (N.C.). Vol. XVII. London. 1957.

უცხოური ფული ქართულ სამონეტო ბაზარზე	უცხოური ფული (ძვ. წ. VI-IV სს., ალექსანდრემდე) ქართულ სამონეტო ბაზარზე მცირეაზიური მონეტები ა) ლიდური (სამეფო დასავლეთ მცირე აზიაში) მონეტები: 1. 1990 წელს ვანის რაიონის სოფელ სულორში აღმოჩნდა მეორე ტიპის ნახევარდრაქმების განძი, რომლის შემადგენლობაშიც არის ვერცხლის სამი უცხოური მონეტა. სამი უცხოური მონეტიდან ორის განსაზღვრა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, მესამეს ატრიბუცია კი სათუთაა. ვერცხლის ერთი მონეტა მოჭრილია ლიდიაში ძვ. წ. 561-546 წლებში. შუბლი: ერთმანეთის საპირისპიროდ გამოსახული დაღრენილი ლომის და ხარის თავები. ზურგი: ორი quadratum incusum. მცირე ზომის ვერცხლის მეორე მონეტაზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული ფაფარიანი ლომის თავი, ხოლო ზურგზე – გამარტივებული ვარსკვლავისმაგვარი ფიგურა. შუბლის მოტივის მიხედვით, პირობითად ისიც შეიძლება ლიდიას მივაკუთვნოთ (გამორიცხული არაა მისი ემისია კარიაში) და ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრით დავათარილოთ. რაც შეეხება მესამე მონეტას, ის აქემენიდურია და მას თავის ადგილას შევხებით (იხ. №20). ბ) კიზიკური სტატერები: 2. 1952 წელს სოფელ ფიჭვნარში შემთხვევით აღმოჩნდა მეორე ტიპის კოლხური მონეტების განძი, რომლის შემადგენლობაშიც არის ძვ. წ. 500-460 წლებით დათარიღებული კიზიკის (ქალაქი მარმარილოს ზღვის სანაპიროზე) სტატერი გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს გამოსახულებით, ზურგზე quadratum incusum. 3. 1968 წელს ფიჭვნარის არქეოლოგიური გათხრების დროს, ბერძნული სამაროვნის №15 სამარხში იპოვეს კიზიკური მონეტა ტრიტონის გამოსახულებით. სტატერი თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის I ნახევრის დასასრულით. 4. 1967 წელს იმავე სამაროვანზე №6 სამარხში მიკვლეულ იქნა კიზიკური სტატერის ნიმფა კლიტეს (კლიტიას) გამოსახულებით. მონეტა თარიღდება ძვ. წ. 460/430 წლებით. 5. ლიტერატურაში დაცული ცნობის თანახმად, ერთი კიზიკური მონეტა აღმოჩნდა ვანში 1895 წელს. სამწუხაროდ, ზუსტი თარიღი ამ სტატერისა ცნობილი არ არის.
---	---

გ) სინოპური (ქალაქი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე) დრაქმები:

6. 1967 წელს ფიჭვნარის ადრეანტიკური ხანის სამაროვანზე შემთხვევით იპოვეს ძვ. წ. VI-V საუკუნეების სინოპური დრაქმა (ტიპი: დელფინი – quadratum incusum)

7-8. 1965 და 1966 წლებში ურეკში ზღვის ნაპირას შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. IV საუკუნის I ნახევრის სინოპური დრაქმები. ვინაიდან იდენტური მონეტები ფართოდაა გავრცელებული კოლხეთის სანაპირო ზოლში, ვიძლევიტ მათ სტანდარტულ აღწერილობას. შუბლი – ნიშნა სინოპეს გამოსახულება მარცხნივ. ზურგი – მარცხნივ მიმართული დელფინზე მჯდომი არწივი. არწივის ფრთის ქვეშ სხვადასხვა მაგისტრატის სახელი ბერძნული ასოებით. დელფინის ქვემოთ ასევე ბერძნულად ქალაქის სახელი: ΣΙΝΩ.

9-12. ძვ. წ. IV საუკუნის I ნახევრით თარიღდება 4 დრაქმა, აღმოჩენილი ბათუმის მიდამოებში 1900-იან წლებში (ტიპი ისეთივეა, როგორც №№7-8).

13. 1948 წელს ფიჭვნარში საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავების დროს აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი წონით 6-8 კგ. მისი ძირითადი ნაწილი გაიფანტა. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში 149 მონეტაა დაცული, საქართველოს მუზეუმში – 9. გადარჩენილი ნაწილიდან 110 სინოპური დრაქმაა (ტიპი ისეთივეა, როგორც №№7-8), რომლებიც ძვ. წ. 360-320 წლებით თარიღდება; დანარჩენი კი მეორე ტიპის კოლხური ტრიობოლებია. განძის მეცნიერულმა შესწავლამ დააკონკრეტა მისი ჩაფლობის თარიღი – ძვ. წ. 350-345 წწ.

14. 1880-იან წლებში სოხუმში იპოვეს ძვ. წ. IV საუკუნის სინოპური დრაქმა (იგივე ტიპისა).

დ) ამისოს (ქალაქი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე) დრაქმები:

15. 1966 წელს ქობულეთში შემთხვევით აღმოჩნდა ქალაქ ამისოს ვერცხლის მონეტა, დათარიღებული ძვ. წ. IV საუკუნით, ალექსანდრე მაკედონელის მეფობის წინა ხანებით (ტიპი: შუბლი – ქალის თავის გამოსახულება. ზურგი – ბუ).

16. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა სოხუმის ციხის ტერიტორიაზე.

ჩრდილო შავიზღვისპირეთის მონეტები:

ა) პანტიკაპეიონი (თანამედროვე ქერჩი).

17. 1967 წელს ფიჭვნარში, ბერძნული სამაროვნის №5 სამარხში აღმოჩნდა ძვ. წ. 475-450 წლებით დათარიღებული პანტიკაპეიონის ვერცხლის მონეტა (შუბლი – დელფინი. ზურგი – quadratum incusum).

18. ლიტერატურაში დაცული ცნობის თანახმად, ციხისძირში შემთხვევით უპოვიათ პანტიკაპეიონის სპილენძის მონეტა, მოჭრილი ძვ. წ. 370-340 წლებში.

ბ) ნიმფეიონის (ყირიმი, ქერჩის სრუტესთან) დიობოლი (დრაქმის 1/3).

19. 1968 წელს ფიჭვნარის ბერძნულ სამაროვნის №8 სამარხში აღმოჩნდა ნიმფეიონში მოჭრილი დიობოლი, დათარიღებული ძვ. წ. V საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით (შუბლი – ნიმფას თავის გამოსახულება. ზურგი – quadratum incusum -ში მოთავსებული ვაზის ლერწი ყურძნის მტევნითა და ფოთლებით).

აქემენიდური ირანი:

20. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი სულორის განძის შესახებ (იხ. №1). სწორედ ამ განძის შემადგენლობაში აღმოჩნდა აქემენიდური ხანის ძვ. წ. V საუკუნის სპარსული სიკლი (შუბლი – მარჯვნივ მიმართული ირანის „მეფის“ გამოსახულება. ზურგი – quadratum incusum).

21. ლიტერატურაში დაცული ცნობის თანახმად, თითქოს სურამის მიდამოებში 1856 წელს კოლხურ ნახევარდრაქმებთან ერთად აღმოჩენილა აქემენიდური სიკლი.

ათენური ტეტრადრაქმები:

22. 1890-იან წლების დასასრულს მწვანე კონცხის მიდამოებში იპოვეს ძვ. წ. V-IV საუკუნეების ათენური ტეტრადრაქმა (შუბლი – მარჯვნივ მიმართული ქალღმერთ ათენას თავის გამოსახულება. ზურგი – მარჯვნივ მიმართული ბუ), რომელიც პირადად ნახა და აღწერა ე. პახომოვმა. ამდენად, ეს აღმოჩენა ეჭვს არ იწვევს.

23. 1939 წელს დმანისის რაიონის სოფელ საკირესთან შემთხვევით აღმოჩნდა ათენური ტეტრადრაქმა, რომელიც ასევე ე. პახომოვმა ძვ. წ. V-IV საუკუნეებით დაათარიღა (ტიპი იგივეა). ასე რომ, არც ეს აღმოჩენა იწვევს რაიმე ეჭვს.

	მაკედონია: 24. ვანში არქეოლოგიური გათხრების დროს 1969 წელს კოლხი მეომრის სამარხში აღმოჩნდა მაკედონიის მეფის ფილიპე II-ის (ძვ. წ. 359-336 წწ.) სტატერი. ამ ოქროს მონეტის აღწერილობა ასეთია: შუბლი – აპოლონის თავის გამოსახულება მარჯვნივ. ზურგი – მარჯვნივ მიმართული მხედარი ორცხენიან ეტლზე. ცხენების წინა ფეხებთან სიმბოლო – ლომის თავი პირდაპირ. ხაზს ქვემოთ ბერძნული ზედწერილი: ΦΙΛΙΠΠΟΥ.
--	---

ჯგუფი	ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბამები
ტიპი	აკის სტატერი
აღწერა, ფოტო	ბაჯაღლო ოქრო. წონა – 8,45 გრ. d=17/18 მმ. შუბლი: ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება მარჯვნივ. ზურგი: მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც მარჯვენა გაშლილ ხელში გამარჯვების ქალღმერთი ნიკე უჭირავს, ხოლო მარცხენათი ტახტის სახელურს ეყრდნობა. ტახტის უკან მოთავსებულია ფარი. ათენა პალადას ქვემოთ სამთითა, რომლის ორსავე მხარეს პატარა დელფინებია გამოსახული. ამ კომპოზიციის უკან ბერძნული ზედწერილი – ΒΑΣΙΛΕΩΣ, წინ – ΑΚΟΥ. 
სამეცნიერო კომენტარი	ისევე როგორც ანტიკურ სახელმწიფოთა ცხოვრების ყველა სფეროში, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა გადატრიალება მოახდინა სამონეტო საქმეშიც. ამ განუმეორებელი პიროვნების ფულადმა სისტემამ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა თითქმის მთელ იმდროინდელ მსოფლიოში. ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ მისი მხედართმთავრებიდან (დიადოხოსები) ერთ-ერთმა გამორჩეულმა, თრაკია-მაკედონიის მეფე ლისიმაქემ ალექსანდრეს გამოსახულებით მოჭრა მონეტები, რომლებმაც ასევე დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ალექსანდრეს და ლისიმაქეს მონეტები იმდენად პოპულარული იყო ძველ მსოფლიოში, რომ ამ მონარქების გარდაცვალების შემდეგ ორი-სამი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა ორივე სამონეტო ტიპის მოჭრა მათივე სახელით, სხვადასხვა ტერიტორიაზე და სხვადასხვა იურიდიული ორგანოს (თუ პირის) მიერ. კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტაც სწორედ ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მასობრივ შემოსვლასთანაა დაკავშირებული. უფრო მეტიც, მოგვიანებით, ძველი კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზე მოჭრილი მონეტები ტიპოლოგიურად სწორედ ალექსანდრეს და ლისიმაქეს სახელით მოჭრილ სტატერებს

უკავშირდება, მათი იმიტაციაა.

აკის სტატერი ზუსტი ასლია ლისიმაქეს სახელით მოჭრილი ოქროს იმ მონეტებისა, რომელთა ემისიას აწარმოებდა ქალაქი ბიზანტიონი ძვ. წ. 195 წლის შემდგომ ხანებში. სწორედ ბიზანტიონში მოჭრილ მონეტებზეა დატანილი ამავე ქალაქის ემბლემა – სამთითა, რომლის ტარი შემკულია ორი დელფინით. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, აკის სტატერი ძვ. წ. 195 წლის შემდგომი პერიოდით, ძვ. წ. II საუკუნის 80-იანი წლებით თარიღდება.

მონეტის წონა შეადგენს 8,45 გრ. ბაჯალლო ოქროს. აკის სტატერის მარაგი 2 ცალით განისაზღვრება.

მონეტა თავისი მხატვრული, სტილისტური და ტექნიკური თვისებებით არაფრით ჩამოუვარდება პროტოტიპს.

მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფია ამტკიცებს მათ ადგილობრივ, კოლხურ წარმოშობას – აღმოჩენილია ქალაქ ტრაპეზუნტში (1865 წ.), რომელიც ძველად კოლხეთის საზღვრებში შედიოდა და ხონის რაიონის სოფ. კინჩხაში (1946 წ.).

მონეტის რევერსზე დატანილი მეფის სახელი (ΒΑΣΙΛΕΩΣ ΑΚΟΥ) ჩასმულია ნათესაობით ბრუნვაში და ქართულად ითარგმნება, როგორც მეფე აკესისა/აკასი, ან აკოსისა (სახელობით ბრუნვაში იქნება აკა, აკესი ან აკოსი). სხვა წყაროებით ასეთი სახელის მქონე კოლხეთის მეფე არ დასტურდება. პროფესორმა დ. კაპანაძემ მეფის სახელი აკესი/აკოსი „გააქართულა“ და გადმოიტანა, როგორც აკი. ეს უკანასკნელი კი ქართულ ონომასტიკონში გავრცელებული სახელია. რუსმა მეცნიერმა ლ. ხარკომ მიიჩნია, რომ „აკუ“ იყო „ლისიმ-ახუ-ს“ დამახინჯებული ფორმა („ხ“ შეცვლილია „კ“-თი). ასეთი მოსაზრება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს – მონეტა იმდენად მაღალმხატვრულ დონეზეა მოჭრილი, რომ შეუძლებელია ხელოსანს ასოთა ასეთი აღრევა დაეშვა.

სხვა მოსაზრების თანახმად კი „აკუ“ შეიძლება იყოს ძვ. წ. II საუკუნის ბერძენი მწერლის პოლიბიოსის მიერ მოხსენებული მეფე „აკუ-სილოხის“ შემოკლებული ფორმა. მართალია, ხსენებული ავტორი არ აზუსტებს, რომელი ქვეყნის მეფეა აკუსილოხი, მაგრამ იგი ისეთ გეოგრაფიულ ნომენკლატურაშია მოხსენიებული, რომ სრულებით არ არის გამორიცხული კოლხეთი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პოლიბიოსის ცნობით აღნიშნული მეფე მოღვაწეობდა ძვ. წ. II საუკუნის 70-იან წლებში, რაც ემთხვევა მონეტის ემისიის თარიღს (ძვ. წ. 195 წლის შემდგომი პერიოდი), მაშინ აკუსილოხის მოღვაწეობა და მონეტის მოჭრის სინქრონულობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. თუმცა ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ის

	ფაქტი, რომ ელინისტური ხანის მონეტებზე მეფის სახელის ფრაგმენტული განთავსება გამოწვეული იყო მხოლოდ მონეტის არის სიმცირით. აკის სტატერზე კი მეფის სახელის შემოკლება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა, სტატერის არეზე თავისუფლად მოთავსდებოდა აკუსილოხის სრული სახელი. აკის სტატერის ემიტენტის საკითხის შესახებ განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად, აღმოჩენის ტოპოგრაფიის საფუძველზე, ის კოლხურ სამყაროს უნდა დავუკავშიროთ. დასკვნის სახით, ამ მონეტებთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: აკის სტატერი კოლხურ სამყაროს უნდა დავუკავშიროთ და თუ მომავალი აღმოჩენები ამ ფაქტს ეჭვმიუტანლად დაადასტურებს, მაშინ ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი არგუმენტი დასავლეთ საქართველოს ფარგლებში ძვ. წ. II საუკუნის 80-70-იან წლებში სამეფოს არსებობისა, ვინაიდან მონეტაზე აღნიშნული პირი მეფის ტიტულითაა მოხსენიებული. აკის სტატერს მოსდევს ადგილობრივ მოჭრილი ოქროს მინაბადების მთელი სერია, ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები (ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები. შუბლი: არანატურალისტური თავის გამოსახულება მარჯვნივ. თმის სოლარული ვარცხნილობა ხშირად შემკულია ჩიტების გამოსახულებით. ზურგი: ტახტზე მჯდომი ათენას სქემატური გამოსახულება მარცხნივ/მარჯვნივ. ხელში ნიკე უჭირავს. ქვემოთ სამთითა. ალექსანდრეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები. შუბლი: არანატურალისტური თავის გამოსახულება მარჯვნივ. ზურგი: ხარისთავიანი ან ვერძისთავიანი ნიკეს სქემატური გამოსახულება პირდაპირ). მათგან ყველაზე ადრეულია სოფელ რეყეში (ზუგდიდის რაიონი) 1920 წელს აღმოჩენილი ცალი, რომელიც ბაძავს ბიზანტიონში ლისიმაქეს სახელით მოჭრილ სტატერებს, ან თვით აკის მონეტას. მონეტის მოჭრის სავარაუდო თარიღი ძვ. წ. II საუკუნის 60-50-იანი წლებით განისაზღვრება. დროთა განმავლობაში მინაბადების გამოსახულებანი თანდათან უხეშდება, სქემებად იქცევა და ძალიან სცილდება ორიგინალებს.
ზარაფხანა	უცნობია.
ნომინალი	სტატერი (8,45 გრ.).
თარიღი	ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისი (80-იანი წლები).

კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 1 ცალი (ხონის რაიონის სოფ. კინჩხაში აღმოჩენილი ცალი), გფ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №4872; პარიზი, მედლების კაბინეტი – 1 ცალი (ტრაპეზუნტში აღმოჩენილი ცალი).
----------	--

ჯგუფი	ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები
ტიპი	ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები
აღწერა, ფოტო	ოქრო. რემედიუმი: 1,1 გრ.-7,9 გრ. d=18-24 მმ. შუბლი: არანატურალისტური თავის გამოსახულება მარჯვნივ. თმის სოლარული ვარცხნილობა ხშირად შემკულია ჩიტების გამოსახულებით. ზურგი: ტახტზე მჯდომი ათენას სქემატური გამოსახულება მარცხნივ/მარჯვნივ. ხელში ნიკე უჭირავს. ქვემოთ სამთითა. 



	
სამეცნიერო კომენტარი	ისევე როგორც ანტიკურ სახელმწიფოთა ცხოვრების ყველა სფეროში, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა გადატრიალება მოახდინა სამონეტო საქმეშიც. ამ განუმეორებელი პიროვნების

ფულადმა სისტემამ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა თითქმის მთელ იმდროინდელ მსოფლიოში. ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ მისი მხედართმთავრებიდან (დიადოხოსები) ერთ-ერთმა გამორჩეულმა, თრაკია-მაკედონიის მეფე ლისიმაქემ ალექსანდრეს გამოსახულებით მოჭრა მონეტები, რომლებმაც ასევე დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ალექსანდრეს და ლისიმაქეს მონეტები იმდენად პოპულარული იყო ძველ მსოფლიოში, რომ ამ მონარქების გარდაცვალების შემდეგ ორი-სამი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა ორივე სამონეტო ტიპის მოჭრა მათივე სახელით, სხვადასხვა ტერიტორიაზე და სხვადასხვა იურიდიული ორგანოს (თუ პირის) მიერ.

კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტაც სწორედ ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მასობრივ შემოსვლასთანაა დაკავშირებული. უფრო მეტიც, მოგვიანებით, ძველი კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზე მოჭრილი მონეტები ტიპოლოგიურად სწორედ ალექსანდრეს და ლისიმაქეს სახელით მოჭრილ სტატერებს უკავშირდება, მათი იმიტაციაა. მათგან ყველაზე ადრეულია აკის სტატერი (შუბლი: ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება მარჯვნივ. ზურგი: მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც მარჯვენა გაშლილ ხელში გამარჯვების ქალღმერთი ნიკე უჭირავს, ხოლო მარცხენათი ტახტის სახელურს ეყრდნობა. ტახტის უკან მოთავსებულია ფარი. ათენა პალადას ქვემოთ სამთითა, რომლის ორსავე მხარეს პატარა დელფინებია გამოსახული. ამ კომპოზიციის უკან ბერძნული ზედწერილი – ΒΑΣΙΛΕΩΣ, წინ – ΑΚΟΥ). აკის სტატერი ზუსტი ასლია ლისიმაქეს სახელით მოჭრილი ოქროს იმ მონეტებისა, რომელთა ემისიას აწარმოებდა ქალაქი ბიზანტიონი ძვ. წ. 195 წლის შემდგომ ხანებში. სწორედ ბიზანტიონში მოჭრილ მონეტებზეა დატანილი ამავე ქალაქის ემბლემა – სამთითა, რომლის ტარი შემკულია ორი დელფინით. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, აკის სტატერი ძვ. წ. 195 წლის შემდგომი პერიოდით, ძვ. წ. II საუკუნის 80-იანი წლებით თარიღდება.

მონეტის წონა შეადგენს 8,45 გრ. ბაჯადლო ოქროს. აკის სტატერის მარაგი 2 ცალით განისაზღვრება.

მონეტა თავისი მხატვრული, სტილისტური და ტექნიკური თვისებებით არაფრით ჩამოუვარდება პროტოტიპს.

მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფია ამტკიცებს მათ ადგილობრივ, კოლხურ წარმოშობას – აღმოჩენილია ქალაქ ტრაპეზუნტში (1865 წ.), რომელიც ძველად კოლხეთის საზღვრებში შედიოდა და ხონის რაიონის სოფ. კინჩხაში (1946 წ.).

	აკის სტატერს მოსდევს ადგილობრივ მოჭრილი ოქროს მინაბადების მთელი სერია, ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები. აღნიშნული მონეტები სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. მათ ქართულ წარმომავლობას ამტკიცებს აღმოჩენათა ტოპოგრაფია და სტილისტურ-ფაქტურული მონაცემები. ერთი სიტყვით, საბოლოოდ დადასტურებულია მათი წარმოშობის ქართული ხასიათი. მაგრამ ამ მონეტებთან დაკავშირებული რიგი საკითხებისა დღემდე დაუზუსტებელია – სრულებით გაუგებარია, ვინ ჭრის მათ, სახელმწიფო ხელისუფლება, თუ სხვა რომელიმე ორგანო, ან კერძო პირი, ვისი კომპეტენციაა მათი ემისია და ა. შ. ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადებიდან ყველაზე ადრეულია ზუგდიდის რაიონის სოფ. რეყეში აღმოჩენილი ცალი, რომელიც ძალიან ახლოს დგას ორიგინალთან, შესაძლოა აკის სტატერთანაც, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ქრონოლოგიურად ის ძალიან არ მოვაცილოთ აღნიშნულ მონეტებს. მისი მოჭრის სავარაუდო თარიღი განისაზღვრება ძვ. წ. II საუკუნის 60-50-იანი წლებით. მონეტა 7,78 გრ. მაღალი სინჯის ოქროა. დროთა განმავლობაში ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადების გამოსახულებანი თანდათან უხემდება, სქემებად იქცევა და ძალიან სცილდება ორიგინალებს. გარდა ამისა, უარესდება მონეტების სინჯი და ეცემა წონა (რემედიუმი: 1,1 გრ.-7,9 გრ.). ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები აღმოჩენილია სხვა კარგად დათარიღებულ მონეტებთან ერთად და ასევე კარგად დათარიღებულ სამარხებში, რის საფუძველზეც მათი ემისია სავარაუდებელია ძვ. წ. II საუკუნის 80-იანი წლების შემდგომი პერიოდიდან, ვიდრე ძვ. წ. I საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე. რაც შეეხება ალექსანდრე მაკედონელის ტიპის სტატერების ქართულ მინაბადებს (შუბლი: არანატურალისტური თავის გამოსახულება მარჯვნივ. ზურგი: ხარისთავიანი ან ვერძისთავიანი ნიკეს სქემატური გამოსახულება პირდაპირ), მათ ადრეულ ცალებს ჩვენამდე არ მოუღწევია. აღმოჩენილი ცალებიდან ირკვევა, რომ ამ კატეგორიის მინაბადების წონაც თანდათან ეცემა (რემედიუმი: 1,6 გრ.-3,7 გრ.) და უარესდება სინჯი. ბოლოსდაბოლოს ისინი ვერცხლის მონეტებად იქცა. ალექსანდრე მაკედონელის ტიპის სტატერების ქართული მინაბადების ემისიის ქრონოლოგიური დიაპაზონი განისაზღვრება ძვ. წ. I-ახ. წ. I საუკუნეებით. რა თქმა უნდა, ეს ეხება მხოლოდ და მხოლოდ დღემდე მოღწეულ ცალებს. იმის საფუძველზე, რომ ადრე ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქარ-
--	---

თული მინაბადები უფრო დასავლეთ საქართველოში ჩნდებოდა, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება მათი კოლხური გენეზისის შესახებ; სახელად ამ მონეტებს კოლხური სტატერი უწოდეს (აღმოჩენათა ტოპოგრაფია, პირიქით, ალექსანდრე მაკედონელის ტიპის სტატერების ქართულ მინაბადებს უფრო აღმოსავლურქართულად წარმოაჩენდა. ამიტომ, მათ იბერიული სტატერი უწოდეს). თუმცა დღეისათვის აღნიშნული მოსაზრების გაზიარება ძნელდება. ჯერ ერთი, მინაბადების კატეგორიას არ შეიძლება ეწოდოს სტატერი და, მეორეც, ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა მათი გავრცელების სურათი – 18 მათგანი მიკვლეულია დასავლეთ საქართველოში, 8 – აღმოსავლეთში.

ამრიგად, აღნიშნული კატეგორიის მინაბადები საერთო ქართული მოვლენაა (ისევე როგორც ალექსანდრეს სახელით მოჭრილი სტატერების მინაბადები – აღმოსავლეთ საქართველოში მიკვლეულია 14 ცალის რაოდენობით, არგვეთში, რომელიც პოლიტიკურად ხანდახან იბერიის სამეფოს ექვემდებარებოდა, 19 ცალის რაოდენობით, ე.ი. სულ 33 ცალი. დასავლეთ საქართველოში კი მათი რიცხვი 26-ს აღწევს). უმჯობესია ვიხმაროთ ტერმინი: ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები (ანალოგიურად – ალექსანდრე მაკედონელის ტიპის სტატერების ქართული მინაბადები).

რაც შეეხება ე.წ. „ბარბაროსული“ მინაბადების გენეზისის მიზეზებსა და მათ ფუნქციას, უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო წრეებში მათ წარმოშობასთან დაკავშირებით არავითარი უთანხმოება არაა. ერთხმადაა აღიარებული, რომ, როდესაც ფართოდ გავრცელებული და პოპულარული მონეტების შემოსვლა კლებულობს ამა თუ იმ ქვეყნის ბაზარზე, ამ „ვაკუუმის“ შევსება მინაბადების საშუალებით ხდება. სხვა საკითხია, ვინ ახორციელებს მათ ემისიას – სახელმწიფო ხელისუფლება, თუ კერძო პირები, რომლებიც არაეკვივალენტური სუროგატებით ამარაგებენ ბაზარს. ეს ურთულესი პრობლემაა. გამოთქმულია მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები კოლხეთში იჭრებოდა. ამას, სხვა მომენტებთან ერთად, ისიც ამტკიცებს, რომ ამ ფულების ლოგიკური ემიტენტი სწორედ დასავლეთ საქართველოშია სავარაუდებელი – ძვ. წ. II საუკუნიდან კოლხეთში ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისი იწყება, რაც დაკავშირებულია ქვეყნის სოციალურ რეორგანიზაციასთან, რასაც დასჭირდებოდა სწორედ ინფლაციური ფულის გამოყენება. ასეთი რამ იბერიაში არ ხდებოდა, შესაბამისად, მონეტები კოლხეთში უნდა მოეჭრათ. მათ, სავარაუდოდ, კოლხი სკეპტუხები ჭრიდნენ. ეს იმას არ

	ნიშნავს, რომ ფულები იბერიამი არ ვრცელდებოდა და ზოგიერთი ცალი, შესაძლოა, იატაკქვეშა ზარაფხანის პროტოტიპიც გახდა. დაბოლოს, აქვს თუ არა მინაბადებს ფულის ფუნქცია? მეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობა ამ კითხვაზე დადებითად პასუხობს. ამაზე მიუთითებს ცალკეული ცალების შედარებითი სრულყოფილება, მაღალი წონა და სინჯი, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ იმიტაციები აღმოჩენილია სხვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, კანონიერ მონეტებთან ერთად განძებში. ასე რომ, მინაბადების ეკონომიკური ბუნება დავას არ უნდა იწვევდეს.
ზარაფხანა	უცნობია.
ნომინალი	ოქრო. 1,1 გრ.-7,9 გრ.
თარიღი	ძვ. წ. II საუკუნის 80-იანი წლების შემდგომი პერიოდი-ძვ. წ. I საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 20-ზე მეტი ცალი. გფ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №1680, გფ. №3067, გფ. №4871, გფ. №5253, გფ. №10073, გფ. №11413, გფ. №11814, გფ. №11921, გფ. №15558, გფ. №№16873-16875, გფ. №18803; ქფ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი.) №№49-51, ქფ. №1578, ქფ. №1699, ქფ. №1700, ქფ. №3316, ქფ. №3810, ქფ. №3811, ქფ. №4028.

ჯგუფი	ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები
ტიპი	ალექსანდრეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები
აღწერა, ფოტო	ოქრო. რემედიუმი: 1,6 გრ.-3,7 გრ. d=13-18/19 მმ. შუბლი: არანატურალისტური თავის გამოსახულება მარჯვნივ. ზურგი: ხარისთავიანი ან ვერძისთავიანი ნიკეს სქემატური გამოსახულება პირდაპირ.







	
სამეცნიერო კომენტარი	ისევე როგორც ანტიკურ სახელმწიფოთა ცხოვრების ყველა სფეროში, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა გადატრიალება მოახდინა სამონეტო საქმეშიც. ამ განუმეორებელი პიროვნების ფულადმა სისტემამ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა თითქმის მთელ იმდროინდელ მსოფლიოში. ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ მისი მხედართმთავრებიდან (დიადოხოსები)

ერთ-ერთმა გამორჩეულმა, თრაკია-მაკედონიის მეფე ლისიმაქემ ალექსანდრეს გამოსახულებით მოჭრა მონეტები, რომლებმაც ასევე დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ალექსანდრეს და ლისიმაქეს მონეტები იმდენად პოპულარული იყო ძველ მსოფლიოში, რომ ამ მონარქების გარდაცვალების შემდეგ ორი-სამი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა ორივე სამონეტო ტიპის მოჭრა მათივე სახელით, სხვადასხვა ტერიტორიაზე და სხვადასხვა იურიდიული ორგანოს (თუ პირის) მიერ.

კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტაც სწორედ ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მასობრივ შემოსვლასთანაა დაკავშირებული. უფრო მეტიც, მოგვიანებით, ძველი კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზე მოჭრილი მონეტები ტიპოლოგიურად სწორედ ალექსანდრეს და ლისიმაქეს სახელით მოჭრილ სტატერებს უკავშირდება, მათი იმიტაციაა. მათგან ყველაზე ადრეულია აკის სტატერი (შუბლი: ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება მარჯვნივ. ზურგი: მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც მარჯვენა გაშლილ ხელში გამარჯვების ქალღმერთი ნიკე უჭირავს, ხოლო მარცხენათი ტახტის სახელურს ეყრდნობა. ტახტის უკან მოთავსებულია ფარი. ათენა პალადას ქვემოთ სამთითა, რომლის ორსავე მხარეს პატარა დელფინებია გამოსახული. ამ კომპოზიციის უკან ბერძნული ზედწერილი – ΒΑΣΙΛΕΩΣ, წინ – ΑΚΟΥ). აკის სტატერი (წონა – 8,45 გრ. ბაჯაღლო ოქრო) ზუსტი ასლია ლისიმაქეს სახელით მოჭრილი ოქროს იმ მონეტებისა, რომელთა ემისიას აწარმოებდა ქალაქი ბიზანტიონი ძვ. წ. 195 წლის შემდგომ ხანებში. აკის სტატერი ძვ. წ. II საუკუნის 80-იანი წლებით თარიღდება.

მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფია ამტკიცებს მათ ადგილობრივ, კოლხურ წარმოშობას – აღმოჩენილია ქალაქ ტრაპეზუნტში (1865 წ.), რომელიც ძველად კოლხეთის საზღვრებში შედიოდა და ხონის რაიონის სოფ. კინჩხაში (1946 წ.).

აკის სტატერს მოსდევს ადგილობრივ მოჭრილი ოქროს მინაბამების მთელი სერია, ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბამები.

აღნიშნული მონეტები სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. მათ ქართულ წარმომავლობას ამტკიცებს აღმოჩენათა ტოპოგრაფია და სტილისტურ-ფაქტურული მონაცემები. ერთი სიტყვით, საბოლოოდ დადასტურებულია მათი წარმოშობის ქართული ხასიათი. მაგრამ ამ მონეტებთან დაკავშირებული რიგი საკითხებისა დღემდე დაუზუსტებელია – სრულებით გაუგებარია, ვინ ჭრის მათ, სახელმწიფო ხელისუფლება,

თუ სხვა რომელიმე ორგანო, ან კერძო პირი, ვისი კომპეტენციაა მათი ემისია და ა. შ.

საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. II საუკუნის 80-იანი წლების შემდგომი პერიოდიდან იწყება და ძვ. წ. I საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე გრძელდება ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადების (შუბლი: არანატურალისტური თავის გამოსახულება მარჯვნივ. თმის სოლარული ვარცხნილობა ხშირად შემკულია ჩიტების გამოსახულებით. ზურგი: ტახტზე მჯდომი ათენას სქემატური გამოსახულება მარცხნივ/მარჯვნივ. ხელში ნიკე უჭირავს. ქვემოთ სამთითა) ემისია. დროთა განმავლობაში ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადების გამოსახულებანი თანდათან უხეშდება, სქემებად იქცევა და ძალიან სცილდება ორიგინალებს. გარდა ამისა, უარესდება მონეტების სინჯი და ეცემა წონა (რემედიუმი: 1,1 გრ.-7,9 გრ.).

რაც შეეხება ალექსანდრე მაკედონელის ტიპის სტატერების ქართულ მინაბადებს, მათ ადრეულ ცალებს ჩვენამდე არ მოუღწევია. აღმოჩენილი ცალებიდან ირკვევა, რომ ამ კატეგორიის მინაბადების წონაც თანდათან ეცემა (რემედიუმი: 1,6 გრ.-3,7 გრ.) და უარესდება სინჯი. ბოლოსდაბოლოს ისინი ვერცხლის მონეტებად იქცა.

ალექსანდრეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები აღმოჩენილია კარგად დათარიღებულ მონეტებთან ერთად და ასევე კარგად დათარიღებულ სამარხებში, რის საფუძველზეც მათი ემისიის ქრონოლოგიური დიაპაზონი განისაზღვრება ძვ. წ. I-ახ. წ. I საუკუნეებით. რა თქმა უნდა, ეს ეხება მხოლოდ და მხოლოდ დღემდე მოღწეულ ცალებს.

იმის საფუძველზე, რომ ადრე ალექსანდრეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები უფრო აღმოსავლეთ საქართველოში ჩნდებოდა, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება მათი იბერიული გენეზისის შესახებ; სახელად ამ მონეტებს იბერიული სტატერი უწოდეს (აღმოჩენათა ტოპოგრაფია, პირიქით, ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართულ მინაბადებს უფრო დასავლურქართულად წარმოაჩენდა. ამიტომ, მათ კოლხური სტატერი უწოდეს). თუმცა დღეისათვის აღნიშნული მოსაზრების გაზიარება ძნელდება. ჯერ ერთი, მინაბადების კატეგორიას არ შეიძლება ეწოდოს სტატერი და, მეორეც, ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა მათი გავრცელების სურათი – აღმოსავლეთ საქართველოში ალექსანდრეს ტიპის სტატერების მინაბადები მიკვლეულია 14 ცალის რაოდენობით, არგვეთში, რომელიც პოლიტიკურად ხანდახან იბერიის სამეფოს ექვემდებარებოდა, 19 ცალის რაოდენობით, ე.ი. სულ 33 ცალი.

	დასავლეთ საქართველოში კი მათი რიცხვი 26-ს აღწევს. ამრიგად, აღნიშნული კატეგორიის მინაბადები საერთო ქართული მოვლენაა (ისევე როგორც ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერების ქართული მინაბადები – 18 მათგანი მიკვლეულია დასავლეთ საქართველოში, 8 – აღმოსავლეთში). უმჯობესია ვიხმაროთ ტერმინი: ალექსანდრე მაკედონელის ტიპის სტატერების ქართული მინაბადები (ანალოგიურად – ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები). რაც შეეხება ე.წ. „ბარბაროსული“ მინაბადების გენეზისის მიზეზებსა და მათ ფუნქციას, უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო წრეებში მათ წარმოშობასთან დაკავშირებით არავითარი უთანხმოება არაა. ერთხმადაა აღიარებული, რომ, როდესაც ფართოდ გავრცელებული და პოპულარული მონეტების შემოსვლა კლებულობს ამა თუ იმ ქვეყნის ბაზარზე, ამ „ვაკუუმის“ შევსება მინაბადების საშუალებით ხდება. სხვა საკითხია, ვინ ახორციელებს მათ ემისიას – სახელმწიფო ხელისუფლება, თუ კერძო პირები, რომლებიც არაეკვივალენტური სუროგატებით ამარაგებენ ბაზარს. ეს ურთულესი პრობლემაა. გამოთქმულია მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადები კოლხეთში იჭრებოდა. ამას, სხვა მომენტებთან ერთად, ისიც ამტკიცებს, რომ ამ ფულების ლოგიკური ემიტენტი სწორედ დასავლეთ საქართველოშია სავარაუდებელი – ძვ. წ. II საუკუნიდან კოლხეთში ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისი იწყება, რაც დაკავშირებულია ქვეყნის სოციალურ რეორგანიზაციასთან, რასაც დასჭირდებოდა სწორედ ინფლაციური ფულის გამოყენება. ასეთი რამ იბერიაში არ ხდებოდა, შესაბამისად, მონეტები კოლხეთში უნდა მოეჭრათ. მათ, სავარაუდოდ, კოლხი სკეპტუხები ჭრიდნენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფულები იბერიაში არ ვრცელდებოდა და ზოგიერთი ცალი, შესაძლოა, იატაკქვეშა ზარაფხანის პროტოტიპიც გახდა. დაბოლოს, აქვს თუ არა მინაბადებს ფულის ფუნქცია? მეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობა ამ კითხვაზე დადებითად პასუხობს. ამაზე მიუთითებს ცალკეული ცალების შედარებითი სრულყოფილება, მაღალი წონა და სინჯი, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ იმიტაციები აღმოჩენილია სხვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, კანონიერ მონეტებთან ერთად განძებში. ასე რომ, მინაბადების ეკონომიკური ბუნება დავას არ უნდა იწვევდეს.
ზარაფხანა	უცნობია.

ნომინალი	ოქრო. 1,6 გრ.-3,7 გრ.
თარიღი	ძვ. წ. I-ახ. წ. I სს.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 40-ზე მეტი ცალი. გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №2227, გვ. №4806, გვ. №4807, გვ. №4873, გვ. №4874, გვ. №5088, გვ. №5252, გვ. №5320, გვ. №5321, გვ. №5389, გვ. №№8688-8697, გვ. №№9208-9212, გვ. №№9272-9284, გვ. №12170, გვ. №14591, გვ. №16887; ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №47, ქვ. №48, ქვ. №1584, ქვ. №№1696-1698, ქვ. №3759.

ბიბლიოგრაფია	გ. დუნდუა. საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია. №1. თბ. 1973; ფული საქართველოში (თ. დუნდუასთან, ნ. ჯავახიშვილთან და ა. ერისთავთან თანაავტორობით). თბ. 2003 (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა); ქართული ნუმიზმატიკა. I. თბ. 2006 (თ. დუნდუასთან თანაავტორობით). დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969. Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Тб. 1987. А. Н. Зограф. Античные золотые монеты Кавказа. Известия Государственной Академии Истории Материальной Культуры (ИГАИМК). вып. 110. 1935; Распространение находок античных монет на Кавказе. Труды Отдела Нумизматики Государственного Эрмитажа (ТОНГЭ). т. I. Л. 1945. Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика. М. 1955. Е. А. Пахомов. Монеты Грузии. ч. I. СПб. 1910; Монеты Грузии. ч. I-II. Тб. 1970.
----------------------------	---

უცხოური ფული ქართულ სამონეტო ბაზარზე	ძვ. წ. IV-III საუკუნეების უცხოური ოქროს ფული ქართულ სამონეტო ბაზარზე ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი მონეტები ა) ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი სტატერები: 1. ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი ოქროს მონეტები აღმოჩენილია სვანეთში (სხვადასხვა ადგილას) – 367 ცალი (მათი უმრავლესობა განძებში იყო თავმოყრილი), რეყეში (ზუგდიდის რაიონი) – 2, ვანში – 2, თითო-თითო ცალი – ფიჭვნარში, ლენტეხში, ფარცხანაყანევში (წყალტუბოს რაიონი), გულრიფშის რაიონში, ქიორასა (ონის რაიონი) და მცხეთაში. შუბლი – გრძელთმიანი ათენას თავის გამოსახულება კორინთულ მუზარადში მარჯვნივ. მუზარადზე ზოგჯერ დაკლაკნილი გველია გამოსახული. ასევე ზოგჯერ, ქალღმერთს ყელზე მძივები უკეთია და ყურებზე საყურე ჰკიდია. ზურგი – გრძელ ქიტონში ჩაცმული ფრთოსანი ნიკეს გამოსახულება მთელი ტანით მარცხნივ. მარჯვენა ხელში მას გვირგვინი უჭირავს, მარცხენაში – სტილიდა. ადრეულ ცალებზე მის უკან მოთავსებულია ბერძნული ზედწერილი: ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ. მოგვიანო ცალებზე გამოსახულების წინ – ΒΑΣΙΛΕΩΣ, უკან – ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ. გარდა ამისა, მონეტის არეზე ამოკვეთილია სხვადასხვა მონოგრამები და სიმბოლოები, რომელთა მეშვეობით ხერხდება ზარაფხანების დადგენა (საშუალო წონა – 8,50 გრ. ბაჯადლო ოქრო). ბ) ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტები (სხვადასხვა ნომინალები): 2. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელის ვერცხლის მონეტებიდან ორი დრაქმაა და ერთი ტეტრადრაქმა. გავრცელების ტოპოგრაფია ასეთია: ქუთაისი, ყვირილას მიდამოები და კაჭრეთი (გურჯაანის რაიონი). შუბლი – ახალგაზრდა ჰერაკლეს თავის გამოსახულება ლომის ტყავში მარჯვნივ. მას ალექსანდრე მაკედონელის სახის ნაკვეთები აქვს. ზურგი – ტახტზე მჯდომი ზევსის გამოსახულება მარცხნივ. მას მარჯვენა ხელზე არწივი უზის. გამოსახულების უკან მოთავსებულია ბერძნული ზედწერილი: ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ. მონეტის არეზე სხვადასხვა მონოგრამები და სიმბოლოები.
---	--

მაკედონიის მეფის ფილიპე III-ის (ძვ. წ. 323-316 წწ.) ოქროს სტატერები:

3. საქართველოს ტერიტორიაზე ფილიპე III-ის ორი მონეტაა ნაპოვნი, ერთი შემთხვევით, აგუძერაში (აფხაზეთი) ზღვის ნაპირას, და მეორე – ვანში, არქეოლოგიური გათხრების დროს. მაკედონიის მეფე ფილიპე III-ის ოქროს მონეტა უცვლელად იმეორებს ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ტიპს, განსხვავებაა მხოლოდ ლეგენდაში: ΦΙΛΙΠΠΟΥ.

ლისიმაქეს (თრაკია-მაკედონიის მეფე – ძვ. წ. 306-282 წწ.) სახელით მოჭრილი სტატერები და ვერცხლის მონეტები (ისინი ერთტიპიურია):

4. საქართველოს ტერიტორიაზე ლისიმაქეს სახელით მოჭრილი ექვსი სტატერია ნაპოვნი. აქედან ორი მონეტა მიკვლეულია სვანეთში, ორი – ვანში, თითო-თითო – ეკსა (სენაკის რაიონი) და გულრიფშში. ვერცხლის ორი მონეტიდან ერთი აღმოჩენილია ვანში და ერთიც მაკრიალასთან (ადრე შედიოდა ბათუმის ოლქში, ამჟამად თურქეთის ფარგლებშია). შუბლი – მარჯვნივ მიმართული ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება დიადემაში. ზურგი – მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც მარჯვენა გაშლილ ხელში ქალღმერთი ნიკე უჭირავს, ხოლო მარცხენათი შუბსა და ფარს ეყრდნობა. გამოსახულების უკან ბერძნული ზედწერილი – ΒΑΣΙΛΕΩΣ, წინ – ΛΙΣΙΜΑΧΟΥ. მონეტის ზურგზე დამატებითი სიმბოლოები და მონოგრამებია მოთავსებული იმის მიხედვით, თუ რომელ ზარაფხანაშია მოჭრილი ესა თუ ის ცალი.

პანტიკაპეიონის (თანამედროვე ქერჩი) სტატერები (ძვ. წ. IV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი):

5. პანტიკაპეიონის სტატერები, დაახლოებით 30-32 ცალი, აღმოჩნდა სვანეთში განძის სახით, ხოლო ერთი – სამეგრელოს რეგიონში. შუბლი – მარცხნივ მიმართული წვეროსანი სატირის თავის გამოსახულება სუროს გვირგვინში. ზურგი – მარცხნივ მიმართული ლომისთავიანი გრიფონის გამოსახულება, მის ქვემოთ პურის

	თავთავი. ბერძნული ზედწერილი: ΠΑΝ – გადმოცემს ქალაქის სახელს. სირაკუზი (სიცილია), ჰიერონ II-ის (ძვ. წ. 275/4-216 წწ.) ნახევარსტატერი: 6. ეს ოქროს მონეტა აღმოჩნდა ვანში არქეოლოგიური გათხრების დროს. ეს არის ერთადერთი შემთხვევა შორეული სიცილიის მონეტების აღმოჩენისა საქართველოში. შუბლი – მარცხნივ მიმართული პერსეფონეს თავის გამოსახულება. ზურგი – მარჯვნივ მიმართული გამარჯვების ქალღმერთი ნიკე ორცხენიან ეტლზე. ბერძნული ლეგენდა ჰიერონის სახელით
--	---

ჯგუფი	ბაგადატ ბიურატის ძის მონეტები
ტიპი	ბაგადატ ბიურატის ძის მონეტები. I ტიპი
აღწერა	ვერცხლი. წონა – 16,58 გრ. შუბლი: ბაგადატის თავის გამოსახულება მარჯვნივ, წვერულვაშით, საყურით, შუბლსაკრავით (taenia). ახურავს სატრაპის თავსაბურავი (kyrbasia) ორმაგი თასმით უკან და ზემოთ დამაგრებული ყურებით. გარშემო წერტილოვანი რკალი. ზურგი: ტახტზე მჯდომი ბაგადატი მარცხნივ. ატარებს სატრაპის თავსაბურავს და გრძელ მოსასხამს ცრუ-სახელოებით და სამკლავეებით. მარჯვენა ხელში გრძელი სკიპტრა უჭირავს, მარცხენაში – ყვავილი (?). მის წინ შტანდარტია დეკორით და ფოჩებით – dirēfš-i Kaviān. არამეული ლეგენდები – მარჯვნივ ზემოდან ქვემოთ, და მარცხნივ, ქვემოდან ზემოთ. წერტილოვანი რკალი.
სამეცნიერო კომენტარი	„...ჰაიკმა შვა ძე თჳსი ბაბილონს, სახელად არამანეაკ, არამანეაკმა შვა ძენი და ასულნი, მათ შორის უფროსი – არამაის. არამაისმა შვა ძენი და ასულნი, მათ შორის უფროსი – ამასია... ამ ხალხმა შექმნა მოდგმა ბაბილონს, მათვე განვლეს არარატის მიწის ჩრდილო მხარეები. ჰაიკმა ხომ დატოვა ბაბილონი ცოლ-შვილთან და მთელ სახლეულობასთან ერთად... და მბრძანებლობდა მათზე ზარეჰ, არამანეაკის შვილიშვილი, კაცი ძლიერი და კარგი მოისარი; შემდგომ – არმონგ; შემდგომ – სარჰანგ; შემდგომ – შავამ; შემდგომ – ფარნავაზ. ამ უკანასკნელმა შვა ბაგამ და ბაგარატ, ბაგარატმა – ბიურატ, ბიურატმა – ასპატ, ბაგარატის შვილებს მემკვიდრეობით ერგოთ დასავლეთის მიწები... ამავე დროს არშაკმა (პართიის მეფე – თ. დ.) ძე თჳსი, არშაკ



მცირედ წოდებული, გაამეფა ქალაქ მწურნსა და სომხეთს, დაუდგინა რა საზღვრად არუასტანი ტაჯიკთა მიწა-წყლის მახლობლად, სირია და კაზადოკია კილიკიასთან დასავლეთის დიდ ზღვამდე, კავკასიონის დიდი მთა ჩრდილოეთით...

მან (ე.ი. არშაკმა – თ. დ.) შვილი მწურნიდან დასავლეთისკენ გაგზავნა დიდი ლაშქრით... ასევე დიდი ლაშქრით მას (ე.ი. უფლისწულს – თ. დ.) შეეგება ბაგარატ ფარაზეანი, არამანეაკის ჩამომავალი და დიდი დიდებული. მან მიართვა მას (ე.ი. უფლისწულს – თ. დ.) ოქროსა და ვერცხლის საჩუქრები. მორთო კვართით და კაბით, თავს დაადგა საგვარეულო გვირგვინი. დასვა ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ოქროს ტახტზე, ცოლად შერთო ასული თქსი.

მეფე არშაკმა ბაგარატს ასპეტობა უბოძა სომხეთში, რაც ნიშნავს მთავრობას და ჯარის უმაღლეს სარდლობას; უწოდა მამა და ძმა და გადასცა აღნიშნული რწმუნებები“.

აქ წარმოდგენილია უჩვეულოდ აღრეული პასაჟი სომხური „აღრეული ისტორიიდან“. მაგრამ სხვა ისტორიული წყაროების შეჯერებით, ეს ამბები ასე დალაგდება: ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში მცხეთის მამასახლისის ძმისშვილმა ფარნავაზმა სამხრეთ-ქართული პოლიტიკური ერთეულის, არიან-ქართლის (იმავე ირანის ქართლის, ცენტრით კლარჯეთში), უფალი აზო დაამარცხა. ფარნავაზთან გამართულ ბრძოლაში აზო დაიღუპა. ამის შემდეგ ფარნავაზმა ქართლი გააერთიანა, აზოს ჩამომავლები იშვილა, და მათ კლარჯეთის ერისთავობა უბოძა. ბაგრატ (ბაგადატ) ფარნავაზიანი, ბივრატი (ბიურატ) და სუმბატი (სმბატ) ბაგრატიონთა სახლის პირველი მამასახლისები იყვნენ. მოგვიანებით, სუმბატი მცხეთის ტახტს აუჯანყდა, სუმბატს მხარი დიდი არმენიის მეფე არტაშეს I-მა (ძვ. წ. 189-160 წწ.) დაუჭირა, მისი დახმარებით შეიქმნა გუგარქის საპიტიახშო, რომელსაც სუმბატი ჩაუდგა სათავეში. ამის შემდეგ, სუმბატ ბივრიტიანის შთამომავლები მემკვიდრეობით ფლობდნენ გუგარქს. გუგარქის საპიტიახშო ქართულ მიწებს (კლარჯეთი, ჯავახეთის ნაწილი, ქვემო ქართლი) მოიცავდა, ხოლო გუგარქის პიტიახში დიდი არმენიის მეფის ვასალი იყო.

წარმოდგენილ გენეალოგიას ავსებს და მეტ დამაჯერებლობას სძენს ნუმისმატიკური მასალა, კერძოდ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღმოჩენილი ბაგადატის სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტები, რომელთაც შეცდომით ირანულ პროვინცია პერსიდას მიაწერდნენ.

პერსიდის სამონეტო პროდუქცია (ძვ. წ. 250 წლიდან სასანიდების

აღზევებამდე) ვერცხლის ტეტრადრაქმებს, დრაქმებს და მცირე ნომინალებს მოიცავს. მასზე მოთავსებული არამეული ლეგენდები თანდათან ფალაურით შეიცვალა. ჯერ კიდევ მაღალმხატვრული დონის მონეტებზე არსებული დამახინჯებული წარწერები კი იმის მაჩვენებელია, რომ ფული ბერძენ ხელოსნებს მოუჭრიათ, რომელთაც ენა არ სცოდნიათ.

ამ სამონეტო ჯგუფის პირველი ემისიები უნდა იყოს ვინმე ბაგადატის სახელით მოჭრილი ნუმიზმატიკური ძეგლები.

ერთი და იმავე თავის გამოსახულებიან მონეტებზე შემდეგი წარწერებია:

№1. BaGaDaT FRaTaRaKA ZI ALaHIA (ბაგადატ ბიურატის ძის მონეტების I ტიპი, ტეტრადრაქმა)

№2. BIURaT FRaTaRa ZI... (ბაგადატ ბიურატის ძის მონეტების II ტიპი, ტეტრადრაქმა)

შუბლი: ბაგადატის თავის გამოსახულება მარჯვნივ, წვერულვაშით, საყურით, შუბლსაკრავით (taenia). ახურავს სატრაპის თავსაბურავი (kyrbasia) ორმაგი თასმით უკან და ზემოთ დამაგრებული ყურებით. გარშემო წერტილოვანი რკალი.

ზურგი: ცეცხლის ტამარი პლატფორმაზე ორმაგი კარებით, პილასტრებით და არქიტრავით, ზემოთ სამი ქონგურია, თითოეული წყვილი რქით. მარცხნივ ბაგადატის გამოსახულება სატრაპის თავსაბურავში და გრძელ სამოსელში, მარჯვნივ. მარჯვენა ხელი ზემოთ აქვს აწეული თაყვანისცემის ნიშნად. შტანდარტი მარჯვნივ. არამეული ლეგენდები – მარჯვნივ, ზემოდან ქვემოთ, ქვემოთ, და მარცხნივ (თუკი, საერთოდ არსებობდა), სამონეტო არეს მიღმა. წერტილოვანი რკალი.

№3. BIURAT BaGaDaT... (ბაგადატ ბიურატის ძის მონეტების II ტიპი, ჰემიდრაქმა)

შუბლი: ბაგადატის თავის გამოსახულება მარჯვნივ, წვერულვაშით, საყურით, შუბლსაკრავით (taenia). ახურავს სატრაპის თავსაბურავი (kyrbasia) ორმაგი თასმით უკან და ზემოთ დამაგრებული ყურებით. გარშემო წერტილოვანი რკალი.

ზურგი: ცეცხლის ტამარი პლატფორმაზე ორმაგი კარებით, პილასტრებით და არქიტრავით, ზემოთ სამი ქონგურია, თითოეული წყვილი რქით. მარცხნივ ბაგადატის გამოსახულება სატრაპის თავსაბურავში და გრძელ სამოსელში, მარჯვნივ. მარჯვენა ხელი ზემოთ აქვს აწეული თაყვანისცემის ნიშნად. შტანდარტი მარჯვნივ. არამეული ლეგენდები – მარჯვნივ, შტანდარტსა და ტამარს შორის, გარეთ წაშლილია, ქვემოთ, და მარცხნივ, წერტილოვანი რკალი.

№4. BaGaDaT FRaTaRaKA BIURat ZI ALaHIA

(Fratakara – ცეცხლის დამნთები (?), Frataraka – მამასახლისი; Zi ALaHIA – ღვთაებრივი).

მიიჩნევენ, რომ ყველა ამ მონეტაზე ერთი და იგივე პიროვნებაა გამოსახული. წარწერებიდან ჩანს, რომ ეს ბაგადატია, ბიურატი კი მამამისია.

ჯ. ჰილის მიხედვით, ფაქტურის ანალიზით და სხვა სტილისტური მონაცემებით, ბაგადატის სახელით მოჭრილი ფულის ემისია სირიის სელევკიდის მეფის, ანტიოქე III-ის (ძვ. წ. 223-187 წწ.)

	ზეობაზე ცოტა ხნით ადრე უნდა განხორციელებულიყო. უნდა აღინიშნოს, რომ წერილობით წყაროებში პერსიდის სატრაპი ბაგადატი არსად იხსენიება, ამიტომ მისი ირანელობა უკვე ერთგვარ ეჭვს იწვევს. თუმცა II ტიპის ტეტრადრაქმაზე და ბაგადატის ჰემიდრაქმაზე გამოსახული ცეცხლის ტაძრის ტიპოლოგია წმინდა სპარსულია. ანტიკური პერიოდის ავტორი პოლიენი (II ს.) პერსიდის სატრაპ Ὀβόριζος ასახელებს, რომელიც ვაჰუბერძი უნდა იყოს, მის მონეტაზე კი სწორედ ცეცხლის ტაძარია გამოსახული. ეს გამოსახულება პერსიდის მომდევნო მმართველებმაც შეინარჩუნეს. ასეთ პირობებში ამ ემისიების განცალკევება ძალიან რთული იქნებოდა. თუმცა, მონეტებზე გამოსახული არც ერთი სპარსელი ტახტზე არ ზის, ეს იმას ნიშნავს, რომ ბაგადატის I ტიპის ტეტრადრაქმა კონკრეტულ სამონეტო ჯგუფში არ ჯდება, და ის უკვე მნიშვნელოვნად განსხვავებულია პერსიდის სხვა ფულისგან. წერილობითი წყაროებისა და ნუმისმატიკური მასალის ურთიერთშეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ძვ. წ. III საუკუნის II ნახევარში კლარჯეთის ერისთავმა ბაგრატ ფარნავაზიანმა მოჭრა მონეტები ამაყი ლეგენდით – ბაგადატი, ძე ბიურატისა, ღვთაებრივი მამასახლისი (BaGaDaT FRaTaRaKa BIURat ZI ALaHIA). ბაგადატის I ტიპის ტეტრადრაქმა ორიგინალურად არის გადაწყვეტილი, ხოლო ცეცხლის ტაძარი ნასესხებია სპარსელი ვაჰუბერძის ვერცხლის ფულებიდან. არც სატრაპის სამოსელი და არც ცეცხლის ტაძარი იბერებისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო, იბერები თაყვანს სცემდნენ არმაზ-აჰურა მაზდას, და სტრაბონის (დაახლ. ძვ. წ. 64-ახ. წ. 24 წწ.) მიხედვით, ირანულ ყაიდაზეც იცვამდნენ. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ პირველ ბაგრატიონთა გენეალოგია, ალბათ, ასე გამოიყურება – ბივრატი (ბიურატი), აზოს ძე → ბაგრატი (ბაგადატი), ბივრატის ძე → ბივრატი, ბაგრატის ძე → სუმბატ (სმბატ) ბივრიტიანი... „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლის მეორე მეფეს, საურმაგს, საკუთარი ერისთავები აუჯანყდნენ. ბაგრატიც მათ შორის ხომ არ იყო?! ხომ არ აქცია მან საერისთავო „სამთავროდ“, ხომ არ არის მამასახლისი გვიანდელი მთავრის შესატყვისი?! ზუსტი სურათის რეკონსტრუქციისათვის, ალბათ, დამატებითი მასალაა საჭირო. ერთი რამ ცხადია: თვით ბაგრატის მონეტები, ამ ფულების ტიპოლოგიური ნატურალიზმი უახლოეს ელინურ პოლისზე მიუთითებს, როგორც ზარაფხანაზე. ემისიები სავარაუდოდ ან ფაზისს, ან ტრაპეზუნტს შეუკვეთეს.
ზარაფხანა	უცნობია (ფაზისი (?), ტრაპეზუნტი (?)).

ნომინალი	ტეტრადრაქმა.
თარიღი	ძვ. წ. III ს-ის II ნახევარი.
კოლექცია	კონკრეტული ეგზემპლარი დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში (№1854,0405.19).

ჯგუფი	ბაგადატ ბიურატის ძის მონეტები
ტიპი	ბაგადატ ბიურატის ძის მონეტები. II ტიპი
აღწერა	ტეტრადრაქმა. ვერცხლი. წონა – 16, 89 გრ. შუბლი: ბაგადატის თავის გამოსახულება მარჯვნივ, წვერულვაშით, საყურით, შუბლსაკრავით (taenia). ახურავს სატრაპის თავსაბურავი (kyrbasia) ორმაგი თასმით უკან და ზემოთ დამაგრებული ყურებით. გარშემო წერტილოვანი რკალი. ზურგი: ცეცხლის ტაძარი პლატფორმაზე ორმაგი კარებით, პილასტრებით და არქიტრავით, ზემოთ სამი ქონგურია, თითოეული წყვილი რქით. მარცხნივ ბაგადატის გამოსახულება სატრაპის თავსაბურავში და გრძელ სამოსელში, მარჯვნივ. მარჯვენა ხელი ზემოთ აქვს აწეული თაყვანისცემის ნიშნად. შტანდარტი მარჯვნივ. არამეული ლეგენდები – მარჯვნივ, ზემოდან ქვემოთ, ქვემოთ, და მარცხნივ (თუკი, საერთოდ არსებობდა), სამონეტო არეს მიღმა. წერტილოვანი რკალი. ჰემიდრაქმა. ვერცხლი. წონა – 1,68 გრ. შუბლი: ბაგადატის თავის გამოსახულება მარჯვნივ, წვერულვაშით, საყურით, შუბლსაკრავით (taenia). ახურავს სატრაპის თავსაბურავი (kyrbasia) ორმაგი თასმით უკან და ზემოთ დამაგრებული ყურებით. გარშემო წერტილოვანი რკალი. ზურგი: ცეცხლის ტაძარი პლატფორმაზე ორმაგი კარებით, პილასტრებით და არქიტრავით, ზემოთ სამი ქონგურია, თითოეული წყვილი რქით. მარცხნივ ბაგადატის გამოსახულება სატრაპის თავსაბურავში და გრძელ სამოსელში, მარჯვნივ. მარჯვენა ხელი

	ზემოთ აქვს აწეული თაყვანისცემის ნიშნად. შტანდარტი მარჯვნივ. არამეული ლეგენდები – მარჯვნივ, შტანდარტსა და ტაძარს შორის, გარეთ წაშლილია, ქვემოთ, და მარცხნივ, წერტილოვანი რკალი.
სამეცნიერო კომენტარი	„...ჰაიკმა შვა ძე თჳსი ბაბილონს, სახელად არამანეაკ, არამანეაკმა შვა ძენი და ასულნი, მათ შორის უფროსი – არამაის. არამაისმა შვა ძენი და ასულნი, მათ შორის უფროსი – ამასია... ამ ხალხმა შექმნა მოდგმა ბაბილონს, მათვე განვლეს არარატის მიწის ჩრდილო მხარეები. ჰაიკმა ხომ დატოვა ბაბილონი ცოლ-შვილთან და მთელ სახლეულობასთან ერთად... და მზრძანებლობდა მათზე ზარეკ, არამანეაკის შვილიშვილი, კაცი ძლიერი და კარგი მოისარი; შემდგომ – არმონგ; შემდგომ – სარჰანგ; შემდგომ – შავაშ; შემდგომ – ფარნავაზ. ამ უკანასკნელმა შვა ბაგამ და ბაგარატ, ბაგარატმა – ბიურატ, ბიურატმა – ასპატ, ბაგარატის შვილებს მემკვიდრეობით ერგოთ დასავლეთის მიწები... ამავე დროს არშაკმა (პართიის მეფე – თ. დ.) ძე თჳსი, არშაკ მცირედ წოდებული, გაამეფა ქალაქ მწურნსა და სომხეთს, დაუდგინა რა საზღვრად არუასტანი ტაჯიკთა მიწა-წყლის მახლობლად, სირია და კაბადოკია კილიკიასთან დასავლეთის დიდ ზღვამდე, კავკასიონის დიდი მთა ჩრდილოეთით... მან (ე.ი. არშაკმა – თ. დ.) შვილი მწურნიდან დასავლეთისკენ გაგზავნა დიდი ლაშქრით... ასევე დიდი ლაშქრით მას (ე.ი. უფლისწულს – თ. დ.) შეეგება ბაგარატ ფარაზეანი, არამანეაკის ჩამომავალი და დიდი დიდებული. მან მიართვა მას (ე.ი. უფლისწულს – თ. დ.) ოქროსა და ვერცხლის საჩუქრები. მორთო კვართით და კაბით, თავს დაადგა საგვარეულო გვირგვინი. დასვა ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ოქროს ტახტზე, ცოლად შერთო ასული თჳსი. მეფე არშაკმა ბაგარატს ასპეტობა უბოძა სომხეთში, რაც ნიშნავს მთავრობას და ჯარის უმაღლეს სარდლობას; უწოდა მამა და ძმა და გადასცა აღნიშნული რწმუნებები“. აქ წარმოდგენილია უჩვეულოდ აღრეული პასაჟი სომხური „აღრეული ისტორიიდან“. მაგრამ სხვა ისტორიული წყაროების შეჯერებით, ეს ამბები ასე დალაგდება: ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში მცხეთის მამასახლისის ძმისშვილმა ფარნავაზმა სამხრეთ-ქართული

პოლიტიკური ერთეულის, არიან-ქართლის (იმავე ირანის ქართლის, ცენტრით კლარჯეთში), უფალი აზო დაამარცხა. ფარნავაზთან გამართულ ბრძოლაში აზო დაიღუპა. ამის შემდეგ ფარნავაზმა ქართლი გააერთიანა, აზოს ჩამომავლები იშვილა, და მათ კლარჯეთის ერისთავობა უბოძა. ბაგრატ (ბაგადატ) ფარნავაზიანი, ბივრატი (ბიურატ) და სუმბატი (სმბატ) ბაგრაციონთა სახლის პირველი მამასახლისები იყვნენ. მოგვიანებით, სუმბატი მცხეთის ტახტს აუჯანყდა, სუმბატს მხარი დიდი არმენიის მეფე არტაშეს I-მა (ძვ. წ. 189-160 წწ.) დაუჭირა, მისი დახმარებით შეიქმნა გუგარქის საპიტიახშო, რომელსაც სუმბატი ჩაუდგა სათავეში. ამის შემდეგ, სუმბატ ბივრიტიანის შთამომავლები მემკვიდრეობით ფლობდნენ გუგარქს. გუგარქის საპიტიახშო ქართულ მიწებს (კლარჯეთი, ჯავახეთის ნაწილი, ქვემო ქართლი) მოიცავდა, ხოლო გუგარქის პიტიახში დიდი არმენიის მეფის ვასალი იყო.

წარმოდგენილ გენეალოგიას ავსებს და მეტ დამაჯერებლობას სძენს ნუმიზმატიკური მასალა, კერძოდ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღმოჩენილი ბაგადატის სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტები, რომელთაც შეცდომით ირანულ პროვინცია პერსიდას მიაწერდნენ.

პერსიდის სამონეტო პროდუქცია (ძვ. წ. 250 წლიდან სასანიდების აღზევებამდე) ვერცხლის ტეტრადრაქმებს, დრაქმებს და მცირე ნომინალებს მოიცავს. მასზე მოთავსებული არამეული ლეგენდები თანდათან ფალაურით შეიცვალა. ჯერ კიდევ მაღალმხატვრული დონის მონეტებზე არსებული დამახინჯებული წარწერები კი იმის მაჩვენებელია, რომ ფული ბერძენ ხელოსნებს მოუჭრიათ, რომელთაც ენა არ სცოდნიათ.

ამ სამონეტო ჯგუფის პირველი ემისიები უნდა იყოს ვინმე ბაგადატის სახელით მოჭრილი ნუმიზმატიკური ძეგლები.

ერთი და იმავე თავის გამოსახულებიან მონეტებზე შემდეგი წარწერებია:

№1. BaGaDat FRaTaRaKA ZI ALaHIA (ბაგადატ ბიურატის ძის მონეტების I ტიპი, ტეტრადრაქმა)

შუბლი: ბაგადატის თავის გამოსახულება მარჯვნივ, წვერულვაშით, საყურით, შუბლსაკრავით (taenia). ახურავს სატრაპის თავსაბურავი (kyrbasia) ორმაგი თასმით უკან და ზემოთ დამაგრებული ყურებით. გარშემო წერტილოვანი რკალი.

ზურგი: ტახტზე მჯდომი ბაგადატი მარცხნივ. ატარებს სატრაპის თავსაბურავს და გრძელ მოსასხამს ცრუ-სახელოებით და სამკლავებით. მარჯვენა ხელში გრძელი სკიპტრა უჭირავს, მარცხენაში – ყვავილი (?). მის წინ შტანდარტია დეკორით * და ფოჩებით – direfš-i Kaviān. არამეული ლეგენდები – მარჯვნივ ზემოდან ქვემოთ, და მარცხნივ, ქვემოდან ზემოთ. წერტილოვანი რკალი.

	№2. BIURaT FRaTaRa ZI... (ბაგადატ ბიურატის ძის მონეტების II ტიპი, ტეტრადრაქმა) №3. BIURAT BaGaDaT... (ბაგადატ ბიურატის ძის მონეტების II ტიპი, ჰემიდრაქმა) №4. BaGaDaT FRaTaRaKA BIURat ZI ALaHIA (Fratakara – ცეცხლის დამნთები (?), Frataraka – მამასახლისი; Zi ALaHIA – ღვთაებრივი). მიიჩნევენ, რომ ყველა ამ მონეტაზე ერთი და იგივე პიროვნებაა გამოსახული. წარწერებიდან ჩანს, რომ ეს ბაგადატია, ბიურატი კი მამამისია. ჯ. ჰილის მიხედვით, ფაქტურის ანალიზით და სხვა სტილისტური მონაცემებით, ბაგადატის სახელით მოჭრილი ფულის ემისია სირიის სელევკიდი მეფის, ანტიოქე III-ის (ძვ. წ. 223-187 წწ.) ზეობაზე ცოტა ხნით ადრე უნდა განხორციელებულიყო. უნდა აღინიშნოს, რომ წერილობით წყაროებში პერსიდის სატრაპი ბაგადატი არსად იხსენიება, ამიტომ მისი ირანელობა უკვე ერთგვარ ეჭვს იწვევს. თუმცა II ტიპის ტეტრადრაქმაზე და ბაგადატის ჰემიდრაქმაზე გამოსახული ცეცხლის ტაძრის ტიპოლოგია წმინდა სპარსულია. ანტიკური პერიოდის ავტორი პოლიენი (II ს.) პერსიდის სატრაპ "Οβροζος" ასახელებს, რომელიც ვაჰუბერძი უნდა იყოს, მის მონეტაზე კი სწორედ ცეცხლის ტაძარია გამოსახული. ეს გამოსახულება პერსიდის მომდევნო მმართველებმაც შეინარჩუნეს. ასეთ პირობებში ამ ემისიების განცალკევება ძალიან რთული იქნებოდა. თუმცა, მონეტებზე გამოსახული არც ერთი სპარსელი ტახტზე არ ზის, ეს იმას ნიშნავს, რომ ბაგადატის I ტიპის ტეტრადრაქმა კონკრეტულ სამონეტო ჯგუფში არ ჯდება, და ის უკვე მნიშვნელოვნად განსხვავებულია პერსიდის სხვა ფულისგან. წერილობითი წყაროებისა და ნუმისმატიკური მასალის ურთიერთშეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ძვ. წ. III საუკუნის II ნახევარში კლარჯეთის ერისთავმა ბაგრატ ფარნავაზიანმა მოჭრა მონეტები ამაყი ლეგენდით – ბაგადატი, ძე ბიურატისა, ღვთაებრივი მამასახლისი (BaGaDaT FRaTaRaKa BIURat ZI ALaHIA). ბაგადატის I ტიპის ტეტრადრაქმა ორიგინალურად არის გადაწყვეტილი, ხოლო ცეცხლის ტაძარი ნასესხებია სპარსელი ვაჰუბერძის ვერცხლის ფულებიდან. არც სატრაპის სამოსელი და არც ცეცხლის ტაძარი იბერებისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო, იბერები თაყვანს სცემდნენ არმაზ-აჰურა მაზდას, და სტრაბონის (დაახლ. ძვ. წ. 64-ახ. წ. 24 წწ.) მიხედვით, ირანულ ყაიდაზეც იცვამდნენ. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ პირველ ბაგრატიონთა
--	--

	გენეალოგია, ალბათ, ასე გამოიყურება – ბივრატი (ბიურატი), აზოს ძე → ბაგრატი (ბაგადატი), ბივრატის ძე → ბივრატი, ბაგრატის ძე → სუმბატ (სმბატ) ბივრიტიანი... „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლის მეორე მეფეს, საურმაგს, საკუთარი ერისთავები აუჯანყდნენ. ბაგრატიც მათ შორის ხომ არ იყო?! ხომ არ აქცია მან საერისთავო „სამთავროდ“, ხომ არ არის მამასახლისი გვიანდელი მთავრის შესატყვისი?! ზუსტი სურათის რეკონსტრუქციისათვის, ალბათ, დამატებითი მასალაა საჭირო. ერთი რამ ცხადია: თვით ბაგრატის მონეტები, ამ ფულების ტიპოლოგიური ნატურალიზმი უახლოეს ელინურ პოლისზე მიუთითებს, როგორც ზარაფხანაზე. ემისიები სავარაუდოდ ან ფაზისს, ან ტრაპეზუნტს შეუკვეთეს.
ზარაფხანა	უცნობია (ფაზისი (?), ტრაპეზუნტი (?)).
ნომინალი	ტეტრადრაქმა, ჰემიდრაქმა.
თარიღი	ძვ. წ. III ს-ის II ნახევარი.
კოლექცია	კონკრეტული ეგზემპლარები დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია	თ. დუნდუა. ბაგრატი, ძე ბივრატისა. ბაგრაციონები. თბ. 2003; ბაგრატი, ძე ბივრატისა – ბაგრაციონთა წარმომავლობა. „ისტორიანი“. №8(32). აგვისტო 2013. Catalogue of the Greek Coins of Arabia, Mesopotamia and Persia (Nabataea, Arabia Provincia, S. Arabia, Mesopotamia, Babylonia, Assyria, Persia, Alexandrine Empire of the East, Persis, Elymais, Characene) by G. F. Hill. London. 1922. T. Dundua. Bagrat, Son of Bivrat (Towards a Genesis of the Georgian Royal Family – the Bagratids). Tb. 2001; Georgia within the European Integration. Graeco-Roman World, Byzantine Commonwealth, Orthodox Alliance and the Georgians. Tb. 2013. R. Göbl. Antike Numismatik. Band 2. München. 1978. D. R. Sear. Greek Imperial Coins and Their Values. The Local Coinages of the Roman Empire. Printed and Bound by Bookcraft (Bath) LTD. 1997; Greek Coins and Their Values. Volume II. Asia and North Africa. Printed in England by the Bath Press, Bath.1998.
----------------------------	--

უცხოური ფული ქართულ სამონეტო ბაზარზე	სამონეტო მიმოქცევა ელინისტური ხანის იბერიაში (ძვ. წ. III-I სს.) იბერიის ტერიტორიაზე ძვ. წ. III-II საუკუნეების მონეტების აღმოჩენის შემთხვევები არცთუ ისე ხშირია. 1. 1940 წელს ზემო ავჭალის რკინიგზის სადგურის მახლობლად, ხიდის მშენებლობის დროს, აღმოჩნდა ცუდად დაცული ეგვიპტური სპილენძის მონეტა პტოლემეაოს III (?) (ძვ. წ. 247-222 წწ.). შუბლი – ზევის თავი. ზურგი – ელვაზე მჯდომი არწივი. 2. 1950 წელს ცნობილმა არქეოლოგმა პროფესორმა ბ. კუფტინმა ცხინვალთან ახლოს სამარხში მიაკვლია სპილენძის მცირე ზომის მონეტას შუბლზე დაფნისგვირგვინიანი პროფილის გამოსახულებით, ხოლო ზურგზე – ხარის თავისა, რომლის რქებს შორის მოთავსებულია ასოები. თავის საველე დღიურში ბ. კუფტინი წერდა, რომ ასოები არამეულია. მონეტის შესწავლამ თითქოს დაადასტურა, რომ წარწერა ბერძნულია, თუმცა მისი ზუსტი წაკითხვა არ ხერხდება. მონეტა უდიდეს ინტერესს იწვევს. ბ. კუფტინი და დ. კაპანაძე ფიქრობდნენ, რომ ეს უნიკალური ცალი, რომლის მსგავსი არც ერთ სპეციალურ გამოკვლევაში გამოქვეყნებული არ არის, შესაძლებელია იბერიაში იყოს მოჭრილი. 3. XIX საუკუნეში გორის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. III-II საუკუნეების პართული დრაქმების განძი. მისი ზუსტი შემადგენლობა და რაოდენობა ცნობილი არ არის. მაგრამ ვიცით, რომ ი. ბართოლომეიმ ამ განძიდან შეიძინა 30 ეგზემპლარი. 4. კაპადოკიის მეფის არიარათ IV-ის (ძვ. წ. 220-163 წწ.) დრაქმა აღმოჩნდა ალაიანის (კასპის რაიონი) არქეოლოგიური გათხრების დროს. კაპადოკიური მონეტების ტიპი სტანდარტულია, იცვლება მხოლოდ სათანადო ზედწერილი და მეფის პორტრეტი. სანიმუშო ცალის აღწერილობა: შუბლი – არიარათ IV-ის თავის გამოსახულება დაფნის გვირგვინში მარჯვნივ. ზურგი – მარცხნივ მიმართული ათენა მთელი ტანით, მარცხენა ხელში შუბი და გორგონას გამოსახულებიანი ფარი უჭირავს, ხოლო მარჯვენაში – ნიკე. 5. გორის მიდამოებში (როდის და რა ვითარებაში, ცნობილი არ არის) შემთხვევით იპოვეს პართიის მეფის მითრიდატე I-ის (ძვ. წ. 171-138 წწ.) დრაქმა. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა ნასტაკისის (კასპის რაიონი) არქეოლოგიური გათხრების დროს 1979 წელს.
---	--

6. 1939 წელს სოფ. დილომში შემთხვევით იპოვეს სირიის მეფე დემეტრე I სოტერის (ძვ. წ. 150-145 წწ.) სპილენძის მონეტა. შუბლი – მარჯვნივ მიმართული დემეტრეს თავის გამოსახულება. ზურგი – ომფალოსზე მჯდომი აპოლონი ხელში მშვილდისრით.

7. 1943 წელს ქალაქ ცხინვალში საკარმიდამო მიწის დამუშავების დროს აღმოჩნდა სელევკიდური ვერცხლის მონეტა ანტიოქე ევერგეტისა (ძვ. წ. 138-129 წწ.).

8. პართიის მეფის მითრიდატე II-ის (ძვ. წ. 123-88 წწ.) ექვსი დრაქმა აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ პუნქტებში: გორში, ყორნისის რაიონში, მცხეთასა და ალაიანში. პართული მონეტებიც სტანდარტული ტიპისაა: შუბლი – მარცხნივ მიმართული პართიის მეფის ბიუსტი ან თავის გამოსახულება. ზურგი – ტახტზე მჯდომი არშაკი (პართიის სამეფო დინასტიის ფუძემდებელი) ხელში მშვილდისრით მარჯვნივ. გამოსახულების გარშემო სათანადო ბერძნული ზედწერილი.

9. 1979 წელს ნასტაკისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ერთ-ერთ სამარხში მიაკვლია ძვ. წ. 118 წელს მოჭრილ რომის რესპუბლიკის დენარს. შუბლი – რომას გამოსახულება მარჯვნივ. ეს ღვთაება ასახიერებდა რომის სახელმწიფოს. ზურგი – კვადრიგაზე (ოთხცხენიანი ეტლი) მდგომი ფრონოსან ვიქტორიას გამოსახულება, რომელსაც მარჯვენა ხელში გვირგვინი უჭირავს. ქვემოთ ლათინური წარწერა.

10. XIX საუკუნის 70-იან წლებში თბილისში ქალთა გიმნაზიის მშენებლობის დროს აღმოჩნდა ძვ. წ. II საუკუნის (?) ვერცხლის ექვსი ბაქტრიული (ბაქტრია მოიცავდა ახლანდელი უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და ავღანეთის ტერიტორიის ნაწილს) მონეტა. მათი ადგილსამყოფელი დღეისათვის უცნობია.

11. იმავე საუკუნის 90-იან წლებში თბილისში შემთხვევით იპოვეს ძვ. წ. II-I საუკუნეების ქალაქ სოლის (კილიკია, მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი) მონეტა.

ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისიდან იბერიაში უაღრესად ჭრელი სამონეტო ბაზარი ჩამოყალიბდა. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. I საუკუნის I ნახევრის 65 მონეტაა მოძიებული. მათი დიფერენცირება სადაურობის მიხედვით უაღრესად საინტერესო სურათს გვაძლევს.

65 მონეტიდან 39 პართული დრაქმაა. 11 ეკუთვნის არტაბან II-ს (ძვ. წ. 88-77 წწ.), პოვნის ადგილი: მცხეთა, ხაშურის რაიონი, გურჯაანის რაიონი, ალაიანი; 9 – სინათრუქს (ძვ. წ. 77-70 წწ.) – მცხეთა,

დიდომი, ყორნისი, ალაიანი; 13 – ფრაატ III-ს (ძვ. წ. 70-57 წწ.) – მცხეთა, ქარელის რაიონი, ყორნისი; 6 – მითრიდატე III-ს (ძვ. წ. 57-54 წწ.) – მცხეთა, ჯავის რაიონი. უნდა აღინიშნოს, რომ პართული დრაქმების დიდი ნაწილი აღმოჩენილია მცხეთაში და ალაიანში.

რაოდენობით მეორე ადგილზეა რესპუბლიკური ხანის რომაული დენარები – 12 ეგზემპლარი:

1. ალაიანში არქეოლოგიური გათხრების დროს ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა იტალიის რომელიღაც ზარაფხანაში ძვ. წ. 93-92 წლებში მოჭრილი რესპუბლიკური დენარი. შუბლი – ორსახოვანი იანუსის თავის გამოსახულება. ზურგი – რომას დრაპირებული გამოსახულება მთელი ტანით, რომელსაც თავზე მუზარადი ახურავს. მარცხენა ხელში მას სკიპტრა უჭირავს, მარჯვენათი ტროპეუმზე (ნადავლზე) გვირგვინს ამაგრებს. ნადავლის საფუძველზე ორი მოგრძო ფორმის გალური ფარი და საყვირები. რომას თავს ზემოთ ვარსკვლავი.

2. რომის ზარაფხანაში ძვ. წ. 87 წელს მოჭრილი დენარი აღმოჩენილია ალაიანში. შუბლი – საბინების (იტალიკური ტომი) მეფის ტატიუსის წვეროსანი თავის გამოსახულება მარჯვნივ. ზურგი – თმაგაშლილი ტარპეას გამოსახულება, რომელიც ცდილობს თავი დაიცვას ორი ჯარისკაცისაგან. ისინი ფარებით ცდილობენ მის გასრესას (ტარპეა – რომაულ მითოლოგიაში მოღალატე ქალი, რომელმაც საბინების წინააღმდეგ ომის დროს რომის ერთ-ერთი ციტადელის კარი გაუღო მტერს. მაგრამ, მიუხედავად ამ „დამსახურებისა“, მოწინააღმდეგეთა მეფემ ბრძანა მოღალატე ფარებით ჩაექოლათ).

3. იმავე პუნქტში ნაპოვნია რომის ზარაფხანაში ძვ. წ. 87 წელს გამოშვებული დენარი. შუბლი – როგორც №2. ზურგი – ორი მეომრის გამოსახულება, რომლებიც საბინების ტომის ქალს იტაცებენ.

4. იმავე პუნქტში აღმოჩნდა რომში ძვ. წ. 87 წელს მოჭრილი დენარი. შუბლი – როგორც №2. ზურგი როგორც – №3.

5. იმავე პუნქტში ნაპოვნია რომის ზარაფხანაში ძვ. წ. 87 წელს მოჭრილი დენარი. შუბლი – წვეროსანი იუპიტერის თავის გამოსახულება დაფნის გვირგვინში მარჯვნივ. ზურგი – კვადრიგა, რომელზედაც ვიქტორია დგას გვირგვინით ხელში.

6. იქვე აღმოჩნდა იმავე ზარაფხანასა და იმავე წელს მოჭრილი დენარი. შუბლი – როგორც №2. ზურგი – როგორც №3.

7. ძვ. წ. 72 წელს დათარიღებული რომაული დენარი აღმოჩნდა ალაიანში. შუბლი – ვირტუტის (ვირტუსის) ბიუსტი მუზარადში მარჯვნივ (ლათინთა ღვთაება ვირტუსი, გამარჯვების მფარველი, ის მარსის თანამგზავრად ითვლებოდა). ზურგი – კონსულ მანიუსის

აკვილიუსის გამოსახულება მთელი ტანით, რომელსაც მარცხენა ხელით ფარი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი ფეხზე წამოდგომაში ეხმარება ნახევრადშიშველ ქალს, რომელიც სიცილიას ასახიერებს.

8. სოფელ არადეთში (ქარელის რაიონი) ადგილობრივმა მცხოვრებმა იპოვა ძვ. წ. 67 წელს რომის ზარაფხანაში მოჭრილი დენარი. შუბლი – ძველ საბინთა მოსავლიანობის ქალღმერთის, ვაკუნას ბიუსტი მუზარადში მარჯვნივ. ზურგი – ელვაზე მჯდომი არწივი.

9. 1965 წელს მარნეულის რაიონში სამარხში აღმოჩნდა ძვ. წ. 60 წელს რომში გამოშვებული დენარი. შუბლი – მოკლეწვერიანი მარსის დრაპირებული ბიუსტი მუზარადში მარჯვნივ. გამოსახულების უკან ნადავლი. ზურგი – მარჯვნივ მიმართული მხედარი, რომელიც გალ მეომარს კლავს. ამ უკანასკნელს ხელთ მახვილი და ოვალური ფარი უჭირავს. იქვეა უკვე განგმირული მოწინააღმდეგის გვამი. მხედრის წინ – წვეტიანი მუზარადი და ოვალური ფარი.

10. ალაიანში არქეოლოგიური გათხრების დროს მიაკვლიეს ძვ. წ. 60 წელს რომის ზარაფხანაში მოჭრილ დენარს. შუბლი – კონკორდია – მოქალაქეთა, ქალაქთა, სახელმწიფოთა და სხვათა თანხმობის რომაული ქალღმერთი. ზურგი – ორსართულიანი სვეტებიანი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა.

11. 1948 წელს ქალაქ თბილისში, ნიკოლაძის ჩიხის №5 ეზოში, იპოვეს რომში ძვ. წ. 59 წელს გამოშვებული დენარი. შუბლი – მარჯვნივ მიმართული წვეროსანი პატრიციუსის – ლუციუს იუნიუს ბრუტუსის თავის გამოსახულება, ბრუტუსის, რომელმაც რომში მეფეთა ხელისუფლება დაამხო და რესპუბლიკა დააარსა. ზურგი – კონსულ გაიუს სერვილიუს აპალას წვეროსანი თავის გამოსახულება მარჯვნივ.

12. გალიის (ისტორიული მხარე ევროპაში, მოიცავდა ახლანდელ ჩრდილოეთ იტალიას, საფრანგეთს, ლუქსემბურგსა და ბელგიას, აგრეთვე ნიდერლანდებისა და შვეიცარიის ნაწილს) ზარაფხანაში ძვ. წ. 54-51 წლებში გაიუს იულიუს კეისრის სახელით მოჭრილი დენარი აღმოჩნდა ალაიანში. შუბლი – მარჯვნივ მიმართული ხორთუმაწეული სპილოს გამოსახულება. ზურგი – ქურუმის ემბლემა, რომელიც სხვადასხვა სამსხვერპლო ინსტრუმენტისაგან შედგება.

რამდენადმე მოულოდნელია იბერიის ტერიტორიაზე მითრიდატე VI ეპატორის (ძვ. წ. 120-63 წწ.) ეპოქის პონტოს საქალაქო სპილენძის მონეტების აღმოჩენა.

1. 1951 წელს ახალციხე-ბოგდანოვკის (ნინოწმინდა) გზაზე შემთხვევით იპოვეს დასახელებული ეპოქის ამისოს მონეტა შუბლზე

პერსევისა და ზურგზე პეგასის გამოსახულებით.

2. 1939 წელს მცხეთის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ძალიან ცუდად დაცული პონტოს ერთ-ერთ ქალაქში ძვ. წ. 111-105 ან 105-90 წლებში მოჭრილი ტეტრახალკი არესისა და მახვილის გამოსახულებით.

3. 1939 წელს სამთავროს სამაროვანზე მიაკვლიეს სინოპურ ტეტრახალკს, რომელიც ძვ. წ. 111-105 ან 105-90 წლებით თარიღდება. შუბლი – როგორც წინა. ზურგი – ქარქაშში ჩაგებული მახვილი.

4. 1968 წელს მცხეთაშივე, ქალაქის ძველ კარიბჭესთან, აღმოჩნდა პონტოს ერთ-ერთ ქალაქში ძვ. წ. 111-105 ან 105-90 წლებში გამოშვებული სპილენძის მონეტა.

5. იმავე პერიოდის ირმის გამოსახულებიანი ამისოს მონეტა აღმოჩენილია 1945 წელს არმაზის გათხრების დროს.

6. 1961 წელს თბილისში, მტკვრის კალაპოტში, იპოვეს ქალაქ ამასტრიაში ძვ. წ. 105-90 წლებში მოჭრილი მონეტა. ტიპი: გორგონა-ნიკე.

7. 1945 წელს ბაგინეთის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილა ქალაქ ამისოში ძვ. წ. 80-70 წლებში გამოშვებული მონეტა ზევსისა და არწივის გამოსახულებით.

8. 1958 წელს ქალაქ მცხეთაში მოიძიეს პონტოს ერთ-ერთ ქალაქში ძვ. წ. 80-70 წლებში მოჭრილი დიხალკი ზევსისა და არწივის გამოსახულებით.

დიდ ინტერესს იწვევს ალაიანში არქეოლოგიური გათხრების დროს ძვ. წ. 72 წლით დათარიღებული თვით მითრიდატე VI ევპატორის ტეტრადრაქმის აღმოჩენის ფაქტი. ეს ერთადერთი შემთხვევაა ქართლის ტერიტორიაზე პონტოს მეფის მონეტის აღმოჩენისა. აღწერილობა:

შუბლი – მითრიდატე ევპატორის მარჯვენა პროფილი გაშლილი თმებით (მას ალექსანდრე მაკედონელის სახის ნაკვთები აქვს).

ზურგი – მარცხნივ მიმართული ირმის გამოსახულება, რომელიც ბალახს ძოვს, მის წინ ნახევარმთვარისა და ვარსკვლავის გამოსახულება (მითრიდატიდების დინასტიური ემბლემა). ლეგენდა: ზემოთ – ΒΑΣΙΛΕΩΣ, ქვემოთ – ΜΙΘΡΑΔΑΤΟΥ ΕΥΠΑΤΟΡΟΣ, და თარიღი.

აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში აღმოჩენილი პონტოს ნუმისმატიკური მასალის კონტექსტში უნდა განვიხილოთ აგრეთვე ალაიანში აღმოჩენილი მითრიდატე VI ევპატორის მოკავშირის, სომხეთის მეფის, ტიგრან II-ის სამი ტეტრადრაქმა. სამივე მათგანი მოჭრილია ორონტის ანტიოქიაში ძვ. წ. 83-69 წლებში. შუბლი –

ტიგრან II-ის ბიუსტი თავზე სომხური ტიარით. ტიარის ცენტრში ორი არწივი, რომელთა შორის რვაქიმიანი ვარსკვლავია გამოსახული. ზურგი – მარჯვნივ მიმართული ტიხე ხელში პალმის შტოთი, თავზე კოშკურა გვირგვინი ხურავს. მის ქვემოთ მოცურავე ადამიანი მდინარე ორონტს განასახიერებს. ბერძნული ზედწერილი: ΒΑΣΙΛΕΩΣ ΤΙΓΡΑΝΟΥ.

გარდა ამისა, იბერიის საზღვრებში, კერძოდ, ფასანაურთან ახლოს, შემთხვევით აღმოჩნდა ტეტრადრაქმის ძვ. წ. I საუკუნის სოგდური (სახელმწიფო ცენტრალურ აზიაში) მინაბაძი.

დაბოლოს, 1969 წელს მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების დროს იპოვეს კაპადოკიის მეფის არიობარძანე I-ის (ძვ. წ. 96-63 წწ.) დრაქმა.

ამრიგად, იბერიაში მიკვლეული ძვ. წ. I საუკუნის I ნახევრის 65 მონეტიდან უმრავლესობა კონცენტრირებულია მცხეთა-ალაიანის მიდამოებში.

იბერიის ეკონომიკის ძირითადი მიმართულება უცვლელია აგრეთვე ძვ. წ. I საუკუნის II ნახევარშიც. აქ აღმოჩენილი მონეტების სტატისტიკა და ტოპოგრაფია ასეთ სურათს იძლევა: პართული დრაქმები – 135 ეგზემპლარი, მათგან 119 ცალი მოჭრილია ოროდ II-ის (ძვ. წ. 57-38/37 წწ.) დროს; ფრაატ IV-ს (ძვ. წ. 38/37-3/2 წწ.) ეკუთვნის 16 ეგზემპლარი. 135 მონეტიდან 55 კონცენტრირებულია მცხეთაში, 44 – ალაიანში.

ამავე პერიოდის რომაული დენარები აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში აღმოჩენილია 12 ცალის რაოდენობით:

1. 1934 წელს ქარელის რაიონ სოფელ აბისში იპოვეს ძვ. წ. 47 წელს რომში მოჭრილი დენარი. შუბლი – გორგონას გამოსახულება პირდაპირ. ზურგი – კვადრიგაზე მდგომი ფრთოსანი ავრორას (განთიადის ქალღმერთი) გამოსახულება, რომელიც მზისკენ მიფრინავს. ხელში პალმის რტო უჭირავს.

2. კავთისხევში (კასპის რაიონი) აღმოჩნდა ძვ. წ. 46 წელს რომის ზარაფხანაში გამოშვებული მონეტა. შუბლი – ტყუპი ძმების დიოსკურების პროფილი. ზურგი – მარცხნივ მიმართული ვენერას გამოსახულება, რომელსაც მარჯვენა ხელში სასწორი უჭირავს, ხოლო მარცხენაში – სკიპტრა. მის უკან კუპიდონი.

3. 1967 წელს მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების დროს ქალაქის ძველ კარიბჭესთან აღმოჩნდა რომის ზარაფხანაში ძვ. წ. 36-24 წლებში მოჭრილი დენარი. შუბლი – დიადემით შემკული მარჯვნივ მიმართული პაქსის (მშვიდობის რომაული ღვთაება) თავის

	გამოსახულება. ზურგი – მარცხნივ მიმავალი ოქტავიანე მთელი ტანით, რომელსაც მარცხენა ხელში შუბი უჭირავს, ხოლო მარჯვენა წინ აქვს გაშვებული. 4. აღიანში არქეოლოგიური გათხრების დროს იპოვეს ძვ. წ. 39 წლით დათარიღებული რომაული მონეტა. შუბლი – პრეტორ (სახელმწიფო თანამდებობა რომში) ლუციუს რეგულუსის წვეროსანი თავის გამოსახულება მარჯვნივ. ზურგი – საკრალური სკამის გამოსახულება. 5.6.7. აღიანის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა აღმოსავლეთის ზარაფხანაში მარკუს ანტონიუსის სახელით ძვ. წ. 32-31 წლებში მოჭრილი სამი იდენტური დენარი. შუბლი – მარჯვნივ მიმართული სამხედრო ხომალდი მენიჩბეებით. ხომალდის ცხვირზე შტანდარტი. ზურგი – სამი შტანდარტისა და სალეგიონო არწივის გამოსახულება. 8. ამავე პუნქტში აღმოჩნდა ავგუსტეს (ძვ. წ. 27-ახ. წ. 14 წწ.) დენარი, მოჭრილი ძვ. წ. 14-12 წლებში გალიის ზარაფხანაში. შუბლი – მარჯვნივ მიმართული ავგუსტეს თავის გამოსახულება. ზურგი – მარქენალი ხარი მარჯვნივ. 9. ნასტაკისის არქეოლოგიური გათხრების დროს მოიძიეს ესპანეთის ერთ-ერთ ზარაფხანაში ავგუსტეს სახელით ძვ. წ. 19-16 წლებში მოჭრილი დენარი. შუბლი – ინსიგნიების (უმაღლესი ხელისუფლების ნიშნები) გამოსახულება. ზურგი – მარჯვნივ მიმართული კვადრიგა, რომელზედაც ვიქტორია დგას. 10. ნასტაკისშივე აღმოჩნდა ძვ. წ. 19-12 წლებით დათარიღებული რომაული დენარი. 11. 1900-იან წლებში გორში მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით იპოვეს რამდენიმე მონეტა, რომელთა შორისაც იყო ანტონიუსისა და ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას (ძვ. წ. 69-30 წწ.) სახელით ანტიოქიაში მოჭრილი ტეტრადრაქმა. 12. თბილისიდან 17 კმ-ის დაცილებით, ტყეში გზის გაყვანის დროს იპოვეს ძვ. წ. 28-27 წლებით დათარიღებული ოქტავიანეს დენარი.
--	--

ჯგუფი	ე.წ. სავლავის მონეტები
ტიპი	ე.წ. სავლავის მონეტები, I ტიპი
აღწერა, ფოტო	ბილონი, სპილენძი (ან ბილონი). წონა: ბერლინის მუზეუმის ცალი – 1,04 გრ., მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ცალები – 1,17 გრ., 1,56 გრ., 1,65 გრ. რემედიუმი: 1,04 გრ.-1,65 გრ. d≈11/12 მმ. შუბლი: მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილი სხივანა გვირგვინში. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ ბერძნული ზედწერილი – ΒΑΣΙΛ... ΣΑΥΛ ან ΣΑΥΜ... ე.ი. მეფე სავლავისა ან სავმაკისა. მეფის სახელი მონეტაზე ფრაგმენტულად არის ამოკვეთილი, ხოლო უკანასკნელი ასოს მიჩნევა შეიძლება როგორც “Λ”-დ, ასევე “Μ”-დ. 
სამეცნიერო კომენტარი	კოლხეთში ძვ. წ. II საუკუნეში სამეფოს არსებობის დადასტურების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე ზომის სპილენძის, ბილონის და ვერცხლის მონეტების სწორ ატრიბუციას. ჩვენამდე მათ მოაღწიეს რვა ცალის რაოდენობით და ყველა ეგზემპლარი, ერთის გარდა, საზღვარგარეთაა დაცული: მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში – 3, ბერლინის მუზეუმში – 3, ბრიტანეთის მუზეუმში – 1, ვანის მუზეუმში – 1. ეს მონეტები იყოფა სამ ტიპად. I ტიპის აღწერილობა მოცემულია ზემოთ. დანარჩენი ორი ტიპის აღწერილობა ასეთია: II ტიპი. შუბლი: მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილი სხივანა

გვირგვინში.

ზურგი: ვარდის გამოსახულება, რომლის ზემოთ და ქვემოთ ბერძნული ლეგენდაა – ΒΑΣΙΛΕ... ΣΑΥΛ ან ΣΑΥΜ... ე.ი. მეფე სავლაკისა ან სავმაკისა.

III ტიპი.

შუბლი: მამაკაცის თავის გამოსახულება სხივანა გვირგვინში პირდაპირ.

ზურგი: ფრთოსანი ელვა, რომლის ზემოთ და ქვემოთ წარწერაა – ΒΑΣΙ... ΣΑΥ...

როგორც ვხედავთ, არც ერთ მონეტაზე მეფის სახელი სრულად არაა დაწერილი, რამაც მათი გენეზისის საკითხი მწვავე დისკუსიის საგნად აქცია საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. საკამათოა მონეტის რევერსზე მოცემული მეფის სახელის მეოთხე ასოს მოხაზულობა. მეცნიერთა ერთი ნაწილი მას “Λ”-დ კითხულობს, აქედან გამომდინარე, წარწერა იშიფრება, როგორც ΒΑΣΙΛΕΩΣ ΣΑΥΛ(ΑΚΟΥ) – მეფე სავლაკის, ვინაიდან კოლხეთის მეფეთა რიგში ასეთი სახელი ფიგურირებს. თუმცა მკვლევართა მეორე ჯგუფის აზრით, მონეტის რევერსზე სადავო სიტყვის მეოთხე ასო წაკითხული უნდა იქნას, როგორც “M”. რ. ვაილის აზრით, “M”-ს მარჯვენა კიდურის ზემო ნაწილის დაბოლოება ბერლინის მუზეუმის ცალზე აშკარად ჩანს. ბოლო, ვანში აღმოჩენილი ეგზემპლარის მიხედვით, გ. დუნდუა ფიქრობს, რომ მონეტის ზურგზე ასო “M” იკითხება. აქედან გამომდინარე, მკვლევართა ამ ჯგუფის მიხედვით, მონეტაზე სახელი უნდა წაკითხულ იქნას, როგორც ΒΑΣΙΛΕΩΣ ΣΑΥΜ(ΑΚΟΥ) – მეფე სავმაკის, ვინაიდან ასეთი მეფე ცნობილია ბოსფორის სამეფოს ისტორიაში. ეს რაც შეეხება მონეტაზე დაფიქსირებული წარწერის ანალიზს. ამის გარდა, საკამათოა საკითხის ირგვლივ არსებული მთელი რიგი ისტორიული თუ ნუმისმატიკური ნიუანსები.

მეცნიერთა იმ ნაწილს, რომელიც ამ მონეტებს კოლხეთის სამეფოს უკავშირებს, ერთ-ერთ არგუმენტად მოჰყავს I საუკუნის რომაელი ისტორიკოსის პლინიუსის ცნობა, რომლის თანახმადაც კოლხეთში ოდესღაც მეფობდა სავლაკი. მაგრამ საქმე ისაა, რომ, როგორც დაანგარიშებულია, ეს ზღაპრული სავლაკი კოლხეთში მეფობდა 1200 წლით ადრე ვიდრე ჩვენთვის საინტერესო მონეტები მოიჭრებოდა. ამ მონეტების მეორე ტიპზე გამოსახულია ვარდი, რომელიც მიახლოებით ათარიღებს მთელ სამონეტო ჯგუფს. ეს ტიპი აღებულია როდოსის (კუნძული ეგეოსის ზღვაში) ნუმისმატიკიდან. კერძოდ, ვარდის გამოსახულებიანი მონეტა ზუსტი ასლია როდოსის იმ მონეტებისა, რომელთა მოჭრა წარმოებდა ძვ. წ. 166-88 წლებში. ეს

კი იძლევა სადისკუსიო ცალების ზუსტი დათარიღების საშუალებას ძვ. წ. II-I საუკუნეებით.

ასე რომ, ისტორიულად ამ პარალელის გავლებას საფუძველი არ გააჩნია. შემდეგი არგუმენტი, რომელიც მოჰყავთ ამ მონეტების კოლხური წარმოშობის სასარგებლოდ, გახლავთ ის, რომ პირველი ტიპის ცალების ზურგზე გამოსახულია ხარის თავი. აქედან – კავშირი კოლხურ თეთრთან. დაბოლოს, იმაზეც საუბრობენ, რომ ე.წ. სავლაკის და კოლხური მონეტები ერთად გაყიდულა სოხუმში, რაც თითქოს მათი ერთობლივი აღმოჩენის დამამტკიცებელი საბუთია. კონკრეტული მონეტების კოლხური გენეზისის სასარგებლოდ მოყვანილი არგუმენტები არ არის ძლიერი. პირველი არგუმენტის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ასევე ვერ უძლებს კრიტიკას მეორე საბუთიც. საქმე ისაა, რომ ხარის გამოსახულების გეოგრაფია ბერძნულ სამყაროში ძალიან ფართოა, ის მრავალი ქვეყნისა და ქალაქის მონეტებს ამშვენებს და მისი დაკავშირება მაინცდამაინც კოლხურ სამყაროსთან, რბილად რომ ვთქვათ, მართებული არაა. რაც შეეხება სავლაკისა და კოლხურის მონეტების ერთად გაყიდვის ფაქტს, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს მათ ერთ პუნქტში აღმოჩენას. ყველაზე ძლიერი არგუმენტი, რომლის მოყვანაც კი შეიძლება ამ მონეტების კოლხური წარმოშობის სასარგებლოდ, გახლავთ ის, რომ დღემდე ცნობილი 8 ეგზემპლარიდან, 5 დასავლეთ საქართველოს ფარგლებშია აღმოჩენილი (სოხუმის მიდამოებში და ვანში).

მეცნიერთა მეორე ნაწილი ზემოთ აღწერილ მონეტებს ბოსფორის სამეფოს უკავშირებს. მათი არგუმენტაცია ასეთია: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვარდის გამოსახულებიანი მონეტების ტიპოლოგია აღებულია როდოსის ნუმიზმატიკური ძეგლებიდან, რომელთა მოჭრა წარმოებდა ძვ. წ. 166-88 წლებში. ამგვარად, ეს მონეტები ძვ. წ. II-I საუკუნეებით თარიღდება. ერთადერთი ისტორიული პიროვნება ამ ხანაში, რომლის არსებობაც წყაროებით დასტურდება, არის სავმაკი. ეს ის სავმაკია, რომელიც იხსენიება მითრიდატე VI პონტოელის (ძვ. წ. 120-63 წწ.) მხედართმთავრის – დიოფანტეს საპატივცემულოდ ქერსონესში აღმართულ დეკრეტში. სავმაკმა ძვ. წ. II საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა ბოსფორის სამეფოში და მცირე ხნით დაიკავა ტახტი. სწორედ ამ დროს უნდა მოეჭრა მას ჩვენთვის საინტერესო მონეტები. ძვ. წ. 107 წელს კი ის დაამარცხა და ტყვედ იგდო უკვე მოხსენიებულმა დიოფანტემ. ყოველივე ზემოთ თქმულის გამო, სადავო მონეტები შესაძლებელია მივაკუთნოთ ბოსფორის სამეფოს ნუმიზმატიკას. ძალიან ძნელია კონტრარგუმენტის მოძებნა ამ დებულების

	წინააღმდეგ. თუმცა ერთი ცხადია: ვიდრე არ აღმოჩნდება ე.წ. სავლაკის (თუ სავმაკის) სრულწარწერიანი მონეტა, მანამ ეს საკითხი ყოველთვის პოლემიკის საგანი იქნება.
ზარაფხანა	უცნობია.
ნომინალი	ბილონი. 1,04 გრ.-1,17 გრ. სპილენძი ან ბილონი. 1,56 გრ.-1,65 გრ.
თარიღი	ძვ. წ. II საუკუნის მიწურული.
კოლექცია	მოსკოვის ისტორიულ მუზეუმი – 3 ცალი, ბერლინის მუზეუმი – 1 ცალი.

ჯგუფი	ე.წ. სავლავის მონეტები
ტიპი	ე.წ. სავლავის მონეტები, II ტიპი
აღწერა, ფოტო	ვერცხლი. წონა: ბერლინის მუზეუმის ცალი - 0,98 გრ., ვანის მუზეუმის ცალი - 1,7 გრ. რემედიუმი: 0,98 გრ.-1,7 გრ. d≈10/11 მმ. შუბლი: მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილი სხივანა გვირგვინში. ზურგი: ვარდის გამოსახულება, რომლის ზემოთ და ქვემოთ ბერძნული ლეგენდაა - ΒΑΣΙΛΕ... ΣΑΥΛ ან ΣΑΥΜ... ე.ი. მეფე სავლავისა ან სავმაკისა.
სამეცნიერო კომენტარი	კოლხეთში ძვ. წ. II საუკუნეში სამეფოს არსებობის დადასტურების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე ზომის სპილენძის, ბილონის და ვერცხლის მონეტების სწორ ატრიბუციას. ჩვენამდე მათ მოაღწიეს რვა ცალის რაოდენობით და ყველა ეგზემპლარი, ერთის გარდა, საზღვარგარეთაა დაცული: მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში - 3, ბერლინის მუზეუმში - 3, ბრიტანეთის მუზეუმში - 1, ვანის მუზეუმში - 1. ეს მონეტები იყოფა სამ ტიპად. II ტიპის აღწერილობა მოცემულია ზემოთ. დანარჩენი ორი ტიპის აღწერილობა ასეთია: I ტიპი.

შუბლი: მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილი სხივანა გვირგვინში.

ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ ბერძნული ზედწერილი – ΒΑΣΙ... ΣΑΥΛ ან ΣΑΥΜ... ე.ი. მეფე სავლაკისა ან სავმაკისა. მეფის სახელი მონეტაზე ფრაგმენტულად არის ამოკვეთილი, ხოლო უკანასკნელი ასოს მიჩნევა შეიძლება როგორც “Λ”-დ, ასევე “Μ”-დ.

III ტიპი.

შუბლი: მამაკაცის თავის გამოსახულება სხივანა გვირგვინში პირდაპირ.

ზურგი: ფრთოსანი ელვა, რომლის ზემოთ და ქვემოთ წარწერაა – ΒΑΣΙ... ΣΑΥ...

როგორც ვხედავთ, არც ერთ მონეტაზე მეფის სახელი სრულად არაა დაწერილი, რამაც მათი გენეზისის საკითხი მწვავე დისკუსიის საგნად აქცია საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. საკამათოა მონეტის რევერსზე მოცემული მეფის სახელის მეოთხე ასოს მოხაზულობა. მეცნიერთა ერთი ნაწილი მას “Λ”-დ კითხულობს, აქედან გამომდინარე, წარწერა იშიფრება, როგორც ΒΑΣΙΛΕΩΣ ΣΑΥΛ(ΑΚΟΥ) – მეფე სავლაკის, ვინაიდან კოლხეთის მეფეთა რიგში ასეთი სახელი ფიგურირებს. თუმცა მკვლევართა მეორე ჯგუფის აზრით, მონეტის რევერსზე სადავო სიტყვის მეოთხე ასო წაკითხული უნდა იქნას, როგორც “Μ”. რ. ვაილის აზრით, “Μ”-ს მარჯვენა კიდურის ზემო ნაწილის დაბოლოება ბერლინის მუზეუმის ცალზე აშკარად ჩანს. ბოლო, ვანში აღმოჩენილი ეგზემპლარის მიხედვით, გ. დუნდუა ფიქრობს, რომ მონეტის ზურგზე ასო “Μ” იკითხება. აქედან გამომდინარე, მკვლევართა ამ ჯგუფის მიხედვით, მონეტაზე სახელი უნდა წაკითხულ იქნას, როგორც ΒΑΣΙΛΕΩΣ ΣΑΥΜ(ΑΚΟΥ) – მეფე სავმაკის, ვინაიდან ასეთი მეფე ცნობილია ბოსფორის სამეფოს ისტორიაში. ეს რაც შეეხება მონეტაზე დაფიქსირებული წარწერის ანალიზს. ამის გარდა, საკამათოა საკითხის ირგვლივ არსებული მთელი რიგი ისტორიული თუ ნუმისმატიკური ნიუანსები.

მეცნიერთა იმ ნაწილს, რომელიც ამ მონეტებს კოლხეთის სამეფოს უკავშირებს, ერთ-ერთ არგუმენტად მოჰყავს I საუკუნის რომაელი ისტორიკოსის პლინიუსის ცნობა, რომლის თანახმადაც კოლხეთში ოდესღაც მეფობდა სავლაკი. მაგრამ საქმე ისაა, რომ, როგორც დაანგარიშებულია, ეს ზღაპრული სავლაკი კოლხეთში მეფობდა 1200 წლით ადრე ვიდრე ჩვენთვის საინტერესო მონეტები მოიჭრებოდა. ამ მონეტების მეორე ტიპზე გამოსახულია ვარდი, რომელიც მიახლოებით ათარიღებს მთელ სამონეტო ჯგუფს. ეს ტიპი

აღებულია როდოსის (კუნძული ეგეოსის ზღვაში) ნუმიზმატიკიდან. კერძოდ, ვარდის გამოსახულებიანი მონეტა ზუსტი ასლია როდოსის იმ მონეტებისა, რომელთა მოჭრა წარმოებდა ძვ. წ. 166-88 წლებში. ეს კი იძლევა სადისკუსიო ცალების ზუსტი დათარიღების საშუალებას ძვ. წ. II-I საუკუნეებით.

ასე რომ, ისტორიულად ამ პარალელის გავლებას საფუძველი არ გააჩნია. შემდეგი არგუმენტი, რომელიც მოჰყავთ ამ მონეტების კოლხური წარმოშობის სასარგებლოდ, გახლავთ ის, რომ პირველი ტიპის ცალების ზურგზე გამოსახულია ხარის თავი. აქედან – კავშირი კოლხურ თეთრთან. დაბოლოს, იმაზეც საუბრობენ, რომ ე.წ. სავლაკის და კოლხური მონეტები ერთად გაყიდულა სოხუმში, რაც თითქოს მათი ერთობლივი აღმოჩენის დამამტკიცებელი საბუთია. კონკრეტული მონეტების კოლხური გენეზისის სასარგებლოდ მოყვანილი არგუმენტები არ არის ძლიერი. პირველი არგუმენტის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ასევე ვერ უძლებს კრიტიკას მეორე საბუთიც. საქმე ისაა, რომ ხარის გამოსახულების გეოგრაფია ბერძნულ სამყაროში ძალიან ფართოა, ის მრავალი ქვეყნისა და ქალაქის მონეტებს ამშვენებს და მისი დაკავშირება მაინცდამაინც კოლხურ სამყაროსთან, რბილად რომ ვთქვათ, მართებული არაა. რაც შეეხება სავლაკისა და კოლხურის მონეტების ერთად გაყიდვის ფაქტს, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს მათ ერთ პუნქტში აღმოჩენას. ყველაზე ძლიერი არგუმენტი, რომლის მოყვანაც კი შეიძლება ამ მონეტების კოლხური წარმოშობის სასარგებლოდ, გახლავთ ის, რომ დღემდე ცნობილი 8 ეგზემპლარიდან, 5 დასავლეთ საქართველოს ფარგლებშია აღმოჩენილი (სოხუმის მიდამოებში და ვანში).

მეცნიერთა მეორე ნაწილი ზემოთ აღწერილ მონეტებს ბოსფორის სამეფოს უკავშირებს. მათი არგუმენტაცია ასეთია: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვარდის გამოსახულებიანი მონეტების ტიპოლოგია აღებულია როდოსის ნუმიზმატიკური ძეგლებიდან, რომელთა მოჭრა წარმოებდა ძვ. წ. 166-88 წლებში. ამგვარად, ეს მონეტები ძვ. წ. II-I საუკუნეებით თარიღდება. ერთადერთი ისტორიული პიროვნება ამ ხანაში, რომლის არსებობაც წყაროებით დასტურდება, არის სავმაკი. ეს ის სავმაკია, რომელიც იხსენიება მითრიდატე VI პონტოელის (ძვ. წ. 120-63 წწ.) მხედართმთავრის – დიოფანტეს საპატივცემულოდ ქერსონესში აღმართულ დეკრეტში. სავმაკმა ძვ. წ. II საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა ბოსფორის სამეფოში და მცირე ხნით დაიკავა ტახტი. სწორედ ამ დროს უნდა მოეჭრა მას ჩვენთვის საინტერესო მონეტები. ძვ. წ. 107 წელს კი ის დაამარცხა და ტყვედ იგდო უკვე მოხსენიებულმა დიოფანტემ. ყოველივე ზემოთ

	თქმულის გამო, სადავო მონეტები შესაძლებელია მივაკუთნოთ ზოს-ფორის სამეფოს ნუმიზმატიკას. ძალიან ძნელია კონტრარგუმენტის მოძებნა ამ დებულების წინააღმდეგ. თუმცა ერთი ცხადია: ვიდრე არ აღმოჩნდება ე.წ. სავლაკის (თუ სავმაკის) სრულწარწერიანი მონეტა, მანამ ეს საკითხი ყოველთვის პოლემიკის საგანი იქნება.
ზარაფხანა	უცნობია.
ნომინალი	ვერცხლი. 0,98 გრ.-1,7 გრ.
თარიღი	ძვ. წ. II საუკუნის მიწურული.
კოლექცია	ბერლინის მუზეუმი – 1 ცალი, ვანის მუზეუმი – 1 ცალი.

ჯგუფი	ე.წ. სავლაცის მონეტები
ტიპი	ე.წ. სავლაცის მონეტები, III ტიპი
აღწერა, ფოტო	ვერცხლი(?), სპილენძი. წონა: ბრიტანეთის მუზეუმის ცალი – 1,75 გრ., ბერლინის მუზეუმის ცალი – 1,83 გრ. რემედიუმი: 1,75 გრ.-1,83 გრ. d≈12/13 მმ. შუბლი: მამაკაცის თავის გამოსახულება სხივანა გვირგვინში პირდაპირ. ზურგი: ფრთოსანი ელვა, რომლის ზემოთ და ქვემოთ წარწერაა: ΒΑΣΙ... ΣΑΥ...
სამეცნიერო კომენტარი	კოლხეთში ძვ. წ. II საუკუნეში სამეფოს არსებობის დადასტურების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე ზომის სპილენძის, ბილონის და ვერცხლის მონეტების სწორ ატრიბუციას. ჩვენამდე მათ მოაღწიეს რვა ცალის რაოდენობით და ყველა ეგზემპლარი, ერთის გარდა, საზღვარგარეთაა დაცული: მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში – 3, ბერლინის მუზეუმში – 3, ბრიტანეთის მუზეუმში – 1, ვანის მუზეუმში – 1. ეს მონეტები იყოფა სამ ტიპად. III ტიპის აღწერილობა მოცემულია ზემოთ. დანარჩენი ორი ტიპის აღწერილობა ასეთია: I ტიპი. შუბლი: მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილი სხივანა გვირგვინში. ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ ბერძნული ზედწერილი – ΒΑΣΙ... ΣΑΥΛ ან ΣΑΥΜ... ე.ი. მეფე სავლაცის ან სავმაცისა. მეფის სახელი მონეტაზე ფრაგმენტულად არის ამოკვეთილი, ხოლო უკანასკნელი ასოს მიჩნევა შეიძლება როგორც “Λ”-დ, ასევე “Μ”-დ. II ტიპი.

შუბლი: მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილი სხივანა გვირგვინში.

ზურგი: ვარდის გამოსახულება, რომლის ზემოთ და ქვემოთ ბერძნული ლეგენდაა – ΒΑΣΙΛΕ... ΣΑΥΛ ან ΣΑΥΜ... ე.ი. მეფე სავლაკისა ან სავმაკისა.

როგორც ვხედავთ, არც ერთ მონეტაზე მეფის სახელი სრულად არაა დაწერილი, რამაც მათი გენეზისის საკითხი მწვავე დისკუსიის საგნად აქცია საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. საკამათოა მონეტის რევერსზე მოცემული მეფის სახელის მეოთხე ასოს მოხაზულობა. მეცნიერთა ერთი ნაწილი მას “Λ”-დ კითხულობს, აქედან გამომდინარე, წარწერა იმიფრება, როგორც ΒΑΣΙΛΕΩΣ ΣΑΥΛ(ΑΚΟΥ) – მეფე სავლაკის, ვინაიდან კოლხეთის მეფეთა რიგში ასეთი სახელი ფიგურირებს. თუმცა მკვლევართა მეორე ჯგუფის აზრით, მონეტის რევერსზე სადავო სიტყვის მეოთხე ასო წაკითხული უნდა იქნას, როგორც “Μ”. რ. ვაილის აზრით, “Μ”-ს მარჯვენა კიდურის ზემო ნაწილის დაბოლოება ბერლინის მუზეუმის ცალზე აშკარად ჩანს. ბოლო, ვანში აღმოჩენილი ეგზემპლარის მიხედვით, გ. დუნდუა ფიქრობს, რომ მონეტის ზურგზე ასო “Μ” იკითხება. აქედან გამომდინარე, მკვლევართა ამ ჯგუფის მიხედვით, მონეტაზე სახელი უნდა წაკითხულ იქნას, როგორც ΒΑΣΙΛΕΩΣ ΣΑΥΜ(ΑΚΟΥ) – მეფე სავმაკის, ვინაიდან ასეთი მეფე ცნობილია ბოსფორის სამეფოს ისტორიაში. ეს რაც შეეხება მონეტაზე დაფიქსირებული წარწერის ანალიზს. ამის გარდა, საკამათოა საკითხის ირგვლივ არსებული მთელი რიგი ისტორიული თუ ნუმისმატიკური ნიუანსები.

მეცნიერთა იმ ნაწილს, რომელიც ამ მონეტებს კოლხეთის სამეფოს უკავშირებს, ერთ-ერთ არგუმენტად მოჰყავს I საუკუნის რომაელი ისტორიკოსის პლინიუსის ცნობა, რომლის თანახმადაც კოლხეთში ოდესღაც მეფობდა სავლაკი. მაგრამ საქმე ისაა, რომ, როგორც დაანგარიშებულია, ეს ზღაპრული სავლაკი კოლხეთში მეფობდა 1200 წლით ადრე ვიდრე ჩვენთვის საინტერესო მონეტები მოიჭრებოდა. ამ მონეტების მეორე ტიპზე გამოსახულია ვარდი, რომელიც მიახლოებით ათარიღებს მთელ სამონეტო ჯგუფს. ეს ტიპი აღებულია როდოსის (კუნძული ეგეოსის ზღვაში) ნუმისმატიკიდან. კერძოდ, ვარდის გამოსახულებიანი მონეტა ზუსტი ასლია როდოსის იმ მონეტებისა, რომელთა მოჭრა წარმოებდა ძვ. წ. 166-88 წლებში. ეს კი იძლევა სადისკუსიო ცალების ზუსტი დათარიღების საშუალებას ძვ. წ. II-I საუკუნეებით.

ასე რომ, ისტორიულად ამ პარალელის გავლებას საფუძველი არ

გააჩნია. შემდეგი არგუმენტი, რომელიც მოჰყავთ ამ მონეტების კოლხური წარმოშობის სასარგებლოდ, გახლავთ ის, რომ პირველი ტიპის ცალების ზურგზე გამოსახულია ხარის თავი. აქედან – კავშირი კოლხურ თეთრთან. დაბოლოს, იმაზეც საუბრობენ, რომ ე.წ. სავლაკის და კოლხური მონეტები ერთად გაყიდულა სოხუმში, რაც თითქოს მათი ერთობლივი აღმოჩენის დამამტკიცებელი საბუთია. კონკრეტული მონეტების კოლხური გენეზისის სასარგებლოდ მოყვანილი არგუმენტები არ არის ძლიერი. პირველი არგუმენტის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ასევე ვერ უძლებს კრიტიკას მეორე საბუთიც. საქმე ისაა, რომ ხარის გამოსახულების გეოგრაფია ბერძნულ სამყაროში ძალიან ფართოა, ის მრავალი ქვეყნისა და ქალაქის მონეტებს ამშვენებს და მისი დაკავშირება მაინცდამაინც კოლხურ სამყაროსთან, რბილად რომ ვთქვათ, მართებული არაა. რაც შეეხება სავლაკისა და კოლხურის მონეტების ერთად გაყიდვის ფაქტს, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს მათ ერთ პუნქტში აღმოჩენას. ყველაზე ძლიერი არგუმენტი, რომლის მოყვანაც კი შეიძლება ამ მონეტების კოლხური წარმოშობის სასარგებლოდ, გახლავთ ის, რომ დღემდე ცნობილი 8 ეგზემპლარიდან, 5 დასავლეთ საქართველოს ფარგლებშია აღმოჩენილი (სოხუმის მიდამოებში და ვანში).

მეცნიერთა მეორე ნაწილი ზემოთ აღწერილ მონეტებს ბოსფორის სამეფოს უკავშირებს. მათი არგუმენტაცია ასეთია: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვარდის გამოსახულებიანი მონეტების ტიპოლოგია აღებულია როდოსის ნუმიზმატიკური ძეგლებიდან, რომელთა მოჭრა წარმოებდა ძვ. წ. 166-88 წლებში. ამგვარად, ეს მონეტები ძვ. წ. II-I საუკუნეებით თარიღდება. ერთადერთი ისტორიული პიროვნება ამ ხანაში, რომლის არსებობაც წყაროებით დასტურდება, არის სავმაკი. ეს ის სავმაკია, რომელიც იხსენიება მითრიდატე VI პონტოელის (ძვ. წ. 120-63 წწ.) მხედართმთავრის – დიოფანტეს საპატივცემულოდ ქერსონესში აღმართულ დეკრეტში. სავმაკმა ძვ. წ. II საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა ბოსფორის სამეფოში და მცირე ხნით დაიკავა ტახტი. სწორედ ამ დროს უნდა მოეჭრა მას ჩვენთვის საინტერესო მონეტები. ძვ. წ. 107 წელს კი ის დაამარცხა და ტყვედ იგდო უკვე მოხსენიებულმა დიოფანტემ. ყოველივე ზემოთ თქმულის გამო, სადავო მონეტები შესაძლებელია მივაკუთნოთ ბოსფორის სამეფოს ნუმიზმატიკას. ძალიან ძნელია კონტრარგუმენტის მოძებნა ამ დებულების წინააღმდეგ. თუმცა ერთი ცხადია: ვიდრე არ აღმოჩნდება ე.წ. სავლაკის (თუ სავმაკის) სრულწარწერიანი მონეტა, მანამ ეს საკითხი ყოველთვის პოლემიკის საგანი იქნება.

ზარაფხანა	უცნობია.
ნომინალი	ვერცხლი(?). 1,75 გრ. სპილენძი. 1,83 გრ.
თარიღი	ძვ. წ. II საუკუნის მიწურული.
კოლექცია	ბრიტანეთის მუზეუმი – 1 ცალი, ბერლინის მუზეუმი – 1 ცალი.

ბიბლიოგრაფია:	კ. გოლენკო. მეფე სავ(ლავის) მონეტის ახალი ტიპი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XXV. № 1. 1960. გ. დუნდუა. სავლავი თუ სავმაკი? კრ. „ოჩხარი“. ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი. თბ. 2002; ფული საქართველოში (თ. დუნდუასთან, ნ. ჯავახიშვილთან და ა. ერისთავთან თანაავტორობით). თბ. 2003 (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა); ქართული ნუმიზმატიკა. I. თბ. 2006 (თ. დუნდუასთან თანაავტორობით); ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი. თბ. 2009 (ირ. ჯალალანიასთან თანაავტორობით). თ. დუნდუა. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1993; საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. წ. I-II. თბ. 1995. დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969. В. Ф. Гайдукевич. Еще о восстании Савмака. Вестник Древней Истории (ВДИ). №1. 1962; К дискуссии о восстании Савмака. Сб. Античная история и культура Средиземноморья и Причерноморья. Л. 1968. К. В. Голенко. О монетах, приписываемых Савмаку. Вестник Древней Истории (ВДИ). №4. 1951; Еще о монетах, приписываемых Савмаку. Вестник Древней Истории (ВДИ). №3. 1963. Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Тб. 1987. С. А. Жебелев. Последний Перисад и скифское восстание на Босфоре. Вестник Древней Истории (ВДИ). №3. 1938. Э. Л. Казакович. К полемике о восстании Савмака. Вестник Древней Истории (ВДИ). №1. 1963. Д. Г. Капанაძე. Несколько добавочных замечаний по поводу статьи К. В. Голенко «О монетах, приписываемых Савмаку». Вестник Древней Истории (ВДИ). № 4. 1951; Грузинская нумизматика. М. 1955.
-----------------------------	---


	В. В. Струве. Восстание Савмака. Вестник Древней Истории (ВДИ). № 3. 1950. A. v. Gutschmidt. Saulaces, König von Kolchis. Zeitschrift für Numismatik. III. 1876. A. v. Sallet. Zur griechischen Numismatik, I. Saul... oder Saum..., ein kolchischer oder scythischer König. Zeitschrift für Numismatik. III. 1876; Die Erwerbungen des Königlichen Münzkabinets. Zeitschrift für Numismatik. XVI. 1888. R. Weil. König Saumakos. Zeitschrift für Numismatik. VIII. 1881.
--	---

ჯგუფი	დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტები
ტიპი	დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტები დიოსკურების ქუდების და კვერთხის გამოსახულებით
აღწერა, ფოტო	სპილენძი. რემედიუმი: ხალკი მაგ. 1,3-3,1 გრ., დიხალკი მაგ. 3,7-5 გრ., ტეტრახალკი მაგ. 6,1 გრ. d≈14 მმ. შუბლი: დიოსკურების, ტყუპი ძმების, პოლიდეკესა და კასტორის ემბლემის – ორი ფრიგიული ქუდის გამოსახულება, რომელთა ზემოთ მოთავსებულია ექვსი ან რვაქიმიანი ვარსკვლავები. ზურგი: მონეტის ცენტრში კვერთხის გამოსახულება, მის ორივე მხარეს სამ სტრიქონად ბერძნული ზედწერილი: ΔΙΟΣ/ΚΟΥΡΙΑ/ΔΟΣ. 
სამეცნიერო კომენტარი	დასავლეთ საქართველოში მითრიდატე VI ევპატორის (ძვ. წ. 120-63 წწ.) ეპოქის პონტოური მონეტების აღმოჩენის ფაქტები პონტო-კოლხეთის ინტენსიურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებზე მიანიშნებს. ამ კუთხით კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კოლხეთის ტერიტორიაზე მოჭრილი, ადგილობრივი მონეტები. მათ შორისაა ქალაქ დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტები წარწერით – ΔΙΟΣ/ΚΟΥΡΙΑ/ΔΟΣ. დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტების გამოშვების ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენას პრინციპული მნიშვნელობა აქვს კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი მომენტის დასაზუსტებლად, კერძოდ, იმ თარიღის განსაზღვრისათვის, თუ როდის მოხდა პონტოს მეფის, მითრიდატე VI ევპატორის მიერ კოლხეთის დამორჩილება. ყოველივე ეს, კონკრეტული დროის მითითების გარეშე, დადასტურებულია წერილობით წყაროებში. აღნიშნული მონეტები ტიპოლოგიურად უკავშირდება პონტოს სპილენძის საქალაქო მონეტებს. კერძოდ, შუბლის მოტივი (დიოსკურების

	ორი ქუდი) აღებულია ამისოს იმ მონეტებიდან, რომლებიც იჭრებოდა ძვ. წ. 120-111 წლებში, ხოლო ზურგისა (დიონისეს, ე.ი. მითრიდატე ევპატორის კვერთხი) ასევე ნასესხებია სამხრეთ და ჩრდილო შავიზღვისპირეთის საქალაქო ნუმიზმატიკიდან, იმ მონეტებიდან, რომლებიც თარიღდება ძვ. წ. 105-90 წლებით. ამრიგად, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, დიოსკურიაში მოჭრილი მონეტები ძვ. წ. II საუკუნის დასასრულითა და I-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს. შესაბამისად, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს შეერთება თავის სამფლობელოსთან მითრიდატე VI-მ ზუსტად ამ დროს განახორციელა. უკვე მითრიდატეს ქვეშევრდომი დიოსკურიელები მუნიციპალურ სტრუქტურებს ინარჩუნებენ და საკუთარ სპილენძის ფულსაც ჭრიან. დიოსკურიაში, ჩანს, მითრიდატე VI-ის გარნიზონი იდგა და მონეტების მოჭრას სწორედ მის მიერ დანიშნული მოხელე აკონტროლებდა.
ზარაფხანა	დიოსკურია.
ნომინალი	ხალკი – მაგ. 1,3-3,1. გრ., დიხალკი – მაგ. 3,7-5 გრ., ტეტრახალკი – მაგ. 6,1 გრ.
თარიღი	ძვ.წ. II-I საუკუნეების მიჯნა.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 12 ცალი, ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №51, ქვ. №№1701-1703, ქვ. №3149, ქვ. №3766, ქვ. №4029, ქვ. №№4030-4034; ერმიტაჟი – 11 ცალი, ერმიტაჟის ნუმიზმატიკის განყოფილება, №1, №2, №3, №4, №5, №6, №6a, №7, №9, №10, №11; მოსკოვის ისტორიული მუზეუმი – 11 ცალი, მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილება, კარადა №8, თარო №36.
ბიბლიოგრაფია	გ. დუნდუა. ფული საქართველოში (თ. დუნდუასთან, ნ. ჯავახიშვილთან და ა. ერისთავთან თანაავტორობით). თბ. 2003 (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა); ქართული ნუმიზმატიკა. I. თბ. 2006 (თ. დუნდუასთან თანაავტორობით); ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი. თბ. 2009 (ირ. ჯალაღანიასთან თანაავტორობით). თ. დუნდუა. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1993; საქართველო და დასავლეთი

	ნუმისმატიკური მასალების მიხედვით. წ. I-II. თბ. 1995. დ. კაპანაძე. ქართული ნუმისმატიკა. თბ. 1969. К. В. Голенко. Монеты из случайных находок в Патрээ (1947-1950). Вестник Древней Истории (ВДИ). №3. 1952; К датировке монет Диоскуриады. Нумизматический сборник. Тб. 1977. Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Тб. 1987. Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика. М. 1955. Г. А. Лордкипанидзе. К некоторым вопросам истории Колхиды II-I вв. до н. э. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №2. თბ. 1965; К истории древней Колхиды. Тб. 1970. К. Golenko. Kolchis. Chiron. №2. München. 1972.
--	--

ჯგუფი	ვანში (?) მოჭრილი სპილენძის ანონიმური მონეტები
ტიპი	ვანში (?) მოჭრილი სპილენძის ანონიმური მონეტები ლოტოსის და რვაქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებით
აღწერა, ფოტო	სპილენძი. რემედიუმი: ჰემიხალკი 0,8 გრ.-1,1 გრ., ხალკი 1,2 გრ.-2,1 გრ. ჰემიხალკისთვის $d=12-13/14-15$ მმ., ხალკისთვის $d=11/13-16$ მმ. შუბლი: ეგვიპტური ნაყოფიერების ღვთაების ისიდას თავსამკაულის – სტილიზებული ლოტოსის გამოსახულება. ზურგი: რვაქიმიანი რელიეფური ვარსკვლავი (რომელიც, ნახევარმთვარის გამოსახულებასთან ერთად, მითრიდატიდების დინასტიურ ემბლემად ითვლებოდა). Vani. Obverse ვანი. შუბლი 

	Vanl. Reverse ვანი. ზურგი 
სამეცნიერო კომენტარი	ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების დროს 1967 წელს მოზაიკურიატაკიანი ტაძრის საკურთხეველის წინ აღმოჩნდა 119 სპილენძის მონეტისგან შემდგარი განძი, რომელიც, როგორც ჩანს, მოთავსებული იყო ქისაში. განძის 118 მონეტა იდენტურია, ამ ტიპის მონეტების აღწერილობა ზემოთ უკვე მივუთითეთ. ფულის ზურგზე მოთავსებული რვაქიმიანი რელიეფური ვარსკვლავი მის პონტოს სამეფოსთან კავშირზე მიანიშნებს. ეს სიმბოლო პონტოს მმართველი დინასტიის, მითრიდატიდების, დინასტიურ ემბლემად ითვლებოდა. განძის 119-ე მონეტა მოჭრილია ამისოში ძვ. წ. 111-105 წლებში ან 105-90 წლებში (შუბლი: ომის ღმერთის არესის თავის გამოსახულება მარჯვნივ. ზურგი: ქარქაშში ჩაგებული მახვილი). ეს მონეტა ათარიღებს განძის შემადგენლობაში შემავალ დანარჩენ ცალებსაც, კერძოდ, ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისით. ლოტოსის გამოსახულებიანი სპილენძის ანონიმური მონეტები სულ 126 ცალის ოდენობითაა ცნობილი. ამ მონეტების ემისია, პირობითად, ვანში (ანტიკური ხანის სურიონი) განხორციელდა. არგუმენტაცია ასეთია: 1. ვანის განძის მონეტები ისიდას სტილიზებული თავსამკაულის გამოსახულებით უნიკალურია.

2. მართალია, ანონიმური სპილენძის მონეტები ვარსკვლავის გამოსახულებით პონტოში იჭრებოდა, მაგრამ – არა მითრიდატე VI-ის ხანაში, არამედ ადრე და სულ სხვა ტიპოლოგიური კომბინაციით. მიუხედავად იმისა, რომ პონტოს ანონიმური საფასეები თითქმის საუკუნეა, რაც ქვეყნდება, სამეცნიერო ლიტერატურაში ვანის ცალების იდენტური მონეტები ცნობილი არაა. არაა ისინი დაცული მსოფლიოს დიდ სამუზეუმო ცენტრებში. ამიტომ ჩვენი მონეტების მიკვთვნება პონტოსადმი შეუძლებელია. შეუძლებელია აგრეთვე ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც. პონტოში მოჭრილი ანონიმური სპილენძის მონეტები თარიღდება მითრიდატე VI-ის მეფობის წინარე პერიოდით, ვანში აღმოჩენილი ცალები კი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მოჭრილია ძვ. წ. I საუკუნის 80-იან წლებში. საქმე ისაა, რომ ვანის განძში შედის ამისოს ტეტრახალკი, მოჭრილი ძვ. წ. 111-105 ან 105-90 წლებში. ის ძალიან ცუდადაა დაცული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ განძში მოხვედრამდე დიდი ხნის მანძილზე იყო მიმოქცევაში. განძის დანარჩენი მონეტები კი შესანიშნავადაა შემონახული. ამრიგად, ვანის განძის მონეტები მითრიდატე VI-ის ეპოქას მიეკუთვნება.

3. ვანის ანონიმური მონეტების ემისია პონტოში გამორიცხულია შემდეგი მიზეზის გამოც: მითრიდატე ევპატორმა მოახდინა სამონეტო საქმის უნიფიკაცია. ოქროს და ვერცხლის მონეტები იჭრება მხოლოდ და მხოლოდ მეფის სახელით და მისი რეგალიის ხელყოფა სიკვდილით ისჯება. პონტოს ქალაქები, მართალია, ახორციელებდნენ სამონეტო რეგალიას, მაგრამ – საერთო, სტანდარტული ტიპით. ამრიგად, ქალაქთა სამონეტო საქმიანობაც, ფაქტობრივად, მითრიდატეს კონტროლის ქვეშაა. ასეთ პირობებში, სრულიად წარმოუდგენელია ანონიმური მონეტების ემისია პონტოს ტერიტორიაზე. ვის მისცემდა ამის უფლებას მითრიდატე VI?!

4. მაგრამ დავუშვათ ვანის განძის ანონიმური სპილენძის მონეტების და პონტოს ანონიმური სპილენძის მონეტების სინქრონულობა; შევუდაროთ ისინი ერთმანეთს: ა) პონტოს ანონიმური მონეტებისათვის ძირითადი დამახასიათებელი ნომინალია ტეტრახალკი, ობოლი იშვიათად იჭრებოდა, ხოლო დიხალკი და ხალკი იჭრებოდა ეპიზოდურად. ვანის განძის მონეტებში შეიძლება ორი ნომინალის გამოყოფა: ხალკის და ჰემიხალკის. არც ერთი და არც მეორე არაა დამახასიათებელი პონტოს მონეტებისთვის; ბ) პონტოს არც ერთ ანონიმურ მონეტაზე არაა გამოსახული ისიდას სიმბოლო; გ) მართალია, ორივე ჯგუფის მონეტების ზურგზე მოთავსებულია რვაქიმიანი ვარსკვლავი, მაგრამ პონტოს ადრეულ სპილენძზე მას აუცილებლად თან ახლავს ორი ნახევარმთვარე, ხოლო გვიანდელზე – მშვილ-

დისრის გამოსახულება. ვანის განმის მონეტებზე ეს დეტალები არ შეიმჩნევა. პონტოს მონეტების ზოგიერთ სერიაზე ამოტვიფრულია მონოგრამები და წარწერები. ვანის ცალები ანეპიგრაფიკულია. ამრიგად, ეს ორი სამონეტო ჯგუფი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან.

5. ამ მონეტების კოლხეთის გარდა სხვაგან აღმოჩენის არც ერთი შემთხვევა არ არის აღრიცხული. ძირითადი მასა ვანშია აღმოჩენილი, რამდენიმე ცალი ეშერაშია ნაპოვნი. სპილენძის მონეტების მოჭრის ცენტრის ლოკალიზაციის თვალსაზრისით (მით უმეტეს, ასეთი უკნინესი ერთეულისა), ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამრიგად, თითქოს არის საფუძველი ლოტოსისგამოსახულებიანი სპილენძის ანონიმური მონეტების ემისია ვანის ზარაფხანას დავუკავშიროთ. რა ისტორიული ახსნა შეიძლება მოეძებნოს ამ ფაქტს?

მითრიდატემ კოლხეთი ძვ. წ. 105-90 წლებში დაიპყრო. თავდაპირველად კოლხეთი პონტოს სატრაპიას წარმოადგენდა, მაგრამ შემდეგში, აპიანეს თანახმად, კოლხები აჯანყებულან და მითრიდატესათვის მოუთხოვიათ, რომ მას კოლხეთში მისი შვილი, მითრიდატე ფილოპატორ-ფილადელფოსი გაემეფებინა. მითრიდატე ევპატორმა ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. დასავლეთ საქართველოში გამეფდა მითრიდატე ფილოპატორ-ფილადელფოსი. აღნიშნული მოვლენა, როგორც ირკვევა, ძვ. წ. 85 წელს უნდა მომხდარიყო. ამ ხნიდან მოკიდებული, კოლხეთი ნომინალურად პონტოს ვასალური სახელმწიფოა. მაგრამ კოლხეთის ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მითრიდატემ თავის შვილს ღალატში დასდო ბრალი და ერთი წლის შემდეგ, ძვ. წ. 84 წელს სიკვდილით დასაჯა.

სამწუხაროდ, მამა-შვილის კოლიზიების დეტალები უცნობია. შეიძლება, მითრიდატე ფილოპატორ-ფილადელფოსმა მართლაც წააქეზა კოლხები აჯანყებისკენ. საკუთარი ანეპიგრაფიკული ემისიებით კი ის მამას თავს ერთგულ „სატრაპად“ აჩვენებს. მისთვის, როგორც სამეფო ოჯახის წევრისთვის, კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი სპილენძის ანონიმური ემისიების იურიდიული ბუნება და ტიპოლოგია. ამ კატეგორიის მონეტებს, რვაქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებით, პონტოს მეფეთა ნაცვლები ჭრიდნენ მითრიდატე VI ევპატორამდე. აი, ამიტომაც გამოსახული ვანში აღმოჩენილი მონეტების რევერსზე რელიეფური ვარსკვლავი, ის მთელი ანონიმური სერიის აუცილებელი თანამგზავრია და სამეცნიერო ლიტერატურაში ინტერპრეტირებულია, როგორც პონტოს მეფეთა დინასტიური ემბლემა.

მაგრამ, რა შუაშია მონეტის ავერსზე ამოტვიფრული ისიდას სიმბოლო? რას უნდა დავუკავშიროთ ის? როგორც ვარაუდობენ,

	ქალაქ ვანის/სურიონის კარიბჭესთან უნდა მდგარიყო ნაყოფიერების ღვთაების (დემეტრა/ისიდა) ქანდაკება. ეს იყო ქალაქის მფარველი ღვთაება. მითრიდატე უმცროსის რეზიდენცია კოლხეთში ვანი უნდა ყოფილიყო. ვინ, ან რა უნდა გამოესახა მას თავისი მონეტის შუბლზე, თუ არა ქალაქის მფარველი ღვთაება ან მისი სიმბოლო? ასეთია ის ლოგიკური გზა, რომელიც საშუალებას იძლევა, ვამტკიცოთ ვანში მონეტის მოჭრის შესაძლებლობა.
ზარაფხანა	ვანი (?).
ნომინალი	ჰემიხალკი – რემედიუმი 0,8 გრ.-1,1 გრ., ხალკი – რემედიუმი 1,2 გრ.-2,1 გრ.
თარიღი	ძვ. წ. 85-84 წლები.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №11114, და სხვ.
ბიბლიოგრაფია	გ. დუნდუა. იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში? მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №2. თბ. 1974; მონეტები ვანიდან. ვანი III. თბ. 1977 (გ. ლორთქიფანიძესთან თანაავტორობით); ფული საქართველოში (თ. დუნდუასთან, ნ. ჯავახიშვილთან და ა. ერისთავთან თანაავტორობით). თბ. 2003 (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა); ქართული ნუმიზმატიკა. I. თბ. 2006 (თ. დუნდუასთან თანაავტორობით); ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი. თბ. 2009 (ირ. ჯალაღანიასთან თანაავტორობით). თ. დუნდუა. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1993; საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. წ. I-II. თბ. 1995; კოლხების აჯანყება და მითრიდატე უმცროსი. თსუ შრომები (ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია). 321. თბ. 1996. Г. Ф. Дундуа. Денежное обращение центральной Колхиды в V-I вв. до н. э. (по материалам Ванского городища). Тб. 1983 (გ. ლორთქიფანიძესთან თანაავტორობით); Нумизматика античной Грузии. Тб. 1987. T. Dundua. Georgia within the European Integration. Graeco-Roman World, Byzantine Commonwealth, Orthodox Alliance and the Georgians. Tb. 2013.

ჯგუფი	არისტარქე კოლხის დრაქმა
ტიპი	არისტარქე კოლხის დრაქმა გნეუს პომპეუსის გამოსახულებით
აღწერა, ფოტო	ვერცხლი. რემედიუმი – 3,2-3,7 გრ. შუბლი: მარჯვნივ მიმართული უწვერული ადამიანის თავი გასხივოსნებული გვირგვინით (ჰელიოსი პომპეუსის სახის ნაკვეთებით). ზურგი: მარჯვნივ მიმართული მაღალზურგიან ტახტზე მჯდომი ქალღმერთი ტიხე კოშკისებური გვირგვინით თავზე. მარცხენა ხელში სფეროს მსგავსი საგანი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი საჭეს ეყრდნობა. გამოსახულების ორივე მხარეს და ქვემოთ ბერძნული ზედწერილი: ΑΡΙΣΤΑΡΧΟΥ ΤΟΥ ΕΠΙ ΚΟΛΧΙΔΟΣ/ΒΙ („არისტარქესი, კოლხეთის მეფისნაცვლისა, ან კოლხეთის მმართველის, ან არისტარქესი, რომელიც კოლხეთს მართავს“), და თარიღი – 12, რაც ამ პიროვნების მმართველობის მეთორმეტე წელს, ანუ ძვ. წ. 52-51 წლებს უდრის. 
სამეცნიერო კომენტარი	სისხლისმღვრელი ბრძოლები რომსა და პონტოს შორის ძვ. წ. I საუკუნეში რამდენიმე ათეული წელი გაგრძელდა და საბოლოოდ, პონტოს მეფე მითრიდატე VI-ის (ძვ. წ. 120-63 წწ.) მარცხით დასრულდა. რომის ძლევამოსილი სარდალი გნეუს პომპეუსი ჯერ სომხეთში შევიდა და იქ პონტოს მოკავშირე ტიგრან II (ძვ. წ. 95-55 წწ.) დაამარცხა, ხოლო შემდეგ, კერძოდ, ძვ. წ. 65 წელს იბერიას მოადგა. მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, ქართლის მეფე არტაგი ბოლოს იძულებული გახდა პომპეუსს დამორჩილებოდა. იბერიიდან რომაელები კოლხეთში გადავიდნენ, სადაც პომპეუსმა ქვეყნის

	ეფემერულ მმართველად ძვ. წ. 63 წელს არისტარქე კოლხი დანიშნა. ჩვენამდე მოაღწია მისი სახელით მოჭრილმა ვერცხლის ექვსმა მონეტამ, რომელთაგან ერთ-ერთი სოხუმის მიდამოებშია აღმოჩენილი. ინგლისელი და რუსი მეცნიერების ჯ. ჯენკინსისა და კ. გოლენკოს გამოკვლევების თანახმად, მონეტაზე გამოსახულია მზის ღმერთი ჰელიოსი, რომელსაც პომპეუსის ნაკვთები აქვს. ამ მოსაზრებას იმით ასაბუთებენ, რომ კოლხეთის პირველი მეფე, პლინიუსის ცნობის მიხედვით, მზის შვილი იყო, ხოლო არისტარქემ ძალაუფლება პომპეუსისგან მიიღო. ამ შემთხვევაში ერთმანეთს შეერწყა ადგილობრივი ტრადიცია და პოლიტიკური კონიუნქტურა. ეს მოსაზრება უაღრესად ანგარიშგასაწევია. ზურგზე მოთავსებულია მარჯვნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ქალის დრაპირებული გამოსახულება კოშკურა გვირგვინით, რომელსაც მარცხენა ხელში სფეროს მსგავსი საგანი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი საჭეს ეყრდნობა. მონეტის ზურგზე არსებული გამოსახულების სწორი ინტერპრეტაცია ჯ. ჯენკინსმა იმის წყალობით მოახერხა, რომ მის ხელთ აღმოჩნდა შესანიშნავად დაცული ეგზემპლარი, რომელზედაც კარგად ჩანდა საჭე, შემთხვევის, ბედისა და ბედნიერების ქალღმერთის, ტიხეს აუცილებელი ატრიბუტი. არისტარქე კოლხის დრაქმების ისტორიული მნიშვნელობა ძალიან დიდია. მათი ლაკონური ზედწერილი იმის თვალსაჩინო ილუსტრაციაა, თუ რა უპირატესობა აქვს მონეტის ლეგენდებს რიგ შემთხვევაში ნარატიულ წყაროებთან შედარებით. საქმე ის არის, რომ ზოგიერთი ანტიკური ავტორი არისტარქეს მეფეს უწოდებს, თვით მონეტის წარწერაში კი, რომელსაც იურიდიული მნიშვნელობა აქვს, ეს უკანასკნელი მმართველად/მეფისნაცვლად არის მოხსენიებული. ამრიგად, მონეტის ლეგენდის საშუალებით მთელი ქვეყნის პოლიტიკური ვითარების დადგენა ხერხდება. ცხადია, კოლხეთი ამ დროს სამეფო კი არ არის, არამედ, ფორმალურად მაინც, რომზე დამოკიდებული მხარეა.
ზარაფხანა	უცნობია.
ნომინალი	დრაქმა.
თარიღი	ძვ. წ. 52-51 წწ.
კოლექცია	ბერლინის მუზეუმი – 1 ცალი; ეშმოლის მუზეუმი (ოქსფორდი) – 1

	ცალი; ბრიტანეთის მუზეუმი – 1 ცალი; პარიზის მედლების კაბინეტი – 1 ცალი; სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟი – 2 ცალი.
ბიბლიოგრაფია	გ. დუნდუა. ფული საქართველოში (თ. დუნდუასთან, ნ. ჯავახიშვილთან და ა. ერისთავთან თანაავტორობით). თბ. 2003 (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა); ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 2006 (თ. დუნდუასთან თანაავტორობით). დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969. К. В. Голенко. Аристарх Колхидский и его монеты (к истории Колхиды I в. до н. э.). Вестник Древней Истории (ВДИ). N4. 1974. T. Dundua. Georgia within the European Integration. Graeco-Roman World, Byzantine Commonwealth, Orthodox Alliance and the Georgians. Tb. 2013. G. K. Jenkins. Recent Acquisitions of Greek Coins by the British Museum. Numismatic Chronicle (N.C.). London. Vol. 19 (1959).

უცხოური ფული ქართულ სამონეტო ბაზარზე	ძვ. წ. III-I საუკუნეების უცხოური მონეტები დასავლეთ საქართველოდან ძვ. წ. III-I საუკუნეების კოლხეთის სამონეტო მიმოქცევაში ორი „ნუმიზმატიკური“ რეგიონი გამოიყოფა: სანაპირო ზოლი და ჰინტერლანდი. პირველის შემთხვევაში, სანიმუშოდ დიოსკურიიდან და მისი მიდამოებიდან მომდინარე მასალა გვაქვს აღებული, მეორე შემთხვევაში, უმთავრესად ვანის ნაქალაქარიდან. დიოსკურია და მისი მიდამოები: 1. ეშერას გათხრების დროს აღმოჩნდა ძვ. წ. III საუკუნის სინოპური ჰემიდრაქმები: ა) შუბლზე ნიმფა სინოპეს თავის და ზურგზე არწივის გამოსახულებით, 1 ცალი (ზუსტად ასეთივე მონეტები აღმოჩენილია ფიჭვნარში (3 ცალი) და დაფნარში (1 ცალი)); ბ) შუბლი – ნიმფა სინოპეს თავი, ზურგი – გემის ცხვირი. 2. 1939 წელს სოხუმის ციხის მიდამოებში იპოვეს ძვ. წ. III საუკუნის დასასრულისა და II საუკუნის დასაწყისის ამისოს სიკლი. 3. იქვე აღმოჩნდა რომის რესპუბლიკური დენარი, მოჭრილი ძვ. წ. 171-151 წლებში. 4. იქვე მოიძიეს ძვ. წ. II საუკუნის I ნახევრის პანტიკაპეიონის სპილენძის მონეტა შუბლზე სატირისა და ზურგზე დიოსკურების ორ ქუდს შორის მოთავსებული სიუხვის ყანწის გამოსახულებით. 5. 1949 წელს სოხუმში ზღვამ გამორიყა ე.წ. „ახალი სტილის“ ათენური ტეტრადრაქმა (მისი ემისია ათენში დაიწყო ძვ. წ. III საუკუნის ბოლოს. არქაული სტილის ტეტრადრაქმებისგან განსხვავებით, მასზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული ათენას თავი მუზარადში, რომელიც ძვ. წ. V საუკუნის უდიდესი ბერძენი მოქანდაკის, ფიდიასის ქმნილების ასლია, ხოლო ზურგზე – ამფორაზე მჯდომი ბუ და ზედწერილები, რომლებიც გადმოგვცემს ქალაქისა და მაგისტრატის სახელებს, თარიღს და ა.შ.), რომელიც ძვ. წ. 130/129 წლებშია მოჭრილი. 6. სოხუმში აღმოჩნდა რომის რესპუბლიკური დენარი, მოჭრილი ძვ. წ. 99-94 წლებში მარკუს სერგიუს სილუსის სახელით. 7. სოხუმის ციხის ტერიტორიაზე 1942 წელს შემთხვევით უპოვიათ ძვ. წ. 100-75 წლების პანტიკაპეიონის ტეტრახალკი შუბლზე აპოლონისა და ზურგზე სამფეხაზე მოთავსებული კვერთხის
---	---

	გამოსახულებით. 8. ეშერაში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა მითრიდატე VI ევპატორის ეპოქის პონტოს ქალაქების სპილენძის მონეტები – ტეტრახალკი და დიხალკი, გამოშვებული ძვ. წ. 111-105 ან 105-90 წლებში. ერთი მათგანი მოჭრილია ამისოში (ტიპი: ომის ღმერთის, არესის პროფილი – მახვილი). 9. იმავე პუნქტში ნაპოვნია პონტოს ქალაქების სპილენძის კიდევ შვიდი მონეტა, მოჭრილი ძვ. წ. 105-90 წლებში (გორგონა – ნიკე). მონეტები ცუდადაა დაცული, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი უცილობლად ამისოშია მოჭრილი, ერთიგ, შესაძლებელია, ამასტრიაში (ქალაქი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, მცირე აზიაში). 10. ქალაქ სოხუმში 1886 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ამისოში ძვ. წ. 105-90 წლებში მოჭრილი სპილენძის მონეტა. 11. მითრიდატე VI ევპატორის ხანით თარიღდება ქალაქ ფარნაკიაში (შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო) მოჭრილი ტეტრახალკი, აღმოჩენილი ეშერაში 1971 წელს (ტიპი: ტიხეს თავი კომპურა გვირგვინში – ზევსი მთელი ტანით). 12. 1972 წელს აქვე მიაკვლიეს ნეოკესარიას (ქალაქია მცირე აზიაში) მოჭრილ თანადროულ დიხალკს (ტიპი: დიონისეს თავი – კვერთხი). 13. ეშერაში აღმოჩნდა ძვ. წ. 80-70 წლებში ამისოში(?) მოჭრილი ტეტრახალკი (ტიპი: ზევსი – არწივი). 14. 1936 წელს სოხუმის მიდამოებში აღმოჩნდა მითრიდატე VI ევპატორის ორი ტეტრადრაქმა. ერთ-ერთი მათგანი მოჭრილი იყო ძვ. წ. 74 წელს. 15. სოხუმის სანაპიროზე იპოვეს ძვ. წ. 87 წლით დათარიღებული რომის რესპუბლიკური დენარი. 16. სოხუმის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ძვ. წ. 83 წელს მოჭრილი რომის რესპუბლიკური დენარი. 17. ეშერაში აღმოჩნდა სიცილიაში ძვ. წ. 49 წელს მოჭრილი რომის რესპუბლიკური დენარი. 18. სოხუმის მიდამოებში იპოვეს რომის რესპუბლიკური დენარი, მოჭრილი ძვ. წ. 48 წელს. ვანის ნაქალაქარი: 1. ძვ. წ. II-I(?) საუკუნეების სპილენძის სამი მონეტა. 2. ე.წ. „ახალი სტილის“ ათენური მონეტები: ა) დრაქმა მოჭრილი
--	---

ძვ. წ. 146/5 წლებში და ბ) ტეტრადრაქმა დათარიღებული ძვ. წ. 125/4 წლებით.

3. ვერცხლის მცირე ზომის მონეტა, მოჭრილი როდოსში ძვ. წ. 166-88 წლებში ჰელიოსისა და ვარდის გამოსახულებით. ესაა როდოსული მონეტის საქართველოში აღმოჩენის პირველი და ერთადერთი შემთხვევა.

4. კაპადოკიის (მცირე აზიაში) მეფეთა დრაქმები: ა) არიარათ VI (ძვ. წ. 130-116 წწ.) – 1; ბ) არიარათ VII (ძვ. წ. 116-101 წწ.) – 1; გ) არიარათ IX (ძვ. წ. 101-87 წწ.) – 2; დ) არიოზარდანე I (ძვ. წ. 96-63 წწ.) – 3.

5. რესპუბლიკური ხანის რომაული დენარები – 2 (ერთი მოჭრილი ძვ. წ. 119-110 ან 90-80 წწ., ერთიც – ძვ. წ. 64 წ.); კვინარიუსი (დენარის ნახევარი) – 1, დათარიღებული ძვ. წ. 102 წლით.

6. მითრიდატე VI ევპატორის ეპოქის პონტოს ქალაქების სპილენძის მონეტები:

ა) ძვ. წ. 111-105 წლებით დათარიღებული, ტიპი: არესი – მახვილი – 1 ეგზემპლარი;

ბ) ძვ. წ. 111-105 ან 105-90 წლები – 14, ტიპი – იგივე. ამისოს ზარაფხანა – 5, არ იკითხება – 9;

გ) ძვ. წ. 105-90 წლები – 1. ტიპი: ათენა – პერსევსი (ბერძნული მითოლოგიის გმირი, გორგონას მკვლელი), ამისოს ზარაფხანა;

დ) 105-90 წლები, ტიპი: გორგონა – ნიკე, ამისო – 7, ამასტრია – 3, განუსაზღვრელი ზარაფხანა – 14. სულ 24 ცალი;

ე) ძვ. წ. 90-80 წლები – 1. ტიპი: დიონისე – კისტა (ან ცისტა – სარიტუალო კალათი) – ამისო;

ვ) ძვ. წ. 80-70 წლები – 5. ტიპი: ზევსი – არწივი, ამისო – 2; დაუდგენელი ზარაფხანა – 3;

ზ) ძალიან ცუდად დაცული სპილენძის მონეტები, მაგრამ, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მოჭრილი მითრიდატე VI-ის ეპოქის პონტოს ქალაქებში – 9.

ამრიგად, სულ 55 ეგზემპლარი, აქედან: 47 – ტეტრახალკი, 6 – დიხალკი, 1 – ობოლი (სპილენძის მონეტის ნომინალეზია).

7. მითრიდატე VI ევპატორის ტეტრადრაქმა, დათარიღებული ძვ. წ. 74-3 წლებით. შუბლი – მითრიდატე ევპატორის თავის გამოსახულება გაშლილი თმებით მარჯვნივ (მას ალექსანდრე მაკედონელის სახის ნაკვთები აქვს). ზურგი – მარცხნივ მიმართული ირმის გამოსახულება, რომელიც ბალახს მოვს. ირმის ზემოთ, მითრიდატიდების დინასტიური ემბლემა – ნახევარმთვარე და ვარსკვლავი. ზედწერილი – ΒΑΣΙΛΕΩΣ ΜΙΘΡΑΔΑΤΟΥ ΕΥΠΑΤΟΡΟΣ – მეფე მითრიდატე ევპატორისა, თარიღი და მონოგრამები.

	8. ამავე მონარქის კიდეც ერთი ტეტრადრაქმა აღმოჩნდა ვანის არქეოლოგიური გათხრების დროს, ოღონდ მის ზურგზე ფრთოსანი პეგასია გამოსახული. 9. პართული (სამეფო კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, შემდგომ ის მთელ ირანს მოიცავდა) დრაქმები: სინათრუქისა (ძვ. წ. 77-70 წწ.) და ოროდ II-ისა (ძვ. წ. 57-38/7 წწ.) – თითო-თითო ცალი. 10. პერგამონში (ქალაქი და სამეფო მცირე აზიაში) ძვ. წ. 50-49 წლებში მოჭრილი კისტაფორი (ვერცხლის დიდი ზომის მონეტა. ასე მას ეწოდება იმიტომ, რომ მის ზურგზე გამოსახულია სარიტუალო კალათა – კისტა). ჰინტერლანდის სხვა რაიონები: 11. 1914 წელს ზუგდიდის რაიონში შემთხვევით უპოვიათ სომხეთის მეფის ტიგრან II-ის (ძვ. წ. 95-55 წწ.) ტეტრადრაქმა. 12. ანტიოქიის (სირია) ზარაფხანაში ძვ. წ. 83-69 წლებში მოჭრილი ტიგრან II-ის ტეტრადრაქმა აღმოჩენილია ჭიათურის მიდამოებში. 13. 1930 წელს გალის რ-ნის სოფელ ღუმურში შემთხვევით იპოვეს ვერცხლის სამი მონეტა. ერთი, ა. ზოგრაფის განსაზღვრით, ტიტუს კარიზიუსის დენარი ყოფილა, მოჭრილი ძვ. წ. 45 წელს. 14. სოფელ საზოდელავოში (სენაკის რ-ნი) 1897 წელს შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. I საუკუნის რომაული დენარების განძი 23 ცალის რაოდენობით.
--	---

Group	Colchian money ("Colchian tetri (silver)", Kolkhidki)
Type	The so-called tetradrachm
Description, picture	Silver. Weight: sample of the Hague Museum – 10,40 gr., sample of the British Museum – 12,72 gr., sample of the Simon Janashia Museum of Georgia – 13 gr. The weights range from 10,40 to 13 gr. d≈22 mm. Obverse: Exceptionally depicted lion's head to the left/right. Reverse: Winged Pegasus to the right in quadratum incusum. 
Scholarly commentary	"Colchian tetri" is a name of a coin group. Initially, the name "Colchian tetri" was attributed to the II type hemidrachms (the same triobol. Obv. Archaic female head to the right/left within the linear circle or in border of the dots; Rev. Bull's head to the right within the linear circle). They are abundantly represented in West Georgia and are without doubt of the Colchian origin. Three samples of the so-called tetradrachm are known but we know nothing about the place they were found in. One coin was published in 1907 and mistakenly associated with the island Lesbos (Aegean Sea, Greece). Nowadays this piece is held at the Hague Museum.

The identical coin held in the Museum of Georgia was published by the Georgian professor D. Kapanadze, whereas the third one in the British Museum – by the British kartvelologist D. M. Lang.

Lion's head depicted on the obverse of the so-called tetradrachm is stylistically identical to the one depicted on the obverse of the I type didrachm (Obv. Lying hermaphrodite lion to the right/left with a head turned back; Rev. Kneeling female figure with a bull's head to the right/left in quadratum incusum).

5 out of 9 pieces of the I type didrachm were found in West Georgia, 3 of which – in Colchian coin hoards of Poti and Akhalsopeli (Zugdidi District). The majority of the coins found in these hoards represent the II type hemidrachm (Obv. Archaic female head to the right/left within the linear circle or in border of the dots; Rev. Bull's head to the right within the linear circle). The genesis of the latter is undoubtedly Colchian. The topography (West Georgia) of findings of the I type didrachm indicates exactly to its Colchian provenance.

The lion's head depicted on the obverse of the so-called tetradrachm is stylistically identical to the iconography of the I type hemidrachm (Obv. Lion's head to the right/left, showing teeth; Rev. Lioness' protome to the right in quadratum incusum) and the so-called drachm (Obv. Lion's head facing; Rev. Bull's head to the right in quadratum incusum). Four pieces of the I type hemidrachm are found on Colchian soil along with other Colchian coins, which again attests to their Colchian origin. The so-called unidentified drachm held in the Kutaisi Museum was most probably found somewhere in West Georgia. Otherwise this unique piece could not get into a local museum.

The iconography of the reverse of the I type didrachm is typologically identical with the heads of bulls depicted on the reverses of the so-called drachm, the III type didrachm (Obv. Archaic female head to the right within the linear circle; Rev. Two bulls' heads, facing each other each in quadratum incusum). The latter typologically and stylistically is identical with the II type didrachm with the depiction of three female heads. Obv. Archaic female head to the right within the linear circle (exactly the same as on the II type hemidrachm); Rev. identical heads, facing one another, each in quadratum incusum), and the II type hemidrachm. The II type hemidrachms are found in their thousands in West Georgia (ancient Colchis), both in the seaboard as well as inner regions. The part of the II type didrachms as well as the III type didrachm are found in Colchis.

Initially, the name "Colchian tetri" was given to the II type hemidrachm.

The topography of findings and both, typological and stylistic analysis of the so-called tetradrachm and other above-mentioned types give us every reason to place them into the Colchian tetri group.

The protome of a winged pegasus depicted on the reverse of the so-called tetradrachm might seem to be without analogy, however, semantically it is still associated with this very group.

Within the Colchian tetri coin group eight types can be distinguished. The question of the local genesis of all the types should be answered in the following manner:

1) II type hemidrachm (Obv. Archaic female head; Rev. bull's head) was issued in Colchis. The topography of findings attests to this fact – they were found in their thousands in West Georgia, whereas beyond the territory only several dozens.

2) III type didrachm (Obv. Archaic female head; Rev. bull heads each in quadratum incusum) is a typological prototype of those coins with female and bull heads, whereas hemidrachm is a much simpler variant with only a bull head. Archaic style of both types links them to each other and makes it the product of the Hellenic political organization of the Colchian economic-geographical region.

3) II type didrachm (Obv. Archaic female head; Rev. identical heads in two quadratum incusum) resembles the previous type. Reverses might seem different, however below we will stress a typological synthesis of a female figure with a bull on the reverse of the I type didrachm. This means these two figures are synonymous categories. The typology of archaic female head and the topography of findings again draw our attention to the Hellenic poleis of Colchis.

4) Hemitetartemorion from Pichvnari (Obv. Archaic female head; Rev. crane) is in thematic harmony with other nominals, and here is that is why:

- a) II type didrachm shows triomorphic Hecate (see below).
- b) III type didrachm shows triomorphic and zoomorphic Hecate.
- c) II type hemidrachm's typology is also identical.

Thereby everywhere is the moon attribute.

As to the typology of hemitetartemorion, very symptomatic is a long-feet bird's and lotus' Cypriot (depicted on ceramics) synthesis; the latter is the attribute of the goddess of fertility, whereas the crane was its synonym. The goddess of fertility in Colchis was at the same time the goddess Hecate.

5) The iconography of this functional synthesis is represented on the reverse of the I type didrachm:

- a) naked female figure is associated with the cult of fertility;

b) bull's head is an attribute of the moon;

c) ὁ Μείς cult was popular in the hinterland, whereas in the seaboard territories – ἡ Ἐκάτη cult. The variant of the bilingualized Phasis is a hermaphrodite synthesis – here the Moon has two genders, one, as the Greeks think about the Moon, next, the Colchian perception. The typological peculiarities, topography of findings, astral thematics (Obv. lion as a symbol of Apollo/Helios; the latter's hermaphroditization is another aspect of Apollo's merge with the local female Sun. The lion is indeed a hermaphrodite – with the mane and the tits. These two gender categories are iconographically realistically depicted on, for example, the I type Colchian hemidrachm or the Milesian numismatics) link this type to the above-mentioned material.

6) The so-called Colchian drachm (without the indication of the place of discovery) (Obv. Lion's head an face; Rev. bull's head) held in the Kutaisi Museum is typologically and thematically linked to the very didrachm.

7) The same can be said about the I type hemidrachm (Obv. Lion's head; Rev. lioness' protome), where the sun's hermaphrodite perception is depicted. The topography of findings attributes this piece to the Colchian genesis.

8) We do not know about the places where the tetradrachms were found. However, the typological parallels with the I type hemidrachm are quite evident; the theme is traditional: Apollo-lion-Sun/Pegasus-Moon.

The lion depicted on the so-called tetradrachms, I type didrachms and the I type hemidrachms is analogous with Milesian (Greek city in the Asia Minor) numismatics. Lion is Miletus' state emblem and is depicted on local coins. The depiction of lion is very characteristic to the Greek numismatics and in different geographical location it has various functions. But in Milesian numismatics, as scholars unanimously agree, lion's figure is linked to the Apollo's cult. Moreover, the coins from Miletus' colonies too depict lion's figure (for example, coins from Panticapaeum – modern Kerch). The same can be said about the I type Colchian didrachm. The lion depicted on the latter repeats in every detail the lion on Milesian numismatics. Identical are the lion heads on the so-called Colchian tetradrachm and the I type hemidrachm. Despite the fact that the lion an face depicted on the so-called drachm is without analogy, iconographically it is associated with the Colchian tetri group.

It is well known that Miletus' main deity was Apollo (many-faceted deity, but for the moment we are more interested in the fact that he was a protector of the roads, merchants and sailors). Also quite well known fact is

that the colony was linked to its metropolis primarily through a religious cult; the same deity was worshipped in both colony and metropolis.

In 1899 near the Kuban river in Zubovka village a silver cup with the following inscription was found: "I belong to Apollo-Hegemon, which is in Phasis". The inscription dates to the 5th c. B.C., or the beginning of the 4th one. All the scholars unanimously agree that the cup was dedicated to the Apollo's temple which presumably existed in Phasis. Therefore in Phasis, as in all other colonies, the Milesians introduced Apollo's cult. It should also be emphasized that it was Apollo-Hegemon's temple meaning it was the colonists' deity.

The lion depicted on the Colchian tetri is associated with both Apollo's cult and the main deity of the Georgian pantheon – Sun. Colchian tetri belongs to a synthesized category.

The above arguments give us every reason to suppose that the Colchian tetri with the depiction of lion belongs to the mint of Phasis.

As to the so-called tetradrachms, despite some difficulties with their attribution, as we noted before, the lion depicted on the obverse is typologically and stylistically identical especially with a lying lion of the didrachm from the Colchian numismatics. However the protome of a winged Pegasus depicted on the reverse is without any analogy. By the connection of the II type didrachm (Obv. Archaic female head to the right within the linear circle; Rev. Identical heads facing one another each in quadratum incusum), III type didrachm (Obv. Archaic female head to the right within the linear circle; Rev. Two bulls' heads facing each other each in quadratum incusum), reverse of the so-called drachm (Obv. Lion's head facing; Rev. Bull's head to the right in quadratum incusum) and the depiction of the II type hemidrachm (Obv. Archaic female head to the right within either linear circle or in border of the dots; Rev. Bull's head to the right within the linear circle) with the Hekate cult it is possible to explain the meaning of the Pegasus depicted on the reverse of the so-called tetradrachm. Still, this type does not belong to the overall typology of the Colchian tetri.

What does the most widespread iconography (female and bull heads) of the Colchian tetri mean? To answer the question, it is important to define the figure depicted on the I type didrachm (Obv. Lying hermaphrodite lion to the right/left with a head turned back; Rev. Kneeling female figure with a bull's head to the right/left in quadratum incusum). Although it is a very difficult problem to solve, still some hypotheses can be proposed.

The resemblance between a bull's head depicted on an ordinary type of

hemidrachm and the kneeling female's bull head had already been noticed by some scholars. This allows us to associate them iconographically. Considering the above-mentioned, prominent Russian scholar A. Zograff posed an important question: is the typological changeness of Colchian tetri the result of a gradually changing perception about the deity? This is an important observation. Indeed, it is possible that this depiction differentiation in the 5th c. B.C. initially gave us the II type didrachm (Obv. Archaic female head; Rev. Two identical archaic female heads facing each other), then – III type didrachm (Obv. Archaic female head; Rev. Two bull heads facing each other). It is worth noting that this changeness of archaic female and bull heads on the reverses of the II type didrachm and III type didrachm is not accidental. Moreover, it means they are equivalent. Then comes the II type hemidrachm with archaic female and bull heads.

Bull usually is associated with the Moon deity. In Antique mythology a three-headed deity (three-headed deity depicted on the II type didrachm) which also plays the role of the Moon deity is Hecate, ancient Oriental cult adopted in Greece. Exactly this deity's three heads are depicted on the II type didrachm. Thereby a link among several types of coins of Colchian tetri is established.

Considering all the above-mentioned, Georgian scholars D. Kapanadze and I. Shengelia identified three heads depicted on the II type didrachm as a three-headed Hecate and linked it to three phases of the Moon.

Thus the existence of the Hecate cult was a real fact. Moreover, if it is possible to draw typological connections between the Hecate cult and the Colchian tetri, then it is easy to explain the meaning of a Pegasus (which does not fit into the overall type of the Colchian tetri) depicted on the reverse of the so-called tetradrachm. Among other many functions, Hecate was also a protector deity of horse-raising. A tentative hypothesis can be proposed: this is another reflection of the Hecate cult.

Also noteworthy is the fact that one of the main figures of the Georgian pagan pantheon was the Moon deity (according to the Georgian scholar Iv. Javakhishvili, the Moon played the role of the main deity in the beliefs of the ancient Georgian tribes). Hecate unified in herself functions of the Moon deity too. Moreover, according to various historical researches, the Hecate cult was also quite popular in Miletus.

It is possible that the Greeks who came from Miletus perceived the local Moon deity as Hecate and depicted her on the so-called Colchian coins. If true, it is possible that these coins had city coin functions and also played an equivalent role in the Colchian hinterland. This proposition is well borne

	out by findings of Colchian tetri in the Black Sea coast as well as inner territories of the West Georgia. To date, we have larger number of coins found in the inner territories. The weight of the coin from the Hague Museum is 10,40 gr., of the second one from the British Museum – 12,72 gr., of third from the Simon Janashia Museum of Georgia – 13 gr. The average weight of the Colchian didrachms varies from 8,99 to 9,90 gr. Tetradrachm is twice the weight of the didrachm. However this ratio does not apply here. We deal here with the nominal with reduced weight and this hinders us from defining their origin. Presumably within this type there are three emissions. Calling these coins tetradrachms is conventional. According to one proposition, the heaviest coin is a Milesian stater (14 gr.); average (12,72 gr.) – Eginetan (12,12 gr.); lightest – Persian (11,2 gr.). The dating of the so-called tetradrachms cannot be determined exactly since they were not found in well-dated archaeological or monetary complexes. Comparing with archaic coins of other centres by virtue of the stylistic, typological and facture analysis, it is possible to date them by the end of 6th c. B.C. It is also possible these coins were issued after the destruction of Miletus in 494 B.C.
Mint	Phasis.
Nominal	Tetradrachm; Milesian stater (13 gr.), Eginetan stater (12,72 gr.) and Persian stater (10,40 gr.).
Date	6 th -5 th cc. B.C.
Collection	Simon Janashia Museum of Georgia – 1 sample, QF. (Main Fund of the Georgian Coins, Numismatic Collection, Simon Janashia Museum of Georgia) №3; the Hague Museum – 1 sample; British Museum – 1 sample.

Group	Colchian money ("Colchian tetri (silver)", Kolkhidki)
Type	I type didrachm
Description, picture	Silver. Weight: 10 gr., 10,1 gr., 11,3 gr., 11,4 gr. – Persian stater; 7,9 gr., 8,1 gr., 8,6 gr., 8,6 gr., 9,4 gr. (?) – Attic didrachm. d= 17/20-20/21 mm. Obverse: Lying hermaphrodite lion to the right/left with a head turned back. Reverse: Kneeling female figure with a bull's head to the right/left in quadratum incusum. 
Scholarly commentary	"Colchian tetri" is a name of a coin group. Initially, the name "Colchian tetri" was attributed to the II type hemidrachms (the same triobol. Obv. Archaic female head to the right/left within the linear circle or in border of

the dots; Rev. Bull's head to the right within the linear circle). They are abundantly represented in West Georgia and are without doubt of the Colchian origin.

5 out of 9 pieces of the I type didrachm were found in West Georgia, 3 of which – in Colchian coin hoards of Poti and Akhalsopeli (Zugdidi District). The majority of the coins found in these hoards represents the II type hemidrachm. The genesis of the latter is undoubtedly Colchian. The topography (West Georgia) of findings of the I type didrachm indicates exactly to its Colchian provenance.

The obverse of the I type didrachm is typologically and stylistically identical to the lion depicted on the I type hemidrachm (Obv. Lion's head to the right/left, showing teeth; Rev. Lioness' protome to the right in quadratum incusum). There are four pieces of the I type hemidrachm and all of them were found in West Georgia.

The obverse of the I type didrachm is typologically and stylistically identical to the lion of the so-called tetradrachm (Obv. Exceptionally depicted lion's head to the left/right; Rev. Winged Pegasus to the right in quadratum incusum).

The obverse of the I type didrachm is stylistically identical to the lion depicted on the obverse of the so-called drachm (Obv. Lion's head facing; Rev. Bull's head to the right in quadratum incusum). Although the exact place of finding of the so-called drachm held in the Kutaisi Museum is unknown, still, most probably, it was found somewhere in West Georgia, since, otherwise, this unique piece could not get into a local museum.

The stylistic and typological connection of the heads of lions depicted on the so-called tetradrachm, I type didrachm, I type hemidrachm, and the so-called drachm attests to their common origin.

Kneeling bull-headed female figure depicted on the I type didrachm is without analogy. Nevertheless, the depiction of a bull's head is typologically identical with the bull heads depicted on the reverses of the so-called drachm (Obv. Lion's head facing; Rev. Bull's head to the right in quadratum incusum), III type didrachm (Obv. Archaic female head to the right within the linear circle; Rev. Two bulls' heads facing each other each in quadratum incusum), and II type hemidrachm (Obv. Archaic female head to the right/left within the linear circle or in border of the dots; Rev. Bull's head to the right within the linear circle).

The reverse depiction of the I type didrachm is semantically associated with the II type didrachm (Obv. Archaic female head to the right within the linear circle (the same as on the II type hemidrachm); Rev. Two identical

heads facing one another each in quadratum incusum). The result of the latter's modification is the III type didrachm, since female and bull heads are synonymous categories (see below). There are 11 coins of the II type didrachm. One part was found in West Georgia along with other Colchian coins (in Poti and Akhalsopeli) as well as the III type didrachm.

Initially, the name "Colchian tetri" was given to the II type hemidrachm. The topography of findings and both, typological and stylistic analysis of the I type didrachm and other coin types give us every reason to attribute them to the Colchian tetri group.

Within the Colchian tetri coin group eight types can be distinguished. The question of the local genesis of all the types should be answered in the following manner:

1) II type hemidrachm (Obv. Archaic female head; Rev. bull's head) was issued in Colchis. The topography of findings attests to this fact – they were found in their thousands in West Georgia, whereas beyond the territory only several dozens.

2) III type didrachm (Obv. Archaic female head; Rev. bull heads each in quadratum incusum) is a typological prototype of those coins with female and bull heads, whereas hemidrachm is a much simpler variant with only a bull head. Archaic style of both types links them to each other and makes it the product of the Hellenic political organization of the Colchian economic-geographical region.

